პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმიანობისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34,
ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებანი:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებები გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 28 სექტემბერი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 219 (1964)

დღიური

- საზღვარ - გარეთ ემზადება ოქტომბრის [illegible] ზეიმისათვის.
- მიწისძვრამ ყირიმს მიაყენა 32 მილიონი მანეთის ზარალი.
- ამხ. ვოროშილოვის გამოსვლა ოდესის [illegible]
- საბჭოთა კავშირიდან სამშობლოში დაბრუნდა ინგლისის პიონერთა დელეგაცია.
- კალკუტა - ნაგპურის (ინდოეთი) რკინის გზაზე მუშებს გამოუცხადეს ლოკაუტი.

ოთხშაბათს, ა. წ. სექტემბრის 28, საღამოს 7 საათზე შესდგება

ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ს. ს. ცაკის მდივანი შ. მათიკაშვილი.

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
ოქტომბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ერთა ლიგის სესიაზე

ერთა ლიგის სესია დასასრულს უახლოვდება. უკანასკნელი ორი კვირა მუშაობის სიმძიმის ცენტრი სხვადასხვა კომისიებში იყო გადატანილი. ეხლა ლიგის პლენუმი ღებულობს ამ კომისიების მიერ გამომუშავებულ რეზოლიუციებს.

თუ ერთა ლიგა არასოდეს არ ყოფილა ავტორიტეტით მოსილი, მისმა ეხლანდელმა სესიამ უფრო დასცა მისი პრესტიჟი, ყველასათვის უფრო ნათელი გახადა მისი შინაგანი უძლურება და დაშლა. ჯერ კიდევ სესიის გახსნამდე ლიგის საბჭოს ორი თვალსაჩინო წევრის—ფრანგ დე-ჟუვენელის და ინგლისელ სესილის გასვლამ ამ ორგანოდან და მათმა განცხადებებმა მოუმზადეს ამას ნიადაგი. მათ მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა ოფიციალურად დაადასტურეს ერთი მხრივ იმ ორგანიზაციის სრული არარაობა, მეორე მხრივ ცხადყვეს ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა, რომლის ნიშან ქვეშ იმთავიდანვე მიმდინარეობს ერთა ლიგის „მოღვაწეობა".

ერთა ლიგის ეხლანდელ სესიასაც სწორედ ეს ბრძოლა ახასიათებს. კომისიებში იყო ცდა ამ ორ ქვეყანას შორის არსებულ წინააღმდეგობათა მიჩქმალვის, კომპრომისების მიღწევის. მაგრამ ამ ცდას რაიმე არსებითი ნაყოფი არ გამოუღია, თუ არ ჩავთვლით ლიგის პლენუმის მიერ გამოტანილ ზოგიერთ არაფრის მთქმელ ზოგად დადგენილებებს, რომლებიც სრულიადაც ვერ ფარავენ ლიგაში შემავალ მოქიშპე იმპერიალისტურ ძალების ინტერესთა შეურიგებლობას.

მთავარი საკითხი, რომლის გარშემო დავა წარმოებდა ერთა ლიგის სესიაზე, ეს იყო პოლონეთ - საფრანგეთის პროექტი ე. წ. „საყოველთაო საგარანტიო ხელშეკრულების" შესახებ. პროექტი, ბოლოს, მიღებული იქნა, მაგრამ ისე, რომ მისგან არაფერი დარჩენილა. პოლონეთის წინადადება თავდაპირველად შეიცავდა ომის აკრძალვის მოთხოვნას. მისი მიზანი იყო პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვრების ხელუხლებლობის აღიარების მიღწევა და „აღმოსავლეთის ლოკარნოს" განხორციელება. ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს გერმანიამ და ინგლისმა, — პირველმა იმიტომ, რომ ის არ ურიგდება მის ტერიტორიის პოლონეთისათვის გადაცემის ფაქტს და ლამობს ამ ტერიტორიის დაბრუნებას. მეორემ იმიტომ, რომ პოლონეთის წინადადება გააძლიერებდა საფრანგეთს და ინგლისის გავლენას შეარყევდა ევროპის კონტინენტზე. ინგლისის მეცადინეობით პოლონეთის პროექტი გადაიქცა მხოლოდ „შეტევითი" ომის აკრძალვის მოთხოვნად. თავის თავად ცხადია, რომ ყოველი იმპერიალისტური ქვეყანა მის მიერ დაწყებულ ომს გამოაცხადებს თავდაცვის ომად. ასე, რომ ერთა ლიგის მიერ მიღებული ფორმულა ოდნავადაც არ უწყობს ხელს მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეს.

ასევე უმწეოა სესიის სხვა გადაწყვეტილებებიც უშიშროების უზრუნველყოფის საკითხის შესახებ. მაგ., წინადადება ერთა ლიგის სასწრაფო მოწვევის და ღონისძიებათა გამომუშავების შესახებ, თუ საერთაშორისო კონფლიქტები მოხდება. ასეთი კონფლიქტები ხშირად ხდებოდა დღემდე, მაგრამ ერთა ლიგას არაფერი გაუკეთებია მათი მოგვარებისათვის. არც შეეძლო გაეკეთებია, ვინაიდან ის შეურიგებელ მოწინააღმდეგე ძალებისაგან შესდგება. არავითარი საფუძველი არ არის იმის სათქმელად, რომ ერთა ლიგა მომავალში გამოიჩენს ამ მხრივ რაიმე უნარს. ან აიღეთ წინადადება განიარაღების საქმის მოგვარების დაჩქარების შესახებ. განიარაღების კომისიები და კონფერენციები სულ უშედეგოდ მთავრდებოდენ .ასე მოხდება მომავალშიც: შეირაღებას საფუძვლად უდევს კაპიტალისტურ ქვეყნების ანტაგონიზმი, რომელიც სულ უფრო იზრდება. სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ ინგლისის წარმომადგენელმა ან-სლოუმ კატეგორიულად უარყო ერთა ლიგის საბჭოს უფლება, რომ საბჭომ მოსთხოვს თავის წევრებს შეიარაღებულ ძალების შესახებ ცნობების წარმოდგენა. ამ საკითხში 'თვითეული სახელმწიფო უნდა იყოს სავსებით თავისუფალი და მას შეუძლია პასუხიც არ გასცეს ლიგის საბჭოს შეკითხვაზეო, — განაცხადა ან-სლოუმ. და ამის შემდეგ ლიგის სესია ლაყბობს განიარაღებაზე და ცდილობს შთაბეჭდილება შექმნას, თითქო მას რაღაც შეუძლია ამ საკითხის გადასაჭრელად!

თუ ერთა ლიგის მუშაობა ერთი მხრივ ხასიათდება ინგლის - საფრანგეთის წინააღმდეგობათა გაშლით და უშიშროების საკითხში უძლურების გამოჩენით, მეორე მხრივ ინგლისი შეეცადა გამოეყენებია ის ანტი-საბჭოთა კამპანიის გასაგრძელებლად. ჯერ ერთი, ლიგის საბჭოში შეყვანილ იქნა საბჭოთა კავშირის მტრის და ინგლისის ვასალის —ფინეთის მთავრობის წარმომადგენელი. შემდეგ, ის აწარმოებდა მოლაპარაკებას ბალტიის მხარის ქვეყნებისაგან ერთიანი ბლოკის შესაქმნელად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ სესიის სარედაქციო კომისიამ მიიღო რეზოლიუცია, რომლის მიხედვით ლიგის წევრებს წინადადება ეძლევათ დასდონ „ჯგუფური საგარანტიო ხელშეკრულებები" ლიგის არა-წევრებთან. ეს პროექტი ნიღაბ-აფარებული გეგმაა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბლოკის შედგენისა, რაზედაც ჩემბერლენი დიდი ხანია მეცადინეობს. ბოლოს, ფინეთის წინადადება „თავდამცველ" მხარისათვის ფინანსიურ დახმარების აღმოჩენის შესახებ, აგრეთვე აშკარად ჩვენ წინააღმდეგაა მიმართული, ვინაიდან თუ ფინეთი ომს აგვიტეხს ინგლისის კარნახით, ცხადია, „თავდამსხმელ" სახელმწიფოდ ჩვენ ვიქნებით გამოცხადებული.

ერთა ლიგის სესია მსოფლიო მუშათა კლასს უჩვენებს ერთი მხრივ კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის ურთიერთობის გამწვავებას, მეორე მხრით, იმპერიალისტების ცდის გაგრძელება - გაძლიერებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შესაქმნელად. ამას ვერ დაფარავს ის თვალთმაქცური სამშვიდობო განცხადებები, რომლებით გამოდიოდენ სესიაზე ახალი საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტის მოციქულნი. ყოველგვარ ილიუზიების აღმოფხვრა, თითქო ლიგის საშუალებით და კაპიტალისტურ ქვეყნების კონფერენციებით შეიძლებოდეს მშვიდობიანობის განმტკიცება, თავის რიგების შემჭიდროება, და რევოლიუციონურ ბრძოლის გაძლიერება იმპერიალიზმის წინააღმდეგ, — ასეთია დასკვნა, რომელსაც საერთაშორისო მუშათა კლასი ლიგის ეხლანდელ სესიიდან გამოიტანს.

„ვის მხარეზე არიან ისინი? ახარებთ თუ არა მათ კომინტერნის გამარჯვება?"

აი, ასეთი კითხვა უნდა დაუყენოთ დღეს ჩვენს ოპოზიციას.

მიღებული დეპეშა გვაუწყებს ქალაქის თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შედეგებს გერმანიის ჩრდილო განაპირა ოლქებში. მათ შორის ალტონის ოლქშიაც. უკანასკნელ 1924—25 წლის არჩევნებთან შედარებით, გაიზარდა გერმანიის კომუნისტური პარტიის სიისათვის მიცემულ ხმების რიცხვი, რომელიც ზოგიერთ ოლქებში ადის ხმების საერთო რიცხვის 30-დან 45—50 პროცენტამდე.

სამაგიეროდ არაჩვეულებრივად სამარცხვინოდ გაშავდა ურბანსის, მასლოვის და ფიშერის ჯგუფის სია. იმ ჯგუფის, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ოპოზიციის დასაყრდენს გერმანიაში.

ამ ჯგუფის მიერ ცალკე წარმოდგენილ სიისათვის ალტონის ოლქში მიცემულ ხმების რაოდენობა პირდაპირ სასაცილოა: 364 ხმა! ეს იმ დროს, როდესაც გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ იმავე ოლქში მიიღო 19.000 ხმა

19.000 და 364! მუშათა მასების სამსჯავრო, რომელზედაც პოლიტიკურ ავანტიურისტების ულტრა-მემარცხენე „სექციამ" გაბედა კომუნისტებთან ატეხილი თავისი დავის გადატანა, აღმოჩნდა მისთვის მეტად არასასიამოვნო და მკაცრი. კომინტერნიდან გაძევებულ ამ რენეგატებს უნდოდათ დაენახვებიათ ყველასათვის გერმანიის კომუნისტური პარტიისა და კომინტერნის „რღვევა. მათ უნდოდათ პოლიტიკური ლახვარის ჩაცემა მუშათა რევოლიუციონური ანტი-იმპერიალისტური ფრონტის ზურგში.

ულტრა-მემარცხენე რენეგატები სცდილობდენ გავლენის მოპოვებას გერმანიის რევოლიუციონურ მუშებსა და კომუნისტურ პარტიაზე.

გერმანიის კომპარტიის საკანდიდატო სიისაგან განცალკევებულ სიის შედგენის დროს მათი სპეციალური მიზანი იყო არა ბრძოლა ბურჟუაზიისა ან და სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, არამედ ბრძოლა გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან. ისინი სასტიკად დამარცხდენ. გერმანიის კომუნისტ მუშების მასიურმა კარტიამ ადვილად გადააბიჯა გაკოტრებულ, გზა-აბნეულ ინტელიგენტებისა და მოღალატეების საბრალო ხროვას.

ამ ტაკი-მასხარებს და ფარსის გმირებს საარჩევნო აგიტაციაში ვერ უშველეს ტროცკისა და ზინოვიევის იმ წერილებმა და სიტყვებმა, რომლებსაც ისინი ყოველდღე ათავსებდენ თავის ვარდისფერყვითელ ფურცელში: „კომუნიზმის დროშა"-ში. გერმანიის კომპარტიამ პოლიტიკურად გასრისა ისინი და მათ ადგილას პოლიტიკური ბრძოლის სარბიელზე დატოვა მხოლოდ—და „სველი ადგილი", ისიც მით უფრო სამარცხვინო, რამდენადაც უმნიშვნელოა ის თავისი სიდიდით.

მაშ ვის მხარეზე იყო ჩვენი ოპოზიცია —კომინტერნისა თუ მისგან ჩამოშორებულ მასლოვის „პარტიის" მხარეზე? ვისკენ იყო მიმართული ოპოზიციონური სიმპატიები ალტონში არჩევნების ჩატარების დროს?

ახარებს თუ არა ჩვენს ოპოზიციას კომინტერნის გამარჯვება სწორედ ისევე, როგორც ის უნდა ახარებდეს ბოლშევიზმისა და კომინტერნის ყოველ მომხრეს?

„პრავდა", 27 სექტემბერი.

ჩინეთის მშრომელთა ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ

სვატოუს მცხოვრებნი აღფრთოვანებით შეეგებენ რევოლიუციონურ ჯარებს

ოქტომბრის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად საბჭ. კავშირში მოდიან უცხოეთის მუშათა დელეგაციები

ინგლისის მუშათა პარტიის აღმასკ. წევრის ხეტჩინსონის განცხადება ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის შესახებ

სვატოუს აღების შემდეგ

სვატოუს აღება

შანხაი, 26 სექტემბერი. **ჩინეთის გაზეთები იუწყებიან, რომ რევოლიუციონურმა ჯარებმა 23 სექტემბრის საღამოს 5 საათზე აიღეს ქალაქი სვატოუ.** გენერალ ვან-ცზუნის არმიამ უკან დახევის დროს აჰყარა სვატოუსთან ახლო მდებარე, სარკინიგზო ხაზი, **მაგრამ რევოლიუციონურმა ჯარებმა უკვე აღადგინეს ის.**

ჯერ კიდევ რევოლიუციონურ ჯარების შესვლამდე **ქალაქი გაივსო გლეხთა პარტიზანული რაზმები, რომლებიც აღფრთოვანებულად მიეგებებ სვატოუში შემავალ რევოლიუციონურ ჯარებს. ქუჩები გაჭედილი იყო მუშებითა და გლეხებით,** რომლებთაც მკლავზე ახვეული ჰქონდათ მოხალისეთა წითელი ლენტები. **ქალაქზე ფრიალებდა წითელი დროშები.** ყველგან ვრცელდებოდა ფურცლები და გამოკრული იყო პლაკატები რევოლიუციონური წარწერებით. **ყველა საქალაქო ციხიდან პოლიტიკური პატიმრები განთავისუფლებული არიან. ქალაქში სრული წესრიგია.**

გაზეთების გადმოცემით, ლი-ტი-სინს განზრახული აქვს დასძრას სვატოუს წინააღმდეგ მე-13 დივიზია და მე-5 არმიის მე-2 ათასეული. მან, აგრეთვე, სთხოვა ნანკინს სამხედრო გემების გაგზავნა სვატოუს წინააღმდეგ. (ადს).

სვატოუს დაცემის წინ

შანხაი, 26 სექტემბერი. როგორც გაზეთები იუწყებიან, უკანასკნელ ორ დღეს სვატოუს აღებამდე რევოლიუციონური ჯარების მიერ, **მოხდა თავდასხმა რიქშების კავშირზე, რომლის დროსაც დააპატიმრეს 100 კაცზე მეტი. მრავალ მათგანს მაშინვე მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, მაგრამ განაჩენი შეუსრულებელ დარჩა** ამით ქალაქში აჯანყების გამოწვევის შიშით. სიკვდილით დასჯილია მხოლოდ კავშირის თავმჯდომარე.

სვატოუს დაკავების შემდეგ

პეკინი, 26 სექტემბერი. სააგენტო „ტოხო"-ს ცნობით, მას შემდეგ, რაც სვატოუ რევოლიუციონურმა ჯარებმა დაიკავეს, იაპონიის სამხედრო გემებიდან, რომლებიც სვატოუს ნავსადგურთან იდგენ, გადმოსხეს საზღვაო ქვეითა ჯარი „იაპონიის რეზიდენტების უშიშროების დასაცავად" (ადს).

სიუ-ჩენის განცხადება

შანხაი, 26 სექტემბერი. უხანის მთავრობის ყოფილმა იუსტიციის მინისტრომა სიუ - ჩენმა გამოაქვეყნა განცხადება რომელშიც ის აცხადებს, რომ წინააღმდეგ მისთვის წაყენებულ ბრალდებისა, **ის არას დროს არ უწყობდა ხელს კომუნისტებს, არამედ, პირიქით, დაჟინებით მოითხოვდა მათთან კავშირის გაწყვეტას.** მაგრამ,—აცხადებს სიუ-ჩენი,—იმის გამო, რომ ყოველმხრივ ილაშქრებენ ჩემს წინააღმდეგ, მე იძულებული ვარ თავი გავანებო პოლიტიკურ მოღვაწეობას. (ადს).

ცენტრალური ბანკის ლიკვიდაცია

შანხაი, 26 სექტემბ. ტან-შენ-ჩის განკარგულებით, ხანკოუში უქმდება ცენტრალური ბანკი, რომლის საქმეებიც გადაეცემა სპეციალურად დანიშნულ კომისიას (ადს).

იმპერიალისტების ლაქიეში

შანხაი, 26 სექტემბერი. **გომინდანის ორგანიზაციამ ქალაქ იენჩოუში** (ჩჟენცზიანის პროვინცია **მოახდინა „იაპონიასთან ეკონომიურ ურთიერთობის გაწყვეტის საზოგადოების" ლიკვიდაცია.** იაპონიის გემები, რომლებიც გაჩერებული იყვენ იენჩოუს ნავთსადგურში მტვირთავების ბოიკოტის გამო, შეუდგენ განტვირთვას და ამ დღეებში ზღვაში გავლენ. (ადს).

სტუდენტების დაპატიმრება

პეკინი, 27 სექტემბერი. გაიერთიანებულ უნივერსიტეტის შენობაში ჩინეთის პოლიციამ დააპატიმრა 13 სტუდენტი და სამი მოსამსახურე. პოლიცია ამტკიცებს, რომ დაპატიმრებულებს აღმოაჩნდათ დიდძალი საგიტაციო ლიტერატურა და პლაკატები ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ. გაჩხრიკეს უნივერსიტეტის მახლობლად ყველა შენობები. ჩხრეკის დროსაც მოხდა დაპატიმრებანი. დაპატიმრებულთა რაოდენობა გამოურკვეველია.

სტუდენტების დაპატიმრება მოხდა მას შემდეგ, რაც პეკინის ქუჩებში გამოჩნდენ პლაკატები და ფურცლები, რომლებიც მოუწოდებდენ ანგო-ციუნთან ბრძოლისაკენ (ადს).

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

რაკოვსკის წინადადების შესახებ

პარიზი, 26 სექტემბერი. მილიერანის ორგანო „ავენირი" აცხადებს, რომ ოპერაცია, რომელსაც რაკოვსკი ურჩევს საფრანგეთს, მოხდება ამ უკანასკნელის ხარჯზე. შემდეგ გაზეთი აღშფოთებულია იმით, რომ საფრანგეთის დელეგაცია სერიოზულად იღებს საბჭოთა წინადადებებს.

რეაქციონური „ფიგარო" სწერს: „რაკოვსკი მოელის ჩვენგან 120 მილიონ დოლარს, რომ ამ ფულით გაისტუმროს მსოფლიო რევოლიუციის მოწყობისათვის საჭირო ხარჯები".

რეაქციონური „გოლუა" სწერს, რომ 30 იენისის წერილის მიზანია დაარწმუნოს რუსეთის სესხის ობლიგაციების მესაკუთრენი, რომ ამ სესხის გაუსტუმრებლობის ბრალი ედება საფრანგეთის მთავრობას. საფრანგეთის წვრილ მესაკუთრეებს საბჭოები სთვლიან საკმაოდ გულუბრყვილო ხალხად, რომ ვერ მიუხვდეს ამ მორიგების მოტყუებითი ხასიათს.

მემარცხენე-ბურჟუაზიული „კოტიდიენი" სწერს: „გაუგებარია, ვალების აღიარების პირობად რატომ აყენებს რუსეთი კრედიტების მიღებას. თუ ის თავს მოვალედ გრძნობს, მაშ რა უფლებით უნდა, რომ მოგვახვიოს თავზე მისთვის სესხად ფულის მიცემის ვალდებულობა".

მემარცხენე-ბურჟუაზიული „ვალონტე", ანალიზს უკეთებს რა საბჭოთა წინადადებებს, სწერს:

„ვალების მოწესრიგებისაგან თავის არიდება ეხლა იქნებოდა უდიდესი შეცდომა საფრანგეთის ინტერესების დაცვისა და მშვიდობიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით, გარდა ამისა ეს იქნებოდა მეტად არასასიამოვნო აქტი საფრანგეთის წვრილ კრედიტორების მიმართ".

საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობის დამცველმა კომიტეტმა გამოაქვეყნა პროტესტი ურთიერთობის ჩაშლის საფრთხის წინააღმდეგ.

„იმ მომენტში, როდესაც იბადება მეფის ვალების საკითხის მოწესრიგების შესაძლებლობა,—ნათქვამია პროტესტში,—საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობის დამცველი კომიტეტი მიმართავს ყველა რესპუბლიკანელებს და მოითხოვს მათგან სასწ. ზომების მიღებას იმ მიზნით, რომ ჩვენი პოლიტიკა არ მოექცეს ცალკე ჯგუფებისა ან მათი ინტერესების გავლენის ქვეშ. **როგორც მთავრობამ განაცხადა, არაფერი არ ამართლებს ურთიერთობის შეწყვეტას და რაკოვსკის გაძევებას"** (ადს).

ახალი ომის წინააღმდეგ

ბერლინი, 26 სექტემბერი. „იუმანიტე"-ში გამოქვეყნებულია ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წლის თავის დღესასწაულის მომწყობ კომისიის მოწოდება. მოწოდებაში ნათქვამია: „ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წლის თავის წინ კაპიტალისტური სახელმწიფოები აქტიურად ემზადებიან სამხედრო თავდასხმისათვის მუშების და გლეხების სახელმწიფოზე. საფრანგეთის რეაქციონური გაზეთები სავსეა მუქარით და ცილისწამებით საბჭოთა კავშირის მიმართ; ეს გაზეთები აშკარად აყენებენ საკითხს ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ. **მშრომელთ ესმის ოქტომბრის რევოლიუციის უდიდესი მნიშვნელობა და ისინი წინააღმდეგობას გაუწევენ ყოველგვარ შეიარაღებულ გალაშქრებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.** საუკეთესო საშუალება სიცრუისა და ცილისწამების გასაფანტავად არის ის, რომ მშრომელნი საკუთარი თვალით დარწმუნდენ იმაში, თუ ნამდვილად როგორი მდგომარეობაა საბჭოთა კავშირში. ამიტომ **საბჭოთა კავშირის მშრომელთა ორგანიზაციები მოუწოდებენ საფრანგეთის მშრომელთ გაგზავნონ საბჭოთა კავშირში თავისი დელეგაციები.** მრავალრიცხოვანი ფრანგული დელეგაცია, რომელიც დაკავშირებულია მშრომელ მასებთან, ინახულებს საბჭოთა კავშირს ოქტომბრის მეათე წლის თავის დღესასწაულების გამო, საკუთარი თვალით დაინახავს ყველაფერს და დაბრუნების შემდეგ მოუთხრობს საფრანგეთის მშრომელთ სიმართლეს საბჭოთა კავშირის შესახებ". (ადს).

ამერიკელი ფაშისტების გასტროლები

პარიზი, 26 სექტემბერი. ამერიკის ლეგიონის უფროსი **სევეჯი** და რამოდენიმე ასეული ლეგიონერი პარიზიდან გაემგზავრენ ნიცაში, საიდანაც გაემგზავრებიან გენუაში და რომში. მემარჯვენე პრესა სცდილობს ერთმანეთს დაუკავშიროს ლეგიონერების ჩასვლა ნიცაში და მატარებლის კატასტროფის გამოწვევის სამი ცდა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ღამით 24—25 სექტემბერს ლეგიონერების მატარებლის გავლის წინ. ამის გამო **„იუმანიტე"** სწერს. „ჩვენ მოვახდენთ სპეციალურ კვლევაძიებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ ამ საქმის ნამდვილი ზომა. **აშკარაა, რომ ეს საქმე ძლიერ გაზვიადებულია იმ მიზნით, რომ პოლიციას მიეცეს საბაბი მრავალრიცხოვან ჩხრეკის, დაპატიმრების და გაძევების მოსახდენად".** (ადს).

15 საბჭ. მოქალაქის საქმე

პეკინი, 26 სექტემბერი. როგორც გაზეთები იუწყებიან, საბჭოთა საელჩოს შენობაზე თავდასხმის დროს დაპატიმრებულ 15 საბჭოთა მოქალაქის საქმე გადაიდო 3 კვირით და ის **გადაწყვეტილი იქნება არა სასამართლოს წესით.** დაპატიმრებულების მიმართ გამოყენებული იქნება ამნისტია და წესები, რომლის თანახმად „საეჭვო პირები" შესაძლებელია მოთავსებულ იქნან ციხეში ადმინისტრატიული წესით. (ადს).

შიშს დიდი თვალები აქვს

ვენა, 26 სექტემბერი. რუმინეთის მთავარი შტაბის ცნობით, **მანევრების დროს შავი ზღვის ფლოტს არ გადაულახავს რუმინეთის საზღვაო საზღვარი.**

მიუხედავად ამისა, როგორც „ლუპტა" იუწყება, საზღვაო სამინისტრო მაინც იმუშავებს ზომებს, რათა აღმოფხვრას რუმინეთის საზღვაო საზღვრების შესაძლებელი გადალახვა შავი ზღვის ფლოტის მიერ (ადს).

ლატვია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება

რიგა, 26 სექტემბერი. გაზეთი „პირმდიენას რიტს"-ი,რომელიც მუდამ ილაშქრებს ლატვია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ, დღევანდელ ნომერში გამოსთქვამს შიშს, რომ სეიმში უზრუნველყოფილია უმრავლესობა ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის.

25 სექტემბერს ფეიქართა მიტინგზე მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს, რომ სეიმმა სასწრაფოდ მოახდინოს ლატვია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების რატიფიკაცია. (ადს).

ერთა ლიგის სესიაზე

ხუთი დადგენილება

ბერლინი, 26 სექტემბერი. ერთა ლიგის პლენუმმა ერთხმად მიიღო ხუთი დადგენილება, რომლებიც შეიტანა ერთა ლიგასთან არსებულმა განიარაღების კომისიამ. **პირველი** დადგენილება შეიცავს იმის მოთხოვნილებას, რომ სამოქალაქო ავიაცია ვითარდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიური და არა სამხედრო მიზნებისათვის.

მეორე და **მესამე** დადგენილებებში ლაპარაკია იმაზე, რომ უზრუნველყოფილ იქნას ერთა ლიგის რაც შეიძლება საჩქაროთ მოწვევა და მის მიერ გადაწყვეტილებათა გამოტანა იმ შემთხვევაში, თუ წამოიჭრა საერთაშორისო კონფლიქტები. **მეოთხე** დადგენილება ეხება ფინეთის წინადადებას იმის შესახებ, რომ წინასწარი ფინანსიური დახმარება აღმოეჩინოს ისეთ ქვეყნებს, რომლებიც შეიძლება გახდენ თავდასხმის ობიექტად. **მეხუთე** დადგენილება შეიცავს გერმანიის, საფრანგეთის და ჰოლანდიის დელეგაციების უკვე გამოქვეყნებულ კომპრომისულ რეზოლიუციას, რომელიც მიიღო განიარაღების კომისიამ. (ადს).

უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელთა ამოცანები

სულ მოკლე ხნის განმავლობაში დაუბრუნდებიან თავიანთ მშვიდობიან ყოველ-დღიურ შრომას ის ამხანაგები, რომელთაც უკვე ნაწილობრივად მოიხადეს თავის მოქალაქეობრივი ვალი ჩვენს მშრომელთა სახელმწიფოს წინაშე—ე. ი. განსაზღვრული ხნის განმავლობაში იარაღით ხელში ფხიზლად და შეუდრეკლად უდგენ მას სადარაჯოზე.

ზედმეტი იქნებოდა იმაზე ლაპარაკი, თუ რა განსხვავებაა დღეს წითელ არმიისა და კაპიტალისტურ არმიებს შორის. ეს ძალიან კარგად იცის დღეს ყოველმა მშრომელმა და მით უმეტეს წითელმა არმიელმა. ჩვენ მხოლოდ გვინდა აღვნიშნოთ ის მდგომარეობა, რომ არ არსებობს გარდა წითელი არმიისა არც ერთი არმია დედა-მიწის ზურგზე, რომელიც წარმოადგენდეს ხალხისათვის ნამდვილ სკოლას, მის კულტურულ და პოლიტიკურ განვითარების დონის ამმაღლებელ ორგანიზაციას. ეს ადვილი გასაგებიც არის, ვინაიდან შეიარაღებული ძალები კაპიტალისტურ ქვეყნებში, ემსახურებიან მშრომელთა კლასობრივ მტრების, მემამულეების, კაპიტალისტებისა და ბანკირების ინტერესებს, მხოლოდ შეიარაღებული ძალა ჩვენს ქვეყანაში ემსახურება მუშების და გლეხების ინტერესებს.

თითოეული წითელი არმიელი, რომელიც ორი წლის წინათ მოვიდა თავის ნაწილში უთუოდ თითონაც ატყობს დიდ განსხვავებას მის ცოდნასა და უნარიანობაში წარსულთან შედარებით. რა თქმა უნდა ამით ის წითელ არმიის წინაშე ვალდებული.

მაშასადამე, ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც შეიძინა წითელმა არმიელმა, მან, სოფელში და ქარხანაში დაბრუნებისას უნდა ისევ მშრომელთა საბედნიეროდ გამოიყენოს. ჩვენს ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას მთელი რიგი გადაუდებელი ამოცანები აქვს დასახული. ეს არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიური-კულტურული აყვავება, გაჯანსაღება და გამაგრება.

ჩვენ ყოველმხრივ უნდა შეუწყოთ ხელი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს, რომ მით ჩვენი ქვეყანა, ჯერ-ჯერობით კიდევ შედარებით ჩამორჩენილი, დავაწინაუროთ. და აი, აქ შვებულებაში წასულ წითელ-არმიელს შეუძლია გააკეთოს ბევრი რამ. იგი თითით საჩვენებელი უნდა გახდეს თავის პრაქტიკულ მუშაობაში: ფაბრიკაში იქნება ეს ქარხანაში თუ დაწესებულებაში.

მან უნდა მაგალითი უჩვენოს სხვებს თუ რას წარმოადგენს მტკიცე პროლეტარული დისციპლინა. იგი სამაგალითო უნდა გახდეს სოფლად ამ უკანასკნელის კეთილმოწყობის საქმეში.

ჩვენი მეურნეობა დღეს სოფლად კიდევ ძველებური საშუალებით სწარმოებს, ხალხი ჯერ-ჯერობით ბევრს ჩვენს კუთხეში მოცულია უვიცობით. ნაკლებადა გვყავს კულტურული, მომზადებული ძალები, ჩვენი სოფლის მეურნეობა უსათუოდ უნდა იქნას გადაყვანილი ახალ, კოოპერატიულ, კოლექტიურ ლიანდაგზე. ამ საქმის ნორმალურ მსვლელობას, რა თქმა უნდა, ძლიერ ხელს უშლის ჯერ კიდევ დაბალი კულტურული დონე გლეხობისა და სათანადო ორგანიზატორთა უყოლობა.

ეჭვს გარეშეა, რომ ყოველი წითელარმიელი ბევრად მაღლა სდგას ჩვეულებრივ გლეხზე თავის შეგნებით და განვითარებით, ამიტომაც მან უნდა მიიღოს თავისი-თავზე ყველაზე უფრო მეტი ინიციატივა ზემოხსენებული ამოცანების გადასაჭრელად.

მან პრაქტიკულად უნდა შეუწყოს ხელი სასოფლო სამეურნეო კოლექტივების ჩამოყალიბებას, კოოპერაციის განვითარებას, სამკითხველოს უკეთესად მოწყობას და სხვა.

გარდა ამისა ზედმეტია ჩვენს წითელარმიელთან იმაზე ლაპარაკი, რომ კაპიტალისტური ქვეყნები ჩვენს წინააღმდეგ თავდასასხმელად ემზადებიან. ეს მდგომარეობა გვავალებს ჩვენ, ერთი მხრივ ხელი შეუწყოთ მშრომელთა საზოგადოებრივ აზრის სათანადო მომზადებას, რომ ისინი ფსიქოლოგიურად მზად იყვნენ ყოველ მოსალოდნელ ამბებისათვის, ბოლო მოუღონ ყოველგვარ პროვაკაციებს და ჭორებს, რომელსაც ხშირად სოფლად დიდი გასაქანი აქვს, და, მეორე მხრივ კი, ხელი შეუწყოთ მშრომელთა ფართო მასების გასამხედროებას.

ვის უფრო შეუძლია ყოველივე ამაში ცოცხალი ინიციატივა გამოიჩინოს და შეასრულოს პრაქტიკულად დავალებული საქმე თუ არა წითელ არმიელს? ერთი, რომ ის პოლიტიკურად საკმარისად არის გაცნობილი ამ საკითხებს, ესმის ამ საქმის გაკეთების აუცილებლობა, მეორეც, დღეს ჩვენი სამოქალაქო ორგანიზაციებს ძლიერ უჭირთ პრაქტიკულად განახორციელონ გასამხედროება. ვინაიდან ამ საქმის მცოდნეთა კადრი ძლიერ ნაკლები გვყავს, მით უმეტესად სოფლად.

შვებულებაში წასულმა წითელ-არმიელმა ეს ნაკლი უნდა მოგვაცილოს თავიდან. მან უნდა იკისროს შეძლებისამებრ სამხედრო წრეების ხელმძღვანელობა, უნდა აიღოს თავის-თავზე ინიციატივა ახალი წრეების დაარსებისა, შემოაკრიბოს და დარაზმოს თავდაცვისათვის ახალგაზრდობის ფართო მასები.

ყველაზე მეტ პასუხისმგებლობას ამ საქმეში მით უმეტეს უნდა გრძნობდეს კომკავშირის წევრი წითელ-არმიელები.

თუ კი ჩვენ ხელს შეუწყობთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობის აყვავებას, მის ინდუსტრიალიზაციას, თუ კი ჩვენ შევსძლებთ მშრომელთა თავდაცვის საქმის გამაგრებას გასამხედროების საშუალებით, მაშინ ჩვენი უდიდესი კავშირი უძლეველი იქნება მტრებისაგან როგორიც და ვინც არ უნდა იყოს ის.

შვებულებაში წასულ წითელ მხედარს უნდა ახსოვდეს, რომ მისი ლაშქრიდან წასვლა ეს ნიშნავს მეორე ფრონტზე უფრო გაცხოველებულ შრომას და ბრძოლას.

გ. ჯავახიძე.

მდგომარეობა ჩინეთში

პირველი სერიოზული და მნიშვნელოვანი თავისი სამხედრო ოპერაცია იე-ტი-ნის რევოლიუციონურმა ჯარმა ბრწყინვალედ დააგვირგვინა. მნიშვნელოვანი ნავთსადგური გუანდუნის პროვინციის სამხრეთ აღმოსავლეთის ნაწილში 23 სექტემბერს ამ ჯარის ხელში გადავიდა. სვატოუს ოპერაცია მოწმობს, რომ რევოლიუციონურ ჯარების სარდლობა საკმაო სიდინჯეს და წინდახედულობას იჩენს. ამ სარდლობამ სრულიად სამართლიანად უახლოეს მიზნად და ბრძოლის პირველ საგნად დაისახა სვატოუ და არა კანტონი. რასაკვირველია, კანტონის აღებას, თუ კი ამას შესძლებდა ამ თავითვე რევოლიუციონური ჯარი, უფრო მეტი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებოდა. მაგრამ სწორედ ამ თუობაშია საქმე. კანტონში ლი-ტი-სინს საკმაოდ დიდი რეგულიარული ჯარი ჰყავს, რეაქცია აქ ჯერ კიდევ საგრძნობ ძალას წარმოადგენს, და ასეთ პირობებში პირდაპირ კანტონზე იერიშის მიტანა რევოლიუციონურ ჯარებისათვის მეტად სახიფათო იქნებოდა, დამარცხების შემთხვევაში მას პირდაპირ კატასტროფა მოელოდა და შეიძლება ამ დამარცხებას მთელი დაწყებულ საქმის ჩაფუშვა მოჰყოლოდა. იგი ვერც ჩრდილოეთისაკენ და ვერც დასავლეთისაკენ დაიხევდა. სვატოუს რაიონი მართალია თავისი მნიშვნელობით ნაკლებ ღირებულებას წარმოადგენს კანტონთან შედარებით, მაგრამ სამაგიეროდ აქ თუნდაც რომ დამარცხებულიყო იე-ტი-ნის ჯარი, იგი მაინც უვნებლად დაიხევდა, ან ფუ-ძიანის პროვინციაში, სადაც მას არავითარი საფრთხე არ მოელოდა. თუ საზოგადოდ „ხიფათხილეს თავი არ სტკივა",—რთულ და მნიშვნელოვან ოპერაციების დასაწყისში ამ დებულებას უფრო მეტი ადგილი უნდა ჰქონდეს.

ამიტომ იე-ტი-ნის ჯარების მოქმედება სავსებით შეფარდებულია გარემოებასთან, მაშასადამე სტრატეგიულად და ტაქტიკურად გამართლებულია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სვატოუს ოპერაცია სათანადოდ იყო მომზადებული. ჩვენ გვახსოვს, რომ ვიდრე იე-ტინი დაიწყებდა შეტევას სვატოუს წინააღმდეგ, რევოლიუციონურ ჯარების მეორე წყებამ და გლეხთა შეიარაღებულმა რაზმებმა კანტონის ირგვლივ მეტად გააცხოველეს მოქმედება და თითქმის მიუახლოვდენ კანტონს. ეს იყო ფართო სამხედრო დემონსტრაცია, რათა კანტონის რეაქციონური ჯარების გულისყური კანტონის დაცვისაკენ მიპყრობილ ყოფილიყო. საჭირო იყო ამ ჯარების აქ დაბანდება, რათა იე-ტი-ნის ჯარებს თავისუფლად განავითარებინათ მოქმედება სვატოუს რაიონში. კარგად მომზადებული და გონივრულად წარმოებული ოპერაცია ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ეს პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება ნორჩ რევოლიუციონურ ჯარებისა და ეხლა უახლოესი მიზანია მათი სვატოუს რაიონში გამაგრება აქ მტკიცე ბაზის შექმნა მომავალში უფრო წარმატებით მოქმედებისათვის კანტონისაკენ.

ი. გედევანიშვილი.

უკანასკნელი ცნობები

შტრეზემანის ღონისძიებები

ბერლინი, 26 სექტემბ. გუშინ ჟენევაში მოხდა ბრიანის და შტრეზემანის შეხვედრა. შეხვედრის მიზანი იყო დამტკიცება იმის, რომ უკანასკნელი დღეების ამბებს არავითარი გავლენა არ მოუხდენია საფრანგეთ - გერმანიის შორის არ მოუხდენია საფრანგეთ - გერმანიას შორის არსებულ ურთიერთ - დამოკიდებულებაზე. შტრეზემანის ორგანო „ტეგლიხე რუნდშაუ" სწერს, რომ შტრეზემანის მთელი ღონისძიება მიმართულია იქითკენ, რომ ხელი შეუშალოს კამპანიას ომის პასუხისმგებლობის საკითხის გარშემო და „აცდინოს ჰინდენბურგს და მის საპრეზიდენტო პრესტიჟს ჩარევა ასეთ დავაში".

შემდეგ გაზეთი ირწმუნება, რომ გერმანიის დამოკიდებულება მის დასავლეთელ მეზობლებთან განვითარდება „რეალური საჭიროების მიხედვით" (ადს).

დახმარება საომარი მასალებით

პეკინი, 26 სექტემბერი. როგორც გაზეთები იუწყებიან, სუნ-ჩუან-ფანმა მუკდენიდან მიიღო თოფები, ტყვიისმფრქვეველების და სახანგრო იარაღების ახალი პარტია და აგრეთვე 2 მილიონი მან. ღირებული სამხედრო ამუნიცია. (ადს).

ბრიანი გაემგზავრა პარიზში

ბერლინი, 27 სექტემბერი. დღეს დილით ბრიანი ჟენევიდან გაემგზავრა პარიზში. წინად ფიქრობდენ, რომ ბრიანი ჟენევაში დარჩებოდა ერთა ლიგის სესიის დამთავრებამდე. (ადს).

უცხოელ კონსულების გაქცევა

შანხაი, 26 სექტემბერი. ჩინური გაზეთების დღევანდელი ცნობის თანახმად, ცზიანსის პროვინციაში დაბანაკებულ მე-11 კორპუსის ნაწილებს წინადადება მიეცათ დაიწყონ შეტევა რევოლიუციონური ჯარების მიერ აღებულ სვატოუზე. უცხოეთის საკონსულოების თანამშრომლები გემით გაიქცენ ჰონკონგში. (ადს).

„მნიშვნელოვანი" შეხვედრა

ლონდონი, 26 სექტემბ. ლონდონის გაზეთების ჟენეველ კორესპონდენტების ცნობით, ბრიანისა და შტრეზემანის შეხვედრა ყველაზე მნიშვნელოვანია ლოკარნოს შემდეგ. მინისტრებმა საათზე მეტი ისაუბრეს საფრანგეთ - გერმანიის ურთიერთობის საკითხების გარშემო. როგორც კორესპონდენტები ამტკიცებენ, ბრიანმა მიუთითა შტრეზემანს, რომ თუმცა ის სავსებით ანგარიშს უწევს მოტივებს, რომლებმაც აიძულეს ინგლისი კავშირი გაეწყვიტა საბჭოთა კავშირთან, საფრანგეთი მაინც რამოდენიმედ სხვანაირ მდგომარეობაშია და ამიტომ სერიოზული მიზეზის გაჩენამდე ის შეინარჩუნებს დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან (ადს).

ამხ. დავთიანი თეირანში

თეირანი, 26 სექტემბერი. თეირანში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სპარსეთში ამხ. დავთიანი. მის საუბარს სპარსელ ვაჭრებთან ჰქონდა მეგობრული ხასიათი. (ადს).

მისალმება საფრანგეთის გემთ-კვების მუშაკთა კონგრესს

მოსკოვი, 27 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის გემთ-კვების მუშაკთა კავშირის ცეკამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საფრანგეთის გემთ-კვების მუშაკთა უნიტარული კავშირი კონგრესს, რომელიც ბორდოში მიმდინარეობს. (ადს).

ოქტომბრის ზეიმზე მოპატიჟება

მოსკოვი, 27 სექტემბერი. ფართლის მრეწველობის მუშებმა ლოდძის საფეიქრო ფაბრიკის მუშები მოიპატიჟეს ოქტომბრის ზეიმზე. (ადს).

მოდიან საბჭოთა კავშირში

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი. არგენტინის ყველაზე დიდმა პროფესიონალურმა ორგანიზაციამ „პროფესიონალურმა გაერთიანებამ" დაადგინა გაგზავნოს საბჭოთა კავშირში დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულში (ადს).

მზადება საბჭოთა კავშირში დელეგაციების გაგზავნისათვის

ლონდონი, 26 სექტემბერი. ცენტრალურმა კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს ინგლისის მუშათა დელეგაციის გაგზავნა საბჭოთა კავშირში ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის ზეიმზე, მიმართა წერილით დანარჩენ ქვეყნების ასეთივე ორგანიზაციებს, რომელთაც წინადადებას აძლევს მოიწვიონ მოსკოვში ზეიმზე მიმავალ ყველა დელეგაციების კონფერენცია იმ მიზნით, რომ განხილულ იქნას ომის საფრთხისა საბჭოთა კავშირის დაცვის საკითხი.

ამერიკის დელეგაციის განცხადება

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი. ამერიკის მუშათა დელეგაცია, რომელმაც **შემოიარა საბჭოთა კავშირი, დაბრუნდა ნიუ-იორკში.** წინასწარ, მოგზაურობის სრული ანგარიშის გამოქვეყნებამდე, დელეგაციამ გამოაქვეყნა მოკლე ცნობა, რომელშიაც ნათქვამია:

„დელეგაციაზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა იმ ჯანსაღმა სულმა, რომლითაც გამსჭვალული არიან საბჭოთა კავშირის მუშები. მუშები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქვეყნის ცხოვრებაში. წარმოების დონე და რეალური სამუშაო ხელფასი საბჭოთა კავშირში ომის წინადროინდელზე უფრო მაღლა დგას. კერძო ვაჭრობა კვდება, კოოპერატიული— იზრდება. **საბჭოთა კავშირის პროფკავშირები წარმოადგენენ უძლიერეს ძალას** და ისინი სრულიად არ ექვემდებარებიან მთავრობის კონტროლს".

ცნობის ბოლოში დელეგატები აცხადებენ, რომ, მათი რწმენით, **საბჭოთა კავშირს სურს მშვიდობიანობა** (ადს).

რუსეთ-ინგლისის კომიტეტის ჩაშლის შემდეგ

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი. მუშათა პარტიის აღმასკომის წევრი **ხეტჩინსონი** გამოვიდა მუშათა „გამოკვლევის ბიუროს" მორიგ წლიურ კრებაზე. ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის შესახებ ხეტჩინსონმა განაცხადა:

„ეხლა გაწყვეტილია კავშირი ინგლისისა და საბჭოთა მუშათა მოძრაობებს შორის. **მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ მე ძალიან ვნანობ მას. ვფიქრობ, რომ ასევე ნანობს ყოველი შეგნებული მუშა. ჩვენი მოძრაობა ვერ განვითარდება სწრაფი ტემპით მანამდე, სანამ არ იქნება აღდგენილი მისი კავშირი საბჭოთა კავშირის მუშათა მოძრაობასთან და სანამ არ შეიქმნება ნამდვილი საყოველთაო მუშათა ინტერნაციონალი"** (ადს).

10 საათის სამუშაო დღე

ლონდონი, 26 სექტემბერი. 25 სექტემბერს მანჩესტერში შესდგა რკინის გზის ტრადიციული კარნავალი, რომელიც **რკინისგზის კომპანიამ და პროფკავშირებმა გამოიყენეს კლასთა თანამშრომლობის პროპაგანდისათვის.**

მემანქანეთა და ცეცხლფარეშთა კავშირის სახელით გამოვიდა **ბრომლეი,** რომელმაც განაცხადა: **„ჩვენ უნდა გავავრცელოთ ნდობა იმ პირებზე, რომლებიც სათავეში უდგანან რკინის გზებს, გავსწიოთ წინ ძმობისა და ერთობის გზით და შევქმნათ ერთი დიდი ბედნიერი ოჯახი".**

ტრედიუნიონების ლიდერების მუდმივი მოწოდებები მრეწველობაში მშვიდობიანობის დამყარების შესახებ **არწმუნებს მწარმოებლებს იმაში, რომ ინგლისის პროფმოძრაობას არ შეუძლია გაუწიოს მას წინააღმდეგობა.** ერთ-ერთმა უდიდესმა რკინის მკეთებელმა და ფოლადის ჩამომსხმელმა კონცერნმა „დორმან ლინგმა და კომპანიამ" გააფრთხილა მუშები, რომ **სამუშაო დღე გაგრძელებული იქნება 8 საათიდან 10 საათამდე,** ამასთანავე მუშების სამ რვა-საათიან ცვლის მაგიერ დაწესებული იქნება ორი ათსაათიანი ცვლა. **ამის გამო ერთი ცვლის მუშები დათხოვნილი იქნებიან.** (ადს).

მზადება მასიური დემონსტრაციისათვის

ბერლინი, 26 სექტემბერი. გერმანიის კომპარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის ორგანიზაციამ და მასში შემავალ საზოგადო ორგანიზაციებმა მიმართეს ბერლინის მშრომელთ მოწოდებით—მონაწილეობა მიიღონ 2 ოქტომბრისათვის ლიუსტგარტენში დანიშნულ დემონსტრაციაში, პროტესტი განაცხადონ იმავე დღეს ჰინდენბურგის საპატივცემო ალლუმის მოწყობის წინააღმდეგ, გაილაშქრონ ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ და მოითხოვონ საყოველთაო ამნისტია და მუშურ გლეხური მთავრობის შედგენა. მოწოდებაში სხვათა შორის აღნიშნულია, **რომ** სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადებმა უარჰყვეს წინადადება დემონსტრაციის შეთანხმებულად მოწყობის შესახებ და რომ ისინი განაგრძობენ **ბურჟუაზიულ ბლოკთან სამოქალაქო ზავის** პოლიტიკას (ადს).

ლოკაუტი ინდოეთში

ლონდონი, 26 სექტემბერი. **ლოკაუტი კალკუტა-ნაგპურის რკინის გზაზე გრძელდება. ინგლისური გაზეთები იუწყებიან სერიოზულ მღელვარების შესახებ ქუჩაში გამოყრილ რკინისგზელების შორის.** ამავე დროს მწიფდება კონფლიქტი სამხრეთ-ინდოეთის რკინის გზაზე, სადაც დათხოვნილია რკინისგზის სახელოსნოების 3.000 მუშა. (ადს).

ნიაღვარი შვეიცარიაში

ბერლინი, 26 სექტემბერი. უკანასკნელ ორ დღეში მოსულმა დიდმა **წვიმამ საგრძნობი ზარალი მიაყენა შვეიცარიის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილს.** ლეგანოს მახლობლად ტბაზე დაიღუპა ერთი გემი, დანგრეულია რამოდენიმე ხიდი. ერთ-ერთ სარკინისგზო ხაზზე ნიაღვარმა აგლიჯა ლიანდაგი და გადააბრუნა მატარებელი. დაიღუპა 9 მგზავრი.

გაფიცვის შეწყვეტა

ჩეხო-სლოვაკიაში

პრაღა, 26 სექტემბერი. გაფიცულ საამშენებლო მუშათა კრებამ 27 სექტემბერს დაადგინა შესწყვიტოს გაფიცვა (ადს).

ავსტრიაში

ვენა, 26 სექტემბერი. სამუშაო ხელფასის უმნიშვნელოდ გადიდების შემდეგ, ბუქარესტის მბეჭდავებმა შესწყვიტეს გაფიცვა, რომელიც რამოდენიმე კვირას გრძელდებოდა (ადს).

მასიური დაპატიმრება

ვენა, 26 სექტემბერი. საროკაში (ბესარაბია) **რუმინეთის ოხრანკის მიერ** ვითომდა არალეგალური კომუნისტური ორგანიზაციის აღმოჩენის გამო, **სწარმოებს მასიური დაპატიმრება** (ადს).

საერთაშორისო რადიო-კონფერენცია

მოსკოვი, 27 სექტემბ. მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას იღებდა ბერლინში გამართულ საერთაშორისო რადიო - კონფერენციის მუშაობაში. კონფერენციას დაესწრენ გერმანიის, ავსტრიის, დანიის, ჩეხო - სლოვაკიის და ჰოლანდიის დელეგატები. კონფერენციამ გამოჰყო სპეციალური კომისია მუშათა რადიო - ინტერნაციონალის მოსაწყობად, რომელიც მიზნად დაისახავს გამოიყენოს რადიო, როგორც კლასობრივი ბრძოლის პოლიტიკური და კულტურული იარაღი.

კონფერენციის მუშაობის დამთავრების შემდეგ საბჭოთა დელეგაციამ ბერლინში და ლეიპციგში გააკეთა მოხსენებანი საბჭოთა რადიოს შესახებ. ამ მოხსენებებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ბურჟუაზიულ წრეებში. (ადს).

მუშათა მოძრაობა

ინგლისის მემაღაროეთა მდგომარეობა

როგორც კუკმა აღნიშნა ერთ-ერთი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში, ივლისის დამლევს შრომის ბირჟებში აღრიცხულ უმუშევარ მემაღაროეთა რაოდენობა უდრიდა 258.203 კაცს. მარტო დერგემში, ინგლისის ერთ-ერთ უდიდეს საქვანახშირო რაიონში, უმუშევრათ ითვლებოდა 63.498 მემაღაროე, ე. ი. ამ რაიონის მემაღაროეთა 40 პროც.-ი. სამხრეთ-უელსში აღრიცხული იყო 56.171 უმუშევარი. ამ რიცხვს უნდა მოემატოს კიდევ უმუშევართა მთელი არმია (კუკის აზრით, 50—100 ათასი კაცი), რომელიც ამოშლილია უმუშევართა სიიდან, რადგან ვადამ, რომლის განმავლობაში აი უმუშევართ ეძლეოდა დახმარება, განვლო. ამრიგად, უმუშევარ მემაღაროეთა რიცხვი 350.000-დი აღწევს.

„მე არასოდეს არ ვყოფილვარ მოწამე ისეთი სიღატაკის, როგორსაც ახლა ადგილი აქვს მემაღაროეთა შორის", — განაცხადა კუკმა და ყველანი, ვისაც კი მცირეოდენი კეთილსინდისიერება შერჩენია. იძულებული არიან დაეთანხმონ მას. იმის შემდეგ, რაც ზემოხსენებული ციფრები იქნა გამოქვეყნებული, უმუშევრობა კიდევ უფრო გაიზარდა.

ვაჭრობის სამინისტროს ცნობებით, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მუშაობდა 101.400 მემაღაროეთ ნაკლები, ვიდრე 1926 წ. გაფიცვის დაწყების წინ. იმას, რომ მემაღაროები უმრავლეს შემთხვევაში მუშაობენ არა-სრულ დროს, ამტკიცებენ ცნობები სამუშაო დღეების საშუალო რაოდენობის შესახებ ყველა მაღაროებში, ივნისში ეს ციფრი შეადგენდა თითქმის 4 ნახევ. დღეს (კვირაში) იმ მაღაროებში, სადაც მუშაობს მემაღაროეთა 57 პროცენტი.

გაყიდული ნახშირის რაოდენობა მეორე კვარტალში უდრიდა 61.859.800 ტონას, ე. ი. 5.000.000 ტ. ნაკლები იყო, ვიდრე პირველ კვარტალში. ეს იმას ამტკიცებს, რომ გაძლიერებული მოთხოვნილება ნახშირზე, რაც შედეგათ მოჰყვა 1926 წ. გაფიცვის ჩაშლას, შენელდა.

მარტიდან ივნისამდე საექსპორტო ნახშირის საშუალო ფასი დაეცა 18 შილინგიდან 6 პენსიდან (ტონაში) 17 შილინგამდე და 10 პენსამდე. ივლისის ფასები დაეცა კიდევ 7 პენსით და ამრიგად ინგლისის ნახშირზე დამყარდა ყველაზე ნაკლებ ფასი, რომელიც კი არსებობდა ომის შემდეგ. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, როგორც მწუხარებით აღნიშნავს „ფინანშიელ ტაიმს", ფასების დაცემას არ გამოუწვევია მოთხოვნილების ზრდა ნახშირზე

რაც შეეხება შრომის ხელფასს, იგი, თავისთავად ცხადია, მუდმივ დაბალ დონეზე სდგას. ხელფასის ეს დონე დაწესებულ იქნა ე. წ. „რაიონულ შეთანხმებებით".

მოყავს რა ეს ცნობები, მემაღაროეთა ორგანო „მაინერ"-ი შექმნილ მდგომარეობას ახასიათებს, როგორც „შეუჩერებელ ქროლვას უფსკრულისაკენ".

„ეჭვს გარეშეა, — სწერს მემაღაროეთა ორგანო, — რომ ასე გაგრძელდება მანამდი, სანამ მაღაროს პატრონებს არ შეუძლიან ხელს მსოფლიო მრეწველობის ამ ერთ-ერთი უდიდესი დარგის დანგრევაში. მაგრამ მემაღაროებს არა აქვთ განზრახვა მუდმივ ითმინონ ის მდგომარეობა, რომელშიც ისინი ჩააყენეს".

რეფორმისტების პროვოკაცია

ნიუ-იორკის ბეწვეულის მრეწველობის მუშათა გაფიცვა, რომელსაც პროფმოძრაობის მემარცხენე ფრთა ხელმძღვანელობდა და რომელიც სრული გამარჯვებით დასრულდა, მოსვენებას არ აძლევს რეფორმისტებს ამერიკის შრომის ფედერაციიდან. მემარცხენეთა სახელის გატეხის მიზნით, რეფორმისტებმა გაავრცელეს ხმები, თითქო გაფიცვის ხელმძღვანელებმა გაფლანგეს პროფკავშირების ფულები და ქრთამები მისცეს პოლიციას.

ნიუ-იორკის ქალაქის თავმა სპეციალური გამოძიება დანიშნა ამ საქმეზე. საქმის ყოველმხრივ გამოკვლევისა და მოწმეების დაკითხვის შემდეგ, გამოირკვა ქრთამის მიცემის შესახებ წამოსროლილი ბრალდების სრული უსაფუძვლობა. მაგრამ გამომძიებელს დავალებული ჰქონდა მემარცხენე ლიდერებისათვის ლაქის მოცხება ყოველ მიზეზს გარეშე და მან თავის დასკვნაში შემდეგი შენიშვნა შეიტანა: „ბრალდება ქრთამის მიცემაში დაუსაბუთებელია, მაგრამ; რადგან მემარცხენე ბელადებს თავის დროზე არ წარუდგენიათ ანგარიშები გაფიცვის მოწყობაზე დახარჯულ თანხების შესახებ, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ; რომ კავშირის ფულები დაიხარჯა სხვა ბინძურ მიზნებზე".

ამერიკის პოლიციისათვის ქრთამის მიცემის შესახებ წამოყენებულ ბრალდებას მიზნად ჰქონდა სახელის გატეხა მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც გაფიცვას ხელმძღვანელობდენ. ამჟამად, ამერიკის ბეწვეულის მრეწველობის მუშები კვლავ გაფიცვის გამოცხადებით იმუქრებიან. ახალი გაფიცვის გამოცხადება მიზნად ისახავს აიძულოს მწარმოებლები იცნონ მემარცხენე ფრთის თანამდებობის პირნი. მემარჯვენე ფრთა, თავის მხრივ ცდილობს გაიყვანოს პროფკავშირების ხელმძღვანელ პოსტებზე თავიანთი წარმომადგენლები.

მოსალოდნელ გაფიცვასთან დაკავშირებით, პოლიცია და კაპიტალისტური იუსტიცია ამერიკის შრომის რეფორმისტული ფედერაციის ლოცვა-კურთხევით სასტიკ რეპრესიებს მიმართავს მემარცხენე ფრთის წარმომადგენლების წინააღმდეგ. ბეწვეულის მრეწველობის მუშათა კავშირის რამოდენიმე ასეული მემარცხენე წევრი ციხეში ჩაჰყარეს. მრავალი მემარცხენე მუშა დააჯარიმეს. კავშირის მემარცხენე ფრთა დაუძლურებული და დარბეულია. ასეთ პირობებში ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ბედი ეწევა მოსალოდნელ გაფიცვას. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, პროფკავშირების წევრთა მასა თანდათანობით სცილდება რეფორმისტებს და მემარცხენე ბელადების გარშემო ირაზმება.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მიწისძვრისაგან გამოწვეული ზარალი ყირიმში 32 მილიონ მანეთამდე აღწევს

მოსკოვი, 27 სექტემბ. ყირიმის ცაკის კომისიამ გამოარკვია, რომ მიწისძვრისაგან გამოწვეული ზარალი ყირიმში აღწევს 31.379.000 მანეთს. ყველაზე უფრო დაზარალდა იალტის რაიონი — 22 მილიონ მანეთზე მეტით, სევასტოპოლის — 8 მილ., სიმფეროპოლის — 1 მილ. და სხვ. (ადს).

ნავთის გადაქაჩვა ბაქოდან — ბათომში 1927—28 წ.

მოსკოვი, 27 სექტემბ. გზათა სახალხო კომისარიატთან შემდგარ თათბირზე, რომელსაც დაესწრენ ს. მ. უ. საბჭოს და ვაჭრობის სახ. კომისარიატის წარმომადგენლები, გამოირკვა, რომ 1927—28 წელში ბაქო — ბათომის ნავთსადენით შესაძლებელია მხოლოდ 590.000 ტონა ნავთის გადაქაჩვა, 200.000 ტონა კი გადაზიდული უნდა იქნას რკინისგზით.

თათბირმა დაადასტურა, რომ ნავთსადენის გადაკეთება დამთავრდება 1928 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის, თუ „გლავმეტალი" დროზე დასდგამს საქაჩავს (ადს).

უცხოელები მოსკოვში

მოსკოვი, 27 სექტემბერი. მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკის დეპეშათა სააგენტოს „იუნაიტედ პრესის" დირექტორი **ბლიკელი**. მისი ჩამოსვლის მიზანია საბჭოთა კავშირის გაცნობა.

მოსკოვში აგრეთვე ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიულ პარტიის თავმჯდომარე **ერლიხ კოხი** (ადს).

საბჭოთა მანქანებით მოსკოვიდან სევასტოპოლამდე

სევასტოპოლი, 27 სექტემბერი. 25 სექტემბერს სევასტოპოლში ჩამოვიდნენ „ნამის" კონსტრუქციის საბჭოთა ავტომობილები, რომლებიც ახდენენ გადარბენას: მოსკოვი-სევასტოპოლი-მოსკოვი. მთელი გზა მანქანებმა გაიარეს 41 საათში. გზაში არც ერთი მანქანა არ დაზიანებულა. შინებში არც ერთხელ ჰაერი არ შესულა.

ცოტა ხნის დასვენების შემდეგ მანქანები წავიდენ იალტაში, საიდან დაბრუნდებიან უკან მოსკოვში (ადს).

არაჩვეულებრივი თბილი შემოდგომა რ. ს. ფ. ს. რ-ში

ტომსკი, 27 სექტემბერი. ზაფხულის ცხელი ამინდი დადგა. ტემპერატურა 25 გრადუსამდე აღწევს (ადს).

ტომბოვი, 27 სექტემბერი. სექტემბრის ბოლოს ზაფხულის ამინდი დადგა. ტემპერატურა 35 გრადუსამდე აღწევს (ადს).

ტულა, 27 სექტემბერი. არაჩვეულებრივი თბილი დარებია. ალაგ-ალაგ ხეხილები ხელმეორედ აყვავდენ (ადს).

ახალი ბიძგები ყირიმში

სიმფეროპოლი, 27 სექტემბ. 24 და 25 სექტემბერს ისევ ჰქონდა ადგილი უმნიშვნელო ბიძგებს გურზუფში, იალტაში, ევპატორიაში და ალუშტაში. ახალ ნგრევას და მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია. მთელ ყირიმში ისევ დადგა თბილი ამინდი. ევპატორიაში ბანაობენ. კურორტებზე ისევ ბევრი ხალხი მოდის. (ადს).

ხელფასის პერსპექტივები მრეწველობაში

მოსკოვი, 24 სექტემბერი. მოწინავე წერილში „სამუშაო ხელფასის პერსპექტივები მრეწველობაში" „ტრუდ"-ი სწერს:

„ახალ სამეურნეო წელთან დაკავშირებით საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი ს. მ. უ. საბჭოსთან ერთად შეუდგა იმის გამორკვევას, თუ რამდენად შესაძლებელია სამუშაო ხელფასის გადიდება მომავალ წელში.

სამუშაო ხელფასის მოძრაობის შედეგები წარსულ წელში უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. მაგრამ წარსულ წელში მიღწეულმა შედეგებმა მხოლოდ ნაწილობრივ გადასჭრა ჩამორჩენილ ჯგუფებისათვის ხელფასის მომატების საკითხი.

საკავშირო პროფსაბჭოს და ს. მ. უ. საბჭოს წინასწარი შეთანხმება ითვალისწინებს მომავალ წლისათვის სამუშაო ხელფასის საერთო ზრდას მრეწველობაში, 1926—27 წელთან შედარებით 6,5 პროცენტით, რაც დაახლოებით შეადგენს 100 მილიონ მანეთის ხარჯს სამუშაო ხელფასისათვის, ახალ სამუშაო ძალისათვის საჭირო ხარჯებთან ერთად კი ეს შეადგენს 130 მილიონ მანეთს, ე. ი. სამუშაო ხელფასის ფონდის ზრდა 1927—28 წლისათვის გამოიხატება 9 პროცენტზე მეტით.

სამუშაო ხელფასის მომატება გათვალისწინებულია 6 ნახ. პროცენტით; აქედან 2 პროცენტის გამოყენება განზრახულია უშუალოდ მუშათა მცირე ხელფასიან კატეგორიების სატარიფო ქსელის ასაწევად. ამ ფონდით შესაძლებელი იქნება კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლა დადების დროს ჩატარდეს სამუშაო ხელფასის მომატება 5-დან 10 პროცენტამდე. დაახლოებით 700.000 მუშისათვის, 2 მილიონზე მეტ მუშათა საერთო რიცხვიდან.

ეს წინასწარი ანგარიში მომავალ წლისათვის აგებულია იმის ვარაუდზე, რომ მუშაობის ნაყოფიერებამ უნდა აიწიოს დაახლოებით 13 პროცენტით და ხელფასის რეალურმა ზრდამ კი, ფასების შემდგომი დაწევის საშუალებით, არა უმცირეს 5 პროც. ამგვარად რეალურ სამუშაო ხელფასის ზრდის ტემპი მომავალ წელში არ შენელდება მიმდინარე წელთან შედარებით.

პროფკავშირთა ღონისძიებები მუშათა ჩამორჩენილ ჯგუფებისათვის ხელფასის ნამდვილად მოსამატებლად უნდა მიმართული იქნეს იმისკენ, რომ შეიქნას პირობები შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის არანაკლებ 13 პროც.

ეს მნიშვნელოვნად ასწევს მუშათა ხელფასს მთელს მრეწველობაში. ამასთან ერთად პროფკავშირებმა უნდა განაგრძონ ბრძოლა ფასების შემდგომი დაწევისათვის და მუშათა რაიონების მომარაგება საქმის უკეთეს ორგანიზაციისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას რეალურ სამუშაო ხელფასის ზრდა გეგმით გათვალისწინებულ ზომით".

ამხ. ვოროშილოვი ოდესის საბჭოს პლენუმზე

ოდესა, 27 სექტემბერი. ოდესის ქალაქის საბჭოს გაფართოებულ პლენუმზე, რომელსაც დაესწრო 5.000 კაცი, გამოვიდა ამხ. **ვოროშილოვი**, ის დაწვრილებით შეეხო საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების ამოცანებს. მან მოკლედ დაახასიათა საბჭოთა კავშირის რთული საერთაშორისო მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევასუსტოთ მუშაობა საბჭოთა კავშირის ფართო მასების ჩასაბმელად ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საზღვრების დაცვის მომზადების საქმეში. ჩვენი მტრები ისე უყურებენ კომკავშირელთა და თავდაცვა-ავიაქიმ საზოგადოებს წევრთა ლაშქრობებს და წითელ არმიის მანევრებს, როგორც იარაღის ჟღარუნს, მაგრამ ამან ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს. ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ყველა ზომები, რათა უდიდეს შეტაკების დასაწყისისათვის ჩვენ ვიქნეთ რაც შეიძლება მტკიცედ და ორგანიზაციულად შეკავშირებული, ნამდვილად ვიქნეთ მზად გადამწყვეტი ბრძოლისათვის (ადს).

ამხ. ვოროშილოვის ბრძანება

ოდესა, 27 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სამხედრო საზღვაო სახალხო კომისრის, ამხ. **ვოროშილოვის** მიერ ოდესაში გაცემულ ბრძანებაში ნათქვამია:

„წარსული ზაფხული შავი ზღვის წითელმა ფლოტმა გაატარა სწავლაში. დახარჯულ შრომას ტყუილად არ ჩაუვლია. სწავლების საზაფხულო პერიოდი დასრულდა შავი ზღვის ფლოტის მონაწილეობით შეთანხმებულ მანევრებში უკრაინის სამხედრო ოლქის ჯარებთან. მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში ჩატარებულმა სადესანტო ოპერაციამ, ნაპირზე გადასულ ფეხოსანი ჯარის დაცვამ არტილერიის ცეცხლით და, ბოლოს, ქვეითი ჯარის გასვლამ ზღვაში 22 სექტემბერს საკომანდო-პოლიტიკურ შემადგენლობასთან ერთად, დაამტკიცა, რომ გემები საკმაოდ მომზადებულნი არიან, რომ გაწვრთნილია მათი პირადი შემადგენლობა და გაუმჯობესებულია გემების მატერიალური მხარე. საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო მადლობას უხდის შავი ზღვის წითელი ფლოტის პირად შემადგენლობას და მოუწოდებს მათ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ სამხედრო ძალების შემდეგ განმტკიცებისაკენ. საბჭოთა კავშირის მშრომელთ შეუძლიათ დარწმუნებული იყონ იმაში, რომ შავი ზღვის წითელი ფლოტის სახით მათ ჰყავთ ოქტომბრის მონაპოვართა ერთგული და მრისხანე დამცველი". (ადს).

ამხ. ბუბნოვი ოდესის მანევრების შესახებ

ოდესა, 27 სექტემბერი. უკრაინის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტებთან საუბარში საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრმა ამხ. ბუბნოვმა განაცხადა:

„ოდესის მანევრები ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ამ თავითვე შეიძლება აღვნიშნოთ ზოგიერთი შედეგები. პირველ ყოვლისა საჭიროა აღვნიშნოთ მიღწევები ჯარების სამხედრო მომზადებაში და ქვეითა ჯარის მაღალი მორალური თვისებები. დაწინაურება ეტყობა სამხედრო მომზადებაში პოლიტშემადგენლობასაც. მანევრების ერთ-ერთ დადებით შედეგად უნდა აღინიშნოს ის უდიდესი ინტერესები, რომელიც გამოიჩინეს მანევრებისადმი ოდესის მშრომელთა ფართო მასებმა (ადს).

ოქტომბრის მიღწევათა გამოფენა საზღვარგარეთ

მოსკოვი, 27 სექტემბერი. უცხოეთთან კულტურულ კავშირის სრულიად საკავშირო საზოგადოება ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისათვის აწყობს უცხოეთის სხვადასხვა დიდ ცენტრებში მოძრავ გამოფენას გამოფენამ უნდა გამოაშკარაოს საბჭოთა მთავრობის მიღწევები ათი წლის განმავლობაში. გამოფენები მოეწყობა ბერლინში, პარიზში, ანგორაში და ნიუ-იორკში. ერთი თვის შემდეგ ეს გამოფენები ამ პუნქტებიდან გადატანილი იქნება ვენაში, პრაღაში სტოკჰოლმში, ბერნში, ათინაში, სტამბოლში, თეირანში, ჩიკაგოში და ტოკიოში.

გამოფენებს ექნება შემდეგი მთავარი განყოფილებები: ეროვნული პოლიტიკა, მრეწველობა და ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობა, საშინაო და საგარეო ვაჭრობა. კოოპერაცია, საფინანსო და საბანკო სისტემა, ტრანსპორტი, ფ.-ტ. სახ. განათლება: მეცნიერება, ხელოვნება, კომუნალური მეურნეობა, ბინათმშენებლობა, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, წითელი არმია (ადს).

სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენა

მოსკოვი, 27 სექტემბ. საბჭოთა კავშირის სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კუიბიშევმა ნება დართო მოეწყოს ლენინგრადში საბჭოთა მრეწველობის მიღწევათა სრ. საკავშირო გამოფენა. ჩვენი მრეწველობის მიღწევათა პოპულარიზაციის გარდა, გამოფენა ინჟენერთა, ტეხნიკოსთა ფართო წრეებს, და აგრეთვე მუშათა მასებს გააცნობს ახალ მიღწევებს ტეხნიკისა და მეცნიერების დარგში. გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ პარტიული, სამეურნეო, პროფესიონალური ძალები და აგრეთვე გამოჩენილი მეცნიერები და სპეციალისტები (ადს).

ამხ. სერებროვსკი მრეწველობის ლითონით მომარაგების შესახებ

მოსკოვი, 27 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა ნავთის და ლითონის ტრესტებს მიმართა ცირკულიარული წერილით, რომელსაც ხელს აწერენ ამხ. სერებროვსკი და მეჟლაუკი. წერილი მოუწოდებს ტრესტებს ითანამშრომლონ ნავთის მრეწველობისათვის საჭირო ლითონის ნაწარმოების დამზადების სისტემის რაციონალიზაციის საქმეში. წერილში ნათქვამია, რომ ნავთის ტრესტების საიმპორტო დაკვეთებში შეტანილია ისეთი მოწყობილობანი, რომელთა დამზადება საბჭოთა კავშირში ადვილად შეიძლება, თუ ნავთის და ლითონის ტრესტები შეთანხმებულად გაეცნობიან მათი დამზადების და მოთხოვნილების საქმეს. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ლითონის და ნავთის ტრესტებს დაუყოვნებლივ დაგზავნონ ცალკე სპეციალისტები და აგრეთვე კომისიები ლითონის ქარხნების და ნავთის სარეწაოების მუშაობის გასაცნობად. პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს „გომზას", ვინაიდან უმთავრესად სწორედ აქ არის განზრახული ნავთის მრეწველობისათვის საჭირო მანქანების აღმშენებლობის გაფართოება. ამის გამო საჭიროა „გომზას" სპეციალისტები გაეცნონ „აზნეფტის" და „გროზნეფტის" ტეხნიკურ მოთხოვნილებებს, ხოლო უკანასკნელთა სპეციალისტები გაეცნობიან ნავთის მრეწველობისათვის საჭირო ლითონის მოწყობილობათა დამზადების საქმეს „გომზას" ქარხნებში (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

დახმარება ყირიმს

ბაქო, 27 სექტემბერი. შესდგა ბაქოს საბჭოს პლენუმის გაფართოებული სხდომა, რომელიც მიძღვნილი იყო შვებულებაში წასულ წითელ არმიელებისადმი.

კრებამ მოისმინა რა ცნობა მიწის ძვრის შესახებ ყირიმში, დაადგინა დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს მიწისძვრისაგან დაზარალებულთ 5.000 მან. (ადს).

ფულის დაგროვების ორკვირეული

ბაქო, 27 სექტემბერი. ფულის დაგროვების ორკვირეულისათვის, რომელიც დაიწყება 1 დეკემბრიდან, მუშათა რაიონებში და მაზრებში ჩატარებულ იქნა წინასწარი ორკვირეული აგიტკამპანია. იბეჭდება სათანადო ლიტერატურა ყველა მუშათა კლუბებში გამოფენილია პლაკატები, რომელშიაც ჩამოთვლილია შემნახველი სალაროს ყველა ოპერაციები (ადს).

აზნავთის გამოფენა

ბაქო, 27 სექტემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლისთავისათვის აზნავთი აწყობს აზნავთის ყველა დარგების მუშაობის დამახასიათებელ ექსპონატების გამოფენას. გამოფენაზე მოდელებითა და თურქულ-რუსულ ენებზე შედგენილ დიაგრამებით დახასიათებული იქნება ნავთის სარეწავების მუშაობა ომის წინადროინდელ, რევოლიუციის ხანის და გასაბჭოების შემდეგ პერიოდებში. ათი წლისთავისათვის გამოშვებული იქნება ცალკე ბროშიურა უკანასკნელ 2 ნახ. წლის განმავლობაში წარმოების რაციონალიზაციის საკითხის შესახებ. ჟურნალი „აზერბეიჯანის ნავთის მეურნეობა" უშვებს სპეციალურ ნომერს. სხვადასხვა რაიონებში საძირკველი ჩაეყრება მთელ რიგ მუშათა სახლებს. (ადს).

აზერბეიჯანის ცაკის მეორე სესია

მოხსენებები

ლენქორანი, 27 სექტემბერი. ლენქორანის ალმასკომის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდა ამხ. **ბოგუში** (კასპიის სანაოსნო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე), რომელმაც აღნიშნა, რომ აუცილებელია ნავთსადგურის აგება ლენქორანში. მან განაცხადა, რომ ნავთსადგურის უქონლობა ლენქორანში იწვევს ძალიან ბევრ ზედმეტ ხარჯებს. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **გამიდ სულთანოვმა**, რომელმაც აღნიშნა საბჭოთა ხელისუფლების დიდი მიღწევები განათლების დარგში. „მაგრამ მხოლოდ ცენტრალურ მთავრობას არ ძალუძს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია,—განაცხადა ამხ. გამიდ სულთანოვმა აუცილებელია თვით მოსახლეობის ინიციატივა და დახმარება ამ საქმეში".

ამხ. **ბუნიატ-ზადემ** აღნიშნა, რომ ლენქორანის მაზრა განიცდის მიწის ნაკლებობას. მიღებულ უნდა იქნას ზომები მიწის ნაკლებობასთან ბრძოლისათვის: უნდა შემცირდეს საძოვრების სივრცე და ეს მიწები გადაეცეს მცირე მიწის მქონე გლეხებს. ზომები უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე ტეხნიკური კულტურის განვითარებისათვის.

ამხ. **შირალ ახუნდოვის** საბოლოო სიტყვის შემდეგ ამხ. **თეიმურ ალიევმა** გააკეთა მოხსენება ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

26 სექტემბერს სესიამ გამოჰყო სამი კომისია მურიუკის, მასალინის, პირშიბანის და ასტრახან ბაზარის დაირას გამოსაკვლევად. კომისიები გაემგზავრენ ადგილობრივ და დაბრუნების შემდეგ სესიას გაუკეთებენ მოხსენებებს გამოკვლევის შედეგების შესახებ. ხვალ სესია მონაწილეობას მიიღებს ჩაის პლანტაციების დარგვაში და ბრინჯის საცდელი სადგურის საძირკვლის ჩაყრაში. საღამოთი სესია გაემგზავრება ასტარაში, სადაც განაგრძობს თავის მუშაობას და მიიღებს მონაწილეობას ელექტრო სადგურის, სავადმყოფოს, კლუბის და ბავშვთა სახლობის საძირკვლის ჩაყრაში.

ცაკის თავმჯდომარე ამხ. **აღამალი-ოღლი** და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მუსაბეკოვი** ყოველდღე იღებენ დეპუტაციებს მახლობელი სოფლებიდან (ადს).

ამხ. მიხა ცხაკაიას მისალმება

საბჭოთა აზერბეიჯანის მუშებს და მშრომელ გლეხობას—თურქებს და ეროვნულ უმცირესობათ ჩემი მხურვალე სალამი და გამარჯვების გულწრფელი სურვილი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა, სასოფლო მეურნეობის განვითარებისა და სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. გაუმარჯოს ლენქორანის მშრომელთ მჭიდრო კავშირში თავის მუშურ-გლეხურ უზენაეს ორგანოსთან—აზერბეიჯანის ცაკთან! გაუმარჯოს აზერბეიჯანის ცაკის მეორე სესიას! დაე, თავის მუშაობაში ის ხელმძღვანელობდეს შეუცვლელი ლენინიზმით, კომუნიზმით, რევოლიუციონური მარქსიზმით! გაუმარჯოს აზერბეიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს! გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას ლენინის კომპარტიის ხელმძღვანელობით! გაუმარჯოს ჩინეთის დიდ რევოლიუციას! ძირს ინგლისის და სხვა მტაცებელი იმპერიალისტები! ძირს მათი ომი! ძირს მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალის სოციალ-მოღალატეთა მენშევიზმ რეფორმიზმი! გაუმარჯოს ძლევა მოსილ მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას! გაუმარჯოს მის ბელადს და დიად შტაბს—კომინტერნს! გაუმარჯოს კომინტერნის სახელოვან ხელმძღვანელ სექციას—ლენინის საკ. კომ. პარტიას (ბ)! ძირს ყოველგვარი ოპოზიცია მთლიან კომინტერნს და მთლიან საკ. კომ. პარტიაში (ბ)! კიდევ ერთხელ ჩემი მხურვალე სალამი აზერბეიჯანის ცაკის მეორე სესიის დელეგატებს, მუშებს და გლეხებს. ულრმესად ვწუხვარ, რომ მოკლებული ვარ ამ სესიაზე დასწრების საშუალებას.

ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

უვადო შვებულებაში დათხოვნილ წითელ არმიელებს

საქართველოს ცაკის მიმართვა

ძვირფასო ამხანაგებო!

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, რომლებმაც ორი წელიწადი დაჰყავით კავკასიის გმირული და სახელოვანი წითელდროშოვან არმიის რიგებში. ეს ორი წელიწადი სამუდამოდ დაუვიწყარი იქნება მთელ თქვენ სიცოცხლეში. თქვენ იხდიდით თქვენ მოვალეობას—ასრულებდით სავალდებულო სამხედრო სამსახურს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისათვის. ჩვენი სამშობლო არ გავს ბურჟუაზიულ სამშობლოს. რომელიც მუშებს და გლეხებს სჩაგრავს და ყვლეფს. ჩვენი სახელმწიფო,—ეს მუშების და გლეხების სახელმწიფოა. ამიტომ თქვენ მოწოდებული ხართ მის დასაცავად. ჩვენ ომის და სხვა სახელმწიფოებზე დავდასხმის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ გვაინტერესებს ჩვენი მშვიდობიანი შრომა და ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობა.

მაგრამ მსოფლიო მტაცებელი ბურჟუაზია ჩვენ მუდამ გვემუქრება თავდასხმით და ომით, რათა ხელი შეგვიშალონ ჩვენ ნაყოფიერ მუშაობაში.

ამიტომ ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყოთ, რომ ჩვენ მტრებს პასუხი გავსცეთ. მართალია, თქვენ ახლა მიდიხართ უვადო შვებულებაში, მაგრამ თუ გარემოება მოითხოვს, თქვენ კვლავ დაუბრუნდებით წითელ ჯარის რიგებს, რათა მუშათა კლასთან ერთად ყველამ ერთად გაუმკლავდეთ მუშების და გლეხების მტრებს და გავსცეთ მათ საკადრისი პასუხი.

ამხანაგებო წითელ-არმიელებო! წითელ-არმიაში ყოფნის დროს თქვენ არა მარტო იხდიდით თქვენ მოვალეობას. მოვალეობას საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქისა, არამედ თქვენ იმავე დროს იძენდით სხვადასხვა საჭირო სწავლა-ცოდნას, ასე რომ თქვენ ბრუნდებით სახლში უკვე გათვითცნობიერებულნი და გამობრძმედილი, თქვენ ახლა იცით ავიც და კარგიც, შეიძინეთ ბევრი ისეთი რამ, რაც საჭიროა საბჭოთა ქვეყნის ყველა შეგნებული წევრისათვის. საჭიროა, რომ რაც თქვენ შეიძინეთ ჩვენ წითელ ყაზარმაში, რაც თქვენ აქ შეითვისეთ, ყოველივე ეს შინ დაბრუნების შემდეგ, სოფელში თუ ქალაქში, განავითაროთ და აგრეთვე გამოიყენოთ სავსებით თქვენი აქტიური მონაწილეობით საბჭოების, კოოპერატივების, გლეხკომების და სხვა ორგანიზაციებში იქ მუშაობის წარმოებით. თქვენ წარმოადგენთ კულტურულ ძალას, რაც ასე საჭიროა განსაკუთრებით ჩვენი სოფლისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ თქვენ ყოველგან და ყოველთვის, იქნება ეს ომის ველზე, თუ კულტურულ მუშაობის ასპარეზზე, ღირსეულად დაიცავთ როგორც წითელ-არმიელის სახელს, ისე ჩვენ წითელ სოციალისტურ დროშას.

კიდევ გიძღვნით მხურვალე სალამს და გისურვებთ გამარჯვებას.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სახკომსაბჭოს მიმართვა

ძვირფასო ამხანაგებო!

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რიგებში გატარებული ორი წლის შემდეგ თქვენ უბრუნდებით თქვენს კერას, მშვიდობიან ცხოვრებას.

ამ ორი წლის განმავლობაში თქვენ რთული და მეტად მძიმე სამუშაო გქონდათ შესასრულებელი,—სამხედრო ხელოვნების შესწავლა,—რაც თქვენ ბრწყინვალედ შეასრულეთ, მაგრამ არა ნაკლები სამუშაო მოგელით მომავალში. არა ნაკლებ რთული ამოცანების განხორციელება გაქვთ დაკისრებული.

დღეს, როცა ჩვენი საგარეო მდგომარეობა ასე გართულებულია, როცა ევროპისა და მთელი ქვეყნის ბურჟუაზია, ინგლისელ შუბლ-მაგართა მეთაურობით, სცდილობს პროვოკაციაში ჩაგვითრიოს და მთლიანი ფრონტით თავს დაგვესხას, როცა საფრანგეთის რეაქციონური ბნელი ძალები ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკების ჩასაშლელად და ამით ჩვენი საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის გასართულებლად, დღეს თქვენ ათასჯერ უნდა გააძლიეროთ თქვენი სიფხიზლე, რათა პირველ დაძახებისთანავე, იარაღით ხელში, გამოხვიდეთ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად. ჩვენ მშვიდობიანობის პოლიტიკას ვაწარმოებთ, მაგრამ თუ ვინმე გაბედავს და თავს დაგვესხმება, მაშინ მთელი კავშირი, ყველა მუშა და გლეხი, ბრწყინვალედ დაიცავს საბჭოთა კავშირის 10 წლის მძიმე შრომითა და თავგანწირვით მონაპოვარს. ამ საქმეში თქვენ, უვადო შვებულებაში დათხოვნილ წითელარმიელებს, ყველაზე დიდი მოვალეობა გაქვთ დაკისრებული, ყველაზე მეტი სამუშაო გაქვთ შესასრულებელი. უპირველეს ყოვლისა, მთელი ის გამოცდილება, ის ცოდნა, რომელიც თქვენ აქ მიიღეთ, უნდა გადასცეთ თქვენს მოძმეებს, იმ ხალხს, რომლებმაც თქვენ ამ ორი წლის წინად წითელ არმიაში გამოგისტუმრათ. ამით თქვენ დიდ სამსახურს გაუწევთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეს.

ეს—ერთი.

მეორეც, თქვენ მთელი თქვენი ძალღონე უნდა მოახმაროთ ჩვენი ჩამორჩენილი მოსახლეობის კულტურულად ამაღლებას, ამისათვის კი საჭიროა წითელ არმიაში თქვენ მიერ მიღებული ცოდნა-გამოცდილება გამოიყენოთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა, გლეხთა შორის აგრონომიულ ცოდნის განვითარებისა, რევოლიუციონური კანონების განმტკიცებისა, საბჭოთა ძირითადი ორგანოების მუშაობის გაცხოველებისა, სოფლად კოოპერატიული ქსელის გაფართოებისა და სხვისათვის. ამით თქვენ ხელს შეუწყობთ და ყოველგვარად დაეხმარებით საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის პოლიტიკის გატარებას მოსახლეობის ფართე მასებში.

გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას თქვენზე დაკისრებული ამოცანების განხორციელებაში და იმედი გვაქვს ბრწყინვალედ შეასრულებთ თქვენს მოვალეობას.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

თბილისი—სასახლე.
1927 წ. სექტემბრის 27.

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

მეორე დღ. დილის სხდომა

კამათი ამხ. გოცირიძის მოხსენების გარშემო

მეორე დღის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. გოცირიძის მოხსენების გარშემო (დაზღვეულთა საექიმო დახმარების შესახებ).

ამხ. ლაბაძე
(ქ. ჭიათურა)

ორატორი ჩივის კბილის ექიმების და გინეკოლოგების ნაკლებობაზე. მასვე უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია სანგარიშო წიგნაკების შემოწმების შემოღება პუნქტებზე ან სარაიონო საავადმყოფოებში.

ამხ. ნადირაძე
(რაჭის მაზრა)

მაზრაში არ არსებობს საექიმო საკონტროლო კომისია. ამის გამო ავადმყოფებს ქუთაისში უხდებათ გამგზავრება და იქ გატარება კომისიაში. სამაზრო აღმასკომი ფინანსიურად უძლურია შეიტანოს თავის ბიუჯეტში მცირე თანხაც კი საექიმო დახმარების საჭიროებისათვის. აუცილებლად რაჭის მაზრის დამზღვევ სალაროებს უნდა მიეცეთ დოტაცია, რადგან მათ მოვალეობას შეადგენს დახმარება გაუწიონ იმ დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეების ოჯახის წევრებსაც, რომელნიც რაჭის მაზრის გარეთ იმყოფებიან სამსახურში

ამხ. ფურცელაძე
(ქ. ჭიათურა)

ორატორი აღნიშნავს, რომ საავადმყოფო საკმაო დიდი მანძილით არის დაშორებული მაღაროებზე. ამის გამო ძალიან ბრკოლდება უბედურ შემთხვევების დროს დაშავებულთა სასწრაფო დახმარება. საავადმყოფოები ვერ არიან მოწყობილი საექიმო ინსტრუმენტებით და აპარატებით.

ამხ. ბეჟანიშვილი
(წინანდ. სახ. მამული, თელავის მაზრა)

წინანდალის სახალხო მამულში საექიმო დახმარების დარგში მუშაობენ ექიმი, ფერშალი, და ბებია ქალი, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ არც ერთს მათგანს ქართული ენა არ ესმის და დახმარებისათვის მისული მოკლებულია საშუალებას სწორად გააგებიოს თავის სატკივარი, ორატორი მოითხოვს აგრეთვე ყურადღება მიექცეს საექიმო-სანიტარული განათლების საკითხებს სოფლად (ლოთობასთან ბრძოლას და სხვა).

ამხ. ჯიჯაძე
(მედსანშრომის მუშაკთა კავშირი)

მდგომარეობას ამწვავებს ის გარემოება, რომ საექიმო დახმარების საჭიროება თანდათან მატულობს, მაშინ, როცა საექიმო დახმარების ფინანსიური შესაძლებლობა იმავე პროგრესიით ვერ იზრდება. პროვინციაში სპეციალური ექიმების ნაკლებობის გამო, მთელი დასავლეთი საქართველო აწყდება თბილისს, რითაც უნდა აიხსნას ჩვენი საავადმყოფოების ზომაზე მეტად დატვირთვა. შემდეგ ორატორი პლენუმის ყურადღებას მიაქცევს მედსანშრომის მუშაკთა, უფრო მეტად, ექიმთა ხელფასის სიმცირეზე და მოითხოვს განხორციელებული იქნეს უმაღლეს ორგანოების დადგენილება, რომლის თანახმად ექიმთა ხელფასის დონე უნდა მიუახლოვდეს იმ მუშათა ხელფასის დონეს, რომელთაც ისინი საექიმო დახმარებას უწევენ.

ამხ. გოცირიძის საბოლოო სიტყვა

მომხსენებელი უპასუხებს ყველა ორატორებს. ამხ. ნანიკაშვილის საპასუხოდ მომხსენებელი ამბობს, რომ კომისარიატმა მიიღო სათანადო ღონისძიება, რომ საექიმო დახმარების გასაუმჯობესებლად მაზრაში შემოღებული ყოფილიყო ნებაყოფლობითი თვითდაბეგვრა. ქინაქინის ნაკლებობის შესახებ მომხსენებელი აცხადებს, რომ ეს ნაკლებობა გამოწვეული იყო ქინაქინის საერთო სიმცირით მთელ კავშირში. ამჟამად კრიზისი თანდათან ნელდება. ქინაქინის ერთი პარტია უკვე მიღებულია და განაწილებული. მეორე პარტია კი მოკლე ხანში იქნება მიღებული, ავადმყოფების თბილისში მოზღვავების მიზეზად მომხსენებელს მიაჩნია სპეციალისტ ექიმთა ნაკლებობა პროვინციაში, თუმც სპეციალისტ ექიმთა რიცხვი წინა წლებთან შედარებით მაზრებში თანდათან მატულობს. თვით კომისარიატისგანაც მიღებული იყო საგანგებო ზომები მაზრებისათვის დახმარების აღმოსაჩენად სპეციალური მკურნალობის დარგში: გაიგზავნა რამოდენიმეჯერ სხვადასხვა სამკურნალო რაზმები, რომელთაც მოიარეს საქართველოს ჩამორჩენილი კუთხეები.

ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად სწარმოებდა მივლინებები, ამ მოკლე ხანში განზრახულია თბილისში მოეწყოს მოკლევადიანი კურსები ექიმთა გადასამზადებლად.

საავადმყოფოების გეგმიანი მშენებლობა ხორციელდება იმის და მიხედვით თუ რამდენად მატულობს ამ საჭიროებისათვის გადადებულ თანხების რაოდენობა, სწორი გეგმიანი მუშაობის საწარმოებლად საექიმო დახმარების დარგში, მომხსენებელი აუცილებლად სთვლის, დაზღვეულთა სწორი აღრიცხვის საკითხისა და დახმარების ნორმების მოწესრიგებას.

ამით დამთავრდა კამათი დაზღვეული საექიმო დახმარების შესახებ. რეზოლიუციის გამოსამუშავებლად პლენუმმა აირჩია კომისია.

ფაბრიკა ქარხ. ადგილკომების გადარჩევა

ამხ. ალ. ფანცხავას მოხსენება

გასულ წელს არჩეულ ფაბქარხადგილკომების რწმუნების ვადა,—ამბობს მომხსენებელი,—უკვე დამთავრდა. მომხსენებელი ეხება ზემოხსენებულ პროფორგანიზაციების მუშაობას საანგარიშო წლის განმავლობაში და აღნიშნავს მათ საგრძნობ გამოცოცხლებას წინა წლებთან შედარებით. ინსტრუქციის თანახმად ძირითად პროფორგანიზაციებში იმატა მუშათა პროცენტმა, უპარტიოთა რიცხვმა და ქალების რაოდენობამ. კრებები ტარდებოდა უფრო ცოცხლად. კრებებზე მონაწილეობას ღებულობდა კამათში და აზრთა გაცვლა-გამოცვლაში წევრთა საგრძნობი ნაწილი.

ძირითად პროფორგანოების მუშაობის კიდევ უფრო გამოცოცხლებისათვის მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია მათი გადარჩევა ჩატარდეს ისეთივე წესით, როგორც გასულ წელს. მას საჭიროდ მიაჩნია, რომ პროფორგანოები შეივსონ ახალი ძალებით-მუშებით, მუშა-ახალგაზრდებით და მუშა ქალებით. უფრო მეტი ნაწილი პროფმუშაკების ახალი ძალებით უნდა იქნეს შეცვლილი: მაგრამ ამავე დროს უნდა დარჩენ ძველი მუშაკებიც ახალ პროფმუშაკთა გასაწვრთნელად და სახელმძღვანელოდ. საარჩევნო მუშაობა უნდა განისაზღვროს ორი საერთო კრების მოწვევით და იმ დაწესებულებებში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 50-ს აღემატება. პირველ კრებაზე მოსმენილი, განხილული და შეფასებული უნდა იქნეს ფაბ. ქარხ. ადგილკომის მუშაობის ანგარიში. ამავე კრებაზე წევრებმა უნდა მოისმინონ სარევიზიო კომისიის ანგარიშიც. ამავე კრებაზე უნდა აირჩეს საარჩევნო კომისია, რომელიც შეარჩევს კანდიდატებს, ძირითად პროფორგანოებში ასარჩევად. მოხსენებები დატვირთული არ უნდა იქნენ ციფრებით და მოსაწყენი დეტალებით. მოხსენება უმთავრესად უნდა ეხებოდეს ხელფასის, კულტურულ მუშაობის, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის და სხვა ასეთ საკითხებს. მეორე კრებაზე უნდა მოხდეს ფაბ. ქარხ. ადგილკომის გადარჩევა. კანდიდატებს კენჭი უნდა ეყაროთ ცალ-ცალკე და არა ერთად-ერთი სიის მიხედვით. იმ დაწესებულებებში, სადაც წევრთა რიცხვი 50-ზე ნაკლებია, საარჩევნო მუშაობის ჩატარება უნდა დაეკისროს საზოგადოებრივი ნებაყოფლობითი ორგანიზაციების აქტიურ მუშაკებს. წინასწარ კედლის გაზეთებში უნდა ჩატარდეს საარჩევნო კამპანია: მოთავსდეს წერილები ფაბ. ქარხ. ადგილკომის მუშაობის შესახებ და სხვ. საარჩევნო კრება კანონიერად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ კრებაზე გამოცხადდება წევრთა ორი მესამედი, ხოლო მეორე მოწვევის დროს წევრთა ნახევარი.

პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, სადაც მოწონებულია მომხსენებლის მიერ წამოყენებული ძირითადი დებულებები ფაბრ. ქარხ. ადგილკომების გადარჩევის შესახებ.

1928 წლის უქმე და დასასვენებელი დღეები

ამხ. ხვედელიძის მოხსენება

პროფსაბჭოს პრეზიდიუმს, ამბობს მომხსენებელი, განზრახული აქვს რამოდენიმე ცვლილება შეიტანოს უქმე და დასასვენებელი დღეების განსაზღვრაში. ცვლილება გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: მუშა-მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა (განსაკუთრებით სოფლად) განმტკიცებული ტრადიციის გამო საეკლესიო უქმეებს დღესასწაულობს ძველი სტილით. ამავე დროს სახელმწიფოს ეს უქმეები დაკანონებული აქვს ახალი სტილით. ეს იწვევს ზედმეტი დღეების გაცდენას. ამ მოვლენის ასალაგმავად უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ დასასვენებელი დღეები შეუფარდდეს ტრადიციით განმტკიცებულ სადღესასწაულო დღეებს. ამგვარად უმჯობესია მოხდეს შემდეგი გადაჯგუფება: 25 დეკემბრის ნაცვლად უქმე დღეთ გამოცხადებული იქნეს 7 იანვარი (შობა ძვ. სტილით), 6 იანვრის ნაცვლად 19 იანვარი (ნათლისღება) და 16 აპრილი (აღდგომის მეორე დღე) სამოქალაქო-სარევოლიუციო უქმეები დარჩება ისევე, როგორც იყო წინათ: 1-ლი იანვარი (ახ. წელ.), 22 იანვარი (9 იანვ. და ლენინის გარდაცვ. დღე), 12 მარტი (თვითმპყრობ. დამხობის დღე), 18 მარტი (პარიზის კომუნის დღე), 1-ლი მაისი (ინტერნაც. დღე), 20 სექტემბერი (26 კომუნარის დახვრეტის დღე), 7 და 8 ნოემბერი (ოქტომბრის რევოლ. დღეები).

ჩვეულებრივ საზაფხულო დასასვენებელ დღეებათ წესდება შემდეგი სამი ორშაბათი: 2 ივლისი, 23 ივლისი და 20 აგვისტო. ავტონომიურ ოლქებს და საქართველოს სხვა კუთხეებს უფლება ენიჭებათ მოახდინონ დასასვენებელი დღეების გადაჯგუფება ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

პლენუმმა მიიღო მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი უქმე და დასასვენებელი დღეების პროექტი.

საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. ს. გოდაბრელიძის საინფორმაციო მოხსენება სრულიად საკავშირო სატარიფო - საეკონომიო თათბირის შედეგების შესახებ.

საკავშირო სატარ.-საეკ. თათ. შედეგები

ამხ. ს. გოდაბრელიძის მოხსენება

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აგვისტოში შემდგარ სრულიად საკავშირო სატარიფო-საეკონომიო თათბირზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები: კოლექტიურ ხელშეკრულებების კამპანიის შედეგები და მომავალი წლის კამპანიის პერსპექტივები; მოსამსახურეთა ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება; საწარმოო თათბირები და საკონტროლო კომისიები; წარმოების რაციონალიზაცია და კავშირების ამოცანები რაციონალიზაციის საქმეში და პერსპექტიური გეგმები შრომის დარგში.

თათბირმა აღნიშნა, რომ პროფკავშირებს აქვთ საგრძნობი მიღწევები ხელშეკრულებათა დადებაში, ხოლო კამპანიის ნაკლათ უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულებათა დადების გაჭიანურება, რაშიაც ნაწილობრივად, თათბირის აზრით, სამეურნეო ორგანოებიც არიან დამნაშავე.

ხელშეკრულებათა გადასინჯვას შედეგად მოჰყვა ხელფასის გადიდება საბჭოთა კავშირში ოქტომბრიდან ივნისამდე 12 პროც. ამავე დროს შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 14—15 პროც.-ით. ამრიგად ხელფასის მომატებამ არ გააძვირა საქონლის თვითღირებულება.

თათბირმა გაარჩია საკითხი ხელფასის რეფორმის შესახებ. ხელფასის რეფორმის გატარება უნდა გამოიხატოს ახალი სატარიფო ცხრილების შემოღებაში და მუშის საერთო ხელფასში სატარიფო განაკვეთის მნიშვნელობის გაზრდაში.

მომავალ სამეურნეო წელში ხელფასის გადიდების პერსპექტივების შესახებ სატარიფო თათბირმა აღნიშნა, რომ ხელფასის ზრდა გასულ პერიოდთან შედარებით იქნება უფრო ნელი, რამდენადაც წარმოების აღდგენითი პროცესი დამთავრდა და შემდეგი განვითარება უფრო ნელი ტემპით იწარმოებს. თათბირმა დაადგინა ხელშეკრულებათა დადება მოხდეს 1-ლ იანვრიდან. არსებული ხელშეკრულებების ვადა გაგრძელებულ უნდა იქნას 1-ლ იანვრამდე.

თათბირმა მიიღო ახალი სატარიფო ცხრილები. აქამდე არსებულ ერთი ცხრილის მაგივრად შემოღებულ იქნება ცალკე ცხრილები მუშებისათვის, ინჟენერ - ტეხნიკურ პერსონალისათვის, საქარხნო მოსამსახურეთათვის და შეგირდებისათვის.

თათბირმა მიიღო დადგენილება მოსამსახურეთა ხელფასის სახელმწიფოებრივ მოწესრიგების შესახებ. ამ სისტემის შემოღებით შეიძლება მოისპოს ხელფასის დიდი სივრცე, ადმინისტრაციის თვითნებობა მოსამსახურეთა ტარიფიკაციაში და სხვ. ეს სისტემა უნდა იქნეს შემოღებული, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში, ისე ადგილობრივზე და სხვა სამეურნეო დაწესებულებებშიაც. პირველი ჯგუფის დაწესებულებებში ის უნდა გატარდეს 1-ლ იანვრიდან. ხელფასის სახელმწიფო მოწესრიგება უნდა გატარდეს ხელფასის არსებულ ფონდების ფარგლებში.

საწარმოო თათბირების და საკონტროლო კომისიების საკითხმა თათბირის დიდი ყურადღება მიიქცია. აღნიშნულ იქნა, რომ მათ მუშაობას ემჩნევა საგრძნობი გამოცოცხლება. თათბირმა მიიღო დადგენილება მასიურ - ეკონომიურ მუშაობაში მუშების უფრო მეტი რიცხვის ჩაბმის შესახებ.

თათბირზე განხილული იქნა აგრეთვე საკითხი წარმოების რაციონალიზაციისა და შრომის დარგში პერსპექტიულ გეგმების შედგენის შესახებ. საერთოდ, სრულიად საკავშირო სატარიფო - საეკონომიო თათბირის მიერ მიღებული იყო ფრიად მნიშვნელოვანი დადგენილებანი. მათი გატარება ხელს შეუწყობს შრომის მოწესრიგებას და საგრძნობად გააუმჯობესებს ჩვენი სამეურნეო ორგანოების მუშაობას. ამ დადგენილების საფუძველზე კავშირებმა უნდა ააგონ მუშაობის გეგმა და მიიღონ ზომები ამ დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად მოკლე დროის განმავლობაში.

ამხ. გოდაბრელიძის მოხსენება პლენუმმა მიიღო ცნობად და სახელმძღვანელოდ.

ოქტომბრის რევ. 10 წ. თავისდღის შესახებ

ფირალიშვილის მოხსენება

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. **ფირალიშვილის** მოხსენება ოქტომბრის დღესასწაულების ჩატარების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კავშირების ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ არ დარჩეს არც ერთი მუშა და მოსამსახურე, რომელსაც არ მიეცეს განმარტება მარტივსა და მისაწვდომ ფორმებში ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობისა და ჩვენი მიღწევების შესახებ 10 წლის განმავლობაში.

10 წლის თავმა უნდა მიიღოს მასსიურ რევოლიუციონურ დღესასწაულის ხასიათი. ამ დღესასწაულის დროს მშრომელთა შეგნებაში უნდა აღსდგეს 1917 წლის ამბები და პროლეტარიატის გამარჯვება ბურჟუაზიაზე.

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის კამპანიის ჩასატარებლად აუცილებელია, რომ საკლუბო მასებმა გამოიჩინონ ფართო ინიციატივა. კლუბის წევრები ჩაბმული უნდა იქნენ, როგორც მოსამზადებელ მუშაობაში, ისე თვით კამპანიის ჩატარებაში. იმ მიზნით, რომ კამპანია გეგმიანად იქნეს ჩატარებული, კლუბში უნდა გამოიყოს საიუბილეო კომისია. კომისიამ უნდა დაამუშაოს კამპანიის ჩატარების ვრცელი და კონკრეტიული გეგმა. შემდეგ საიუბილეო კომისია შეუდგება წინასწარ მოსამზადებელ მუშაობის ჩატარებას.

10 წლის დღესასწაულის ძირითად მომენტს შეადგენს: დემონსტრაციები, სადღესასწაულო, სააგიტაციო მსვლელობანი, კარნავალები, მასსიური სეირნობანი და სხვა. ვინაიდან ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლისთავს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ეს დღესასწაული არ უნდა იქნეს ჩატარებული შაბლონიურად, ტრაფარეტულად, როგორც ამას ადგილი აქვს სხვა კამპანიების დროს. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საგანგებო გამოფენის მოწყობას. მთელი გამოფენა ისე უნდა მოეწყოს, რომ ნაჩვენები იქნეს ყველა მიღწევები საბჭოთა აღმშენებლობაში, კერძოთ — მიღწევები ფაბრიკებში, ქარხნებში, კულტურულ - განმანათლებელ დაწესებულებებში და სხვა.

დღესასწაულის ჩატარებისას ყურადღება უნდა მიექცეს ბიბლიოთეკა - სამკითხველოების მუშაობას. ყოველი ბიბლიოთეკა მომარაგებული უნდა იქნეს საკმაო პოპულიარული ლიტერატურით ოქტომბრის რევოლიუციაზე. საქართველოს პროფსაბჭოს გამომცემლობამ „შრომამ" დაუკვეთა დიდძალი საგანგებო ლიტერატურა, რომელიც დაეგზავნება ადგილებს.

რეზოლიუცია

1) ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის დღესასწაულს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებით მასიური ხასიათი, რისთვისაც პროფორგანიზაციები უნდა შეეცადონ მასსების რაც შეიძლება ფართო შემოქმედებითი ინიციატივა გამოამჟღავნონ; ამისათვის აუცილებელია მთელი პროფაქტივის და მუშათა ფართო მასების ჩაბმა არა მარტო საიუბილეო კომისიებში, არამედ მთელ მოსამზადებელ მუშაობაში და თვით დღესასწაულის ჩატარებაში.

2) ოქტომბრის დღესასწაულების ჩატარებამდე გატარებული უნდა იქნეს მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების 10 წლის მიღწევების პოპულარიზაციისათვის; პროფკავშირის თვითეულმა წევრმა ამ პერიოდში უნდა შეითვისოს ოქტომბრის რევოლიუციის და ჩვენი მიღწევების მნიშვნელობაც მისთვის მისაწვდომ ფორმებში.

3) საკლუბო მუშაკების რესპუბლიკანურ კულტთათბირზე, რომელიც მოწვეული იქნება ახლო ხანში, დასმული უნდა იქნეს საკითხი ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის ჩატარების შესახებ, განხილული უნდა იქნეს აქამდი ჩატარებული მუშაობა და საკლუბო მუშაკებს უნდა მიეცეს მითითებანი მომავალ მუშაობის შესახებ.

4) ოქტომბრის დღესასწაულებისათვის მოსკოვში და ლენინგრადში უნდა გაიგზავნოს მუშათა დელეგაციები მსხვილი წარმოებებიდან.

შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია ამხ. გოცირიძის მოხსენების გარშემო.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ თავმჯდომარე ამხ. **მაჩაიძე** აცნობებს პლენუმს, რომ ამჟამად პლენუმზე იმყოფებიან გერმანელი კომუნისტები, ყოფ. კატორღელები ამხ. **შტრონბელი** და **კოოპი**.

პლენუმი მქუხარე ტაშით და ოვაციებით ეგებება უცხოელ სტუმრებს.

მისალმებისთვის სიტყვა ეძლევა ამხ. **შტრონბელს**.

ამხ. შტრონბელის სიტყვა

— ამხანაგებო! მოგესალმებით გერმანიის მუშების სახელით. მე თუმცა არა ვარ დელეგატი, თუმცა გამოგზავნილი არ ვარ საბჭოთა კავშირში გერმანიის მუშების მიერ, მაგრამ თბილისში ყოფნის დროს არ შემიძლია არ მივესალმო საქართველოს პროფესიონალური ორგანიზაციების უმაღლეს ორგანოს.

მე დასასვენებლად ვიყავი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ კურორტზე. მე ვარ გერმანიის კომპარტიის წევრი. ვმუშაობდი ბავარიაში საბჭოთა ხელისუფლების დროს, მაგრამ ამ ხელისუფლების დამარცხების შემდეგ დამაპატიმრეს და 6 წელიწადი ციხეში გავატარე.

მე ჩემი ჯანმრთელობა გავაუმჯობესე თქვენ კურორტზე და ეხლა ვბრუნდები გერმანიაში, რომ ვიმუშაო გერმანიის და საერთოდ მსოფლიო მუშათა კლასის სასარგებლოდ და მთლიანი ფრონტის შესაქმნელად.

თქვენ შეგიძლიათ მკითხოთ, თუ რატომ ჩამოვედი მე თქვენს კურორტზე, როდესაც გერმანიაში ბევრია კურორტები, შეიძლება უკეთესი, ვიდრე საბჭოთა კავშირში. მართალია, ამხანაგებო, გერმანია მდიდარია კარგად მოწყობილი სანატორიუმებით, მაგრამ ეს ჩვენთვის არ არის, იქ მხოლოდ ბურჟუაზია ისვენებს.

მოგესალმებით რა ერთხელ კიდევ, გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას.

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა კლასის სოლიდარობას!

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას! (ტაში).

შემდეგ სიტყვით გამოდის ამხ. ს. **თოდრია.**

თოდრიას სიტყვა

ამხ. თოდრია თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ ამხ. შტრონბელს ის შეხვდა გერმანიაში, სადაც ის იყო რამოდენიმე ხნის წინად. — მაშინ, ამბობს ამხ. თოდრია, შტრონბელს არ სჯეროდა ყველაფერი ის, რაც გაგონილი ჰქონდა საბჭოთა კავშირის შესახებ. მე მას ვურჩიე ჩამოსულიყო საბჭოთა კავშირში და თავის თვალით ენახა ყველაფერი. ის მართლაც ჩამოვიდა. გაეცნო მოძმე რესპუბლიკების მიღწევებს და გვესტუმრა ჩვენც. ეხლა ამხ. შტრონბელი აღფრთოვანებულია ყველა იმით, რაც მან აქ ნახა. გერმანიაში მას მიაქვს მტკიცე რწმენა იმისა, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი თავის ხელით აშენებს ნამდვილ მუშურ სახელმწიფოს.

პლენუმმა ისევ ტაშის ცემით და ოვაციებით გაცილა გერმანელი კომუნისტები.

შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. **გ. ჟურულიშვილის** მოხსენება ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის შესახებ.

ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტი

ამხ. გ. ჟურულიშვილის მოხსენება

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჩვენს დამოკიდებულებას ინგლისის პროფკავშირებთან პირველად საფუძველი ჩაეყარა 1924 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირის დელეგაცია იყო ლონდონში სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად. ამას მოჰყვა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის გაგზავნა ინგლისის პროფკავშირების ყრილობაზე. შემდეგ ინგლისის მუშების დელეგაცია ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. ამ დელეგაციის ჩამოსვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ეხლაც, მიუხედავად იმისა, რომ ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტი ჩაიშალა.

დელეგაციამ ინგლისში დაბრუნებისას გამოუშვა 500 გვერდიანი წიგნი, რომელიც რამოდენიმეჯერ გამოიცა. ამ წიგნში აწერილია დელეგაციის მოგზაურობა საბჭოთა კავშირში და განსაკუთრებით საქართველოში, რომელსაც იმ დროს საზღვარგარეთ დიდ ყურადღებას აქცევდენ. რასაკვირველია, წიგნში ყველაფერი კომუნისტურად არ არის გაშუქებული, მაგრამ დელეგაციამ მაინც შეძლების და გვარად სწორად დაახასიათა ის, რაც აქ ნახა, ამ წიგნის გამოქვეყნებამ დიდი ნაყოფი გამოიღო. ინგლისის მუშებში გაიზარდა ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი.

ამას მოჰყვა მთლიანობის კომიტეტის დაარსება 1925 წლის აპრილში. ამ კომიტეტის მიზანი იყო ბრძოლა მუშათა კლასის მთლიანობისათვის. მთელს მსოფლიოში, ბრძოლა კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ, ბრძოლა მუშათა უფლებების შესანარჩუნებლად და ბრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ კოლონიებში. ასეთ დეკლარაციაზე ხელის მოწერას ინგლისის პროფკავშირების მიერ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაშინ პროფკავშირების წინააღმდეგ გაილაშქრა მთელმა ბურჟუაზიულმა და სოციალ - დემოკრატიულმა პრესამ და ამსტერდამის ინტერნაციონალმა, რომლებიც ამტკიცებდენ, რომ ინგლისის პროფკავშირების ბელადები ბოლშევიკების გავლენის ქვეშ მოექცენო. 1925 წლის შემოდგომაზე სკარბოროში შესდგა ინგლისის პროფკავშირების ყრილობა, რომელმაც დაადასტურა მთლიანობის კომიტეტის დაარსება.

შემდეგ მოხდა სამთა-მაღნო მუშათა გაფიცვა და საერთო გაფიცვა, რომელიც რევოლიუციონურ მოძრაობათ გადაიქცა. ამან შეაშინა პროფკავშირების ხელმძღვანელები, რომლებსაც ეშინიათ კლასთა ბრძოლის გამწვავების და რევოლიუციის. მათ გაფიცულების ზურგს უკან აწარმოეს მოლაპარაკება პარლამენტში და მთავრობასთან, რითაც ჩაშალეს საერთო გაფიცვა. სამთა-მაღნო მუშები მარტო დარჩენ. ისინი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდენ. ცხადია, ჩვენ არ შეგვეძლო სათანადოთ არ შეგვეფასებია ინგლისის პროფკავშირების ხელმძღვანელთა ღალატი. ჩვენ სხვანაირად არ შეგვეძლო მოვქცეულიყავით. მათ ეს იწყინეს. ამოძრავდა მემარჯვენე პრესა და დაიწყო ლაპარაკი მთლიანობის კომიტეტის ჩაშლის შესახებ.

გაფიცვის დროს ჩვენ არა ერთხელ წამოვაყენეთ საკითხი მთლიანობის კომიტეტის მოწვევის შესახებ, რომელზედაც უნდა გარჩეულიყო სამთა-მაღნო მუშებისათვის დახმარების გაწევის საკითხი. გენსაბჭო აჭიანურებდა კომიტეტის მოწვევას. ის ჩვენ გვაბრალებდა მათ შინაურ საქმეებში ჩარევას.

მათი მოქმედების სათანადოთ შეფასება მათ მიიღეს დიდ შეურაცყოფად. შემდეგ მოხდა დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლა ინგლისთან. გაფიცვით დაშინებულმა მთავრობამ შეიმუშავა კანონი პროფკავშირების წინააღმდეგ. გენსაბჭომ ამის საწინააღმდეგოდ არ მიიღო ზომები. მან არ დაიწყო კამპანია მუშათა მასებში და დაკმაყოფილდა მხოლოდ პარლამენტის ტრიბუნით. ეს კი არ იყო საკმარისი, რადგან მუშათა პარტია პარლამენტში უმცირესობას შეადგენს. გენსაბჭოს ასეთი უმოქმედობა კანონის მიღებას ნიშნავდა. ჩვენ, რასაკვირველია, გავილაშქრეთ ამის წინააღმდეგ. პრესაში გამოქვეყნდა საუბარი ამხ. **ტომსკისთან**, რომელიც სათანადოთ აფასებდა გენსაბჭოს მოქმედებას. გენსაბჭოელებმა ესეც შეურაცყოფად მიიღეს.

შემდეგ, როცა ომის საფრთხე წამოიჭრა, ჩვენ შევიტანეთ წინადადება კონფერენციის მოწვევის შესახებ, მაგრამ ეს არ იქნა მიღებული. ამას მოჰყვა ამხ. **ვოიკოვის** მოკვლა პოლონეთში, ტერორისტული აქტები საბჭოთა კავშირში და 20 კონტრ-რევოლიუციონერის დახვრეტა. შესდგა გენსაბჭოს და მუშათა პარტიის აღმასკომის გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც კონტრრევოლიუციონერების დახვრეტა უარყოფითად იქნა შეფასებული.

ჩვენ, რასაკვირველია სათანადო დასკვნა გავუკეთეთ ამასაც და აღვნიშნეთ, რომ გენსაბჭო სცდილობს მთლიანობის კომიტეტის ჩაშლას, ჩვენ ავღნიშნეთ ისიც, რომ ინგლისის ბურჟუაზიის წინააღმდეგ გალაშქრების მაგივრად, იმ ბურჟუაზიის, რომელიც ომს ამზადებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გენსაბჭო ასუსტებს ჩვენს პოზიციას. უკანასკნელ ხანებში შესდგა ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა ედინბურგში, სადაც მიღებულ იქნა დადგენილება ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის შესახებ.

რატომ არ ავიღეთ ჩვენ ჩვენს თავზე ინიციატივა მთლიანობის კომიტეტის ჩასაშლელად? მართალია, ჩვენ იმ თავითვე ვიცოდით, ვისთანაც გვქონდა საქმე, მაგრამ ამ კომიტეტის არსებობა ჩვენთვის მაინც სასარგებლო იყო. ჩვენ ამ კომიტეტის საშუალებით ვუახლოვდებოდით ინგლისის მუშათა კლასს. ჩვენ საშუალება გვქონდა დავსწრებოდით ინგლისის პროფკავშირთა ყრილობას, სადაც მუშათა კლასის წარმომადგენლებს ვაცნობდით ჩვენს აზრებს.

ჩვენ ისედაც გვიკიჟინებენ, რომ პროფკავშირების მღრეველები ვართ, კომიტეტის ჩაშლა ჩვენ რომ გვეკისრა, მაშინ ეს გაამაგრებდა გენსაბჭოს პოზიციას. ეხლა კი, როდესაც თვითონ გენსაბჭომ ჩაშალა მთლიანობის კომიტეტი, მუშათა კლასი მოითხოვს ამ კომიტეტის ისევ აღდგენას.

მართალია, ჩვენთვის სასარგებლო იყო კომიტეტის არსებობა, მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ შეგვეძლო არ გამოგვეთქვა კომიტეტში ჩვენი აზრები და არ შეგვეფასებია რეფორმისტების ღალატი ინგლისის მუშების წინაშე. ეს შეურაცყოფად მიიღეს და ჩაშალეს კომიტეტი.

რა შედეგები მოჰყვა მთლიანობის კომიტეტის ჩაშლას თვით ინგლისში? ის, რომ „დეილი ჰერალდი" იძულებულია დიდი ადგილი დაუთმოს თავის ფურცლებზე მუშათა პროტესტებს. მთელ რიგ რაიონებში გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები. მემარცხენეებმა კამპანია დაიწყეს მთლიანობის კომიტეტის ჩაშლის წინააღმდეგ. მათ საპროტესტო რეზოლიუციები გამოაქვთ თავის კონფერენციებზე.

მთლიანობის კომიტეტის ჩაშლა ვერ გახწყვეტს იმ ძმურ კავშირს, რომელიც დამყარდა საბჭოთა კავშირის და ინგლისის მუშებს შორის გაფიცვის დროს. ეს კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდება, მიუხედავად გენსაბჭოელების ყოველგვარი ცდისა. ამ კავშირს ვერ გასწყვეტს ვერავითარი მოღალატური რეზოლიუცია. ინგლისის მუშები უკვე დღესვე მოითხოვენ ედინბურგის დადგენილების გადასინჯვას.

ჩვენი ხაზი რჩება ისევ ძველი—ვიზრუნოთ პროფმოძრაობის მთლიანობისათვის და ამავე დროს არ დავფაროთ ჩვენი აზრები. ჩვენ თავს მოუყრით ყველას, ვინც სდგას საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის ნიადაგზე და შევეცდებით განვახორციელოთ ნამდვილი მთლიანობა.

ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის ჩაშლამ არავითარი რყევა არ უნდა გამოიწვიოს ჩვენს რიგებში. პირიქით, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ დახმარების გაწევა სხვა ქვეყნების მუშათა კლასისათვის, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, რადგან ჩვენ ვართ პირველი თავისუფალი სახელმწიფოს მუშათა კლასი.

ამრიგად, ჩვენი მოვალეობაა: ერთის მხრივ ნიღაბი ავხადოთ რეფორმისტების გამცემლობას და მეორეს მხრივ მივიღოთ ყოველგვარი ზომები ნამდვილი საერთაშორისო მთლიანობის შესაქმნელად.

ჩვენ ამ ხაზს არ ვუღალატებთ. (ტაში).

ამხ. გ. ჟურულიშვილის მოხსენების შემდეგ პლენუმმა მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია

საქართველოს პროფკავშირთა მე-6 მოწვევის საბჭოს მეორე პლენუმი, რომელმაც მოისმინა ამხ. გ. ჟურულიშვილის მოხსენება ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ, აღნიშნავს შემდეგს:

1) ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის დაარსების დღიდან კომიტეტის საბჭოთა ნაწილმა აიღო მტკიცე კურსი ნამდვილი რევოლიუციონური ორგანიზაციის დასაარსებლად,—რომელიც შესძლებდა ემუშავა მსოფლიო მასშტაბით მუშათა კლასის მთლიანობის მისაღწევად, აქტიურად დაეცვა მუშათა კლასი საკუთარ და საერთაშორისო ბურჟუაზიის იერიშებისაგან და ყოველ ზომებს მიიღებდა ერთად-ერთ პროლეტარულ ქვეყნის—საბჭოთა კავშირის დასაცავად.

2) საბჭოთა პროფკავშირების და მათი წარმომადგენლების მიერ აღებული კურსი სისტემატიურად და მტკიცედ ტარდებოდა ცხოვრებაში.

3) მიუხედავად ამისა ინგლის-რუსეთის კომიტეტის საბჭოთა ნაწილის ყველა ცდები მიეღწია რეალურ და სასურველ შედეგებისათვის აღნიშნულ დარგში, უშედეგოდ თავდებოდა, რადგანაც კომიტეტის ინგლისური ნაწილი სისტემატიურად ატარებდა აშკარა საბოტაჟის ტაქტიკას.

4) დაიწყო რა საკუთარ პროლეტარიატის ღალატისაგან, კომიტეტის ინგლისურმა ნაწილმა ნებაყოფლობით და ყოველგვარ რევოლიუციონურ მიზანშეწონილობის გარეშე ჩაშალა 1926 წლის მაისის გაფიცვა. იგი მაქსიმალურად უწყობდა ხელს ბურჟუაზიას და მის „აღმასრულებელ კომიტეტს"—კონსერვატიულ მთავრობას დაემარცხებია მაღაროს მუშები რომლებიც მედგრად იბრძოდენ აღვირახსნილ კაპიტალის წინააღმდეგ. ინგლისის პროფმოძრაობის ხელმძღვანელებმა იმავე ზომებით და ისეთივე თანმიმდევრობით უღალატეს ჩინეთის რევოლიუციას და საბჭოთა კავშირს. მათ არ მიიღეს არავითარი ზომები ჩინეთში ინგლისის ჯარების გაგზავნის და საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობის გაწყვეტის წინააღმდეგ.

5) ბურჟუაზიის ბანაკში საბოლოოდ გადასულ ბელადების ვერაგული ტაქტიკა დაგვირგვინდა ინგლისის ტრედ-იუნიონების ედინბურგის კონგრესის გადაწყვეტილებით ინგლის-რუსეთის კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ.

6) ინგლისის პროფკავშირების ხელმძღვანელთა ხაზი და ტაქტიკა არის აშკარა გამოხსნევებელი ბურჟუაზიის ზუზრებისა, რომლებიც სცდილობენ განახორციელონ თავიანთი დიდი ხნის ოცნება — შეიარაღებული ძალით გაანადგურონ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი.

7) როგორც სჩანს, ედინბურგის კონგრესის შემდეგ მომხდარ ამბებიდან, ინგლისის მუშათა ფართო მასები მტკიცედ და კატეგორიულად ილაშქრებენ თავიანთ ბელადების ხაზის და ტაქტიკის, პირველ რიგში, ინგლის-რუსეთის კომიტეტის ლიკვიდაციის წინააღმდეგ. მუშები გამოსთქვამენ სურვილს იბრძოლონ ინგლისის და საბჭოთა პროფმოძრაობის გასაერთიანებლად, მსოფლიო მუშათა კლასის მთლიანობის განსახორციელებლად და საბჭოთა კავშირის დასაცავად.

გამოდის რა ზემოაღნიშნულ მოსაზრებებიდან, პლენუმი ადგენს:

1) აბსოლიუტურად სწორად იქნას ცნობილი საკავშირო პროფსაბჭოს და მისი წარმომადგენლების ხაზი და მთლიანად იქნას იგი მოწონებული.

2) დაგმობილ იქნენ ინგლისის პროფმოძრაობის ბელადები, რომლებიც აშკარად გადავიდნენ ბურჟუაზიის ბანაკში.

3) მიეთითოს საკავშირო პროფსაბჭოს საბჭოთა კავშირის და ინგლისის მუშათა კლასის ურთიერთ კავშირის განმტკიცების აუცილებლობაზე ისე, რომ ეს კავშირი დამყარდეს ინგლისის ტრედ-იუნიონების ბელადების მონაწილეობის გარეშე.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ პლენუმი დაიხურა.

ინდუსტრიალიზაციის სესხი

თბილისის ყველა მშრომელთ

ამხანაგებო!

წლიდან-წლამდე ვითარდება და ძლიერდება პროლეტარული დიქტატურის პირველი ქვეყანა, მსოფლიო რევოლიუციის დასაყრდენი—საბჭოთა კავშირი.

ოქტომბრის 10 წლის თავზე საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს შეუძლიათ ამაყად განაცხადონ, რომ სახალხო მეურნეობა მათ მიერ აღდგენილია და აყვანილია არა თუ ომამდე არსებულ დონემდე, არამედ ზოგიერთ დარგებში გადაცილებულია კიდეც ამ დონეს. პირველად კაცობრიობის არსებობის ისტორიაში ჩაგრულმა და ექსპლოატაციის ქვეშ წინათ მყოფ მასებმა საქმით დაგვანახვეს, რომ მათ შეუძლიათ ცხოვრება უკაპიტალისტებოთ და უმემამულებოთ და რომ პროლეტარიატს, რომელმაც ხელში აიღო ძალა-უფლება შეუძლია წინ წასწიოს სახალხო მეურნეობა და აშენოს ახალი სოციალისტური საზოგადოება.

მიუხედავად ყველა იმ მიღწევებისა, რომელიც შეგვიძლია აღვნიშნოთ ოქტომბრის 10 წლის თავზე, მაინც უნდა ითქვას, რომ ჩვენ ტეხნიკურად საგრძნობლათ ჩამოვრჩით ჩვენს იმპერიალისტურ მტრებთან შედარებით. იმპერიალისტები თავისი ძლიერი ტეხნიკით ფიქრობენ ჩვენს დამარცხებას. და ეს იარაღი უნდა გამოვსტაცოთ იმპერიალისტებს ხელიდან. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ტეხნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველჰყოფს ჩვენს ეკონომიურ დამოუკიდებლობას და გააძლიერებს ჩვენს თავდაცვით უნარიანობას.

ძლიერი მრეწველობის, ისეთი მრეწველობის შექმნას, რომელიც გაუთანასწორდება ამერიკის და ევროპის მოწინავე ქვეყნების მრეწველობას, ჩვენ შევძლებთ მხოლოდ ცოტათ თუ ბევრათ ხანგრძლივ დროის განმავლობაში. საბჭოთა ინდუსტრიალიზაცია ეს ისეთი დიდი ამოცანაა, რომლის გადაჭრა შეუძლებელია ერთ წლის განმავლობაში. მაგრამ იმისათვის—კი, რომ ეს ამოცანა გადაჭრილი იქნეს, საჭიროა ყველა მშრომელთა მთელი კოლექტიური ნებისყოფის გამოჩენა, საჭიროა ყოველდღიური თავდადებითი მუშაობა.

საბჭოთა კავშირის მთავრობას განზრახული აქვს მომავალ სამეურნეო წელიწ. მრეწველობაში დააბანდოს 1.166 მილ. მანეთი, ე. ი. 17,5 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან. სწორედ ამით ეყრება ნიადაგი ჩვენი ქვეყნის მრეწველობის ზრდას და ჩვენ ეკონომიურ დამოუკიდებლობას. ინდუსტრიალიზაციის სესხი, რომელიც იქნება გამოშვებული 1 ოქტომბერს იმავე მიზანს ისახავს, ე. ი. სოციალისტურ მრეწველობის განმტკიცებას და ჩვენი მშენებლობის ტემპის გაძლიერებას. 200 მილიონი მანეთი, რომელსაც შევაგროვებთ ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების გაყიდვით, მოხმარდება ახალ ფაბრიკა-ქარხნების, ახალ ელექტრო-სადგურების, ახალ ხიდების აგებას და რკინისგზების გაყვანას.

სესხის ობლიგაციების შეძენით თვითეული მუშა და მოსამსახურე გარდა იმისა, რომ დახმარებას გაუწევს თავის სახელმწიფოს, საუკეთესო პირობებში შეინახავს იმ მცირე თანხას, რომელიც აქვს მას შეგროვილი. მუშურ-გლეხურმა მთავრობამ ინდუსტრიალიზაციის სესხის გამოშვების დროს შეიმუშავა ამ სესხზე ხელმოწერის ისეთი პირობები, რომლებიც თვითეულ მშრომელს, რაც არ უნდა მცირე იყოს მისი ხელფასი, საშუალებას აძლევს შეიძინოს ობლიგაციები.

ობლიგაციები ღირს 25 მან. (ობლიგაციის ერთი მეხუთედი ღირს 5 მანეთი). ობლიგაციები გამოშვებულია 10 წლის ვადით და იძლევიან 6 პროცენტს წლიურად. კოლექტიურ ხელმომწერთათვის დაწესებულია ფულის გადახდა ნაწილობრივათ 7 თვის განმავლობაში.

ინდუსტრიალიზაციის სესხი—მომგებიანი სესხია. განსაზღვრულ ვადებში იწარმოებს გათამაშება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი, საქართველოს პროფკავშირთა საბჭო და თბილისის მუშათა და გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭო მოუწოდებენ თბილისის ყველა მშრომელთ ენერგიული ხელის მოწერით ინდუსტრიალიზაციის სესხზე დაამტკიცონ თავისი ერთგულება სოციალისტურ მშენებლობისადმი. თვითეულმა მუშამ და მოსამსახურემ. თვითეულმა მშრომელმა უნდა შეიძინოს ობლიგაცია, უნდა ასესხოს თავის სახელმწიფოს ფული ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის.

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წ. თავზე ყველა მუშის ოჯახს უნდა ჰქონდეს შეძენილი სესხის ობლიგაცია!

ყველა მშრომელთა საერთო ძალ-ღონით წავსწიოთ წინ ჩვენი სოციალისტური მრეწველობა!

გაუმარჯოს ჩვენს ძლევა-მოსილ სოციალისტურ მშენებლობას!

საქართველოს კ. პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო.

მ. გ. და წ.-ა. დეპუტატების თბილისის საბჭო.

სესხი და ფასების დაკლება

მუშკოოპის სტატისტიკური განყოფილება წინასწარ ჯამებს უკეთებს ფასების დაკლების შედეგებს მიმდინარე საოპერაციო წელში. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბრუნვის საერთო ჯამი უდრის 13.000.000 მანეთს, ფასების საერთო დაკლება კი 7,6 პროცენტს, აღმოჩნდება, რომ მუშკოოპის მიერ ფასების დაკლების გამო მოსახლეობამ მიიღო 938.840 მანეთის ეკონომია და შეიძლება მეტიც, ვინაიდან ეს ცნობები ჯერ საბოლოო არ არის. თბილისის მუშკოოპი შედარებით მცირე ნაწილია საერთო კოოპერატიული ფრონტის; თუ ავიღებთ ამიერ-კავკასიის კოოპერაციას მთლიანად, ფასების დაკლების გამო მოსახლეობის მიერ მიღებული სარგებელი გამოიხატება რამოდენიმე მილიონ მანეთში.

საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წევრის ამხ. შლეიფერის გამოანგარიშებით საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის ეკონომია ფასების დაკლების გამო 1926—27 წლის მეორე ნახევარ წლედში უდრის 300 მილიონს. სწორედ ამის გამო უკანასკნელ ხანებში ადგილი აქვს შემნახველ სალაროებში შეტანილ ანაბარების ზრდას. ეს გარემოება წარმოადგენს აგრეთვე სახელმწიფო კრედიტის წარმატებით განვითარების წინასწარ პირობას მასიურ სესხების ხაზით.

შემნახველ სალაროებში და საკრედიტო დაწესებულებებში თანხების შეტანის გაძლიერებამ თავის მხრივ შესაძლებელი გახადა მეტ საშუალებათა გადადება ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობისათვის, ტრანსპორტისათვის და სხვა. მრეწველობის განვითარება კი წარმოადგენს ფასების შემდგომი დაკლების პირობას. ფასების დაკლება უზრუნველყოფს სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებში თანხების შეტანის გაძლიერებას, ეს კი თავის მხრივ ემსახურება ფასების შემდგომ დაკლებას.

ახალი სესხი, რომლის დანიშნულებაც შეადგენს ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციას, შესაძლებელს გახდის, რომ ფასების დაკლების გამო მოსახლეობის მიერ მიღებული ეკონომია, ნაყოფიერად იქნეს გამოყენებული „მუშკოოპის“ მიერ ფასების დაკლების გამო მოსახლეობისაგან შენახული მილიონი არ შეიძლება უკვალოდ დაკარგულიყო. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი უთუოდ შეტანილია შემნახველ სალაროებში და მისი გამოყენება შეიძლება ინდუსტრიალიზაციისათვის თუ მხოლოდ თებერვლიდან სექტემბრამდე მარტო მუშკოოპის მიერ ფასების დაკლებით გაკეთებულია ერთი მილიონის ეკონომია, მომავალ სამეურნეო წელში ეს ეკონომია კიდევ უფრო დიდი იქნება, ვინაიდან ფასების დაკლების დონე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაწეულ იქნას და, მეორეს მხრივ, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარება შესაძლებელს გახდის ფასების შემდგომ დაკლებას.

ამიტომ მუშკოოპის გამგეობა ფიქრობს, რომ ინდუსტრიალიზაციის სესხი განსაკუთრებით ახლობელი უნდა იყოს მუშათა კოოპერაციის ყოველ შეგნებულ წევრისათვის. სახელმწიფო კრედიტის, მრეწველობის და კოოპერაციის განმტკიცება, ფასების დაკლება—ყველაფერი ეს მჭიდროთ არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

მუშკოოპის გამგეობა ამჟამად იმუშავებს ორგანიზაციულ ზომებს იმისათვის, თუ როგორი მონაწილეობა მიიღოს ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელებაში კოოპერაციის წევრთა შორის.

ს.

ფინაპარატის მუშაობა

ს.ს.რ.კ. ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილემ ყველა საფინანსო და საბანკო მუშაკებს მიმართა მოწოდებით მიიღონ აქტიური მონაწილეობა სესხის რეალიზაციასთან დაკავშირებულ მუშაობაში.

წერილში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო კრედიტის განვითარება არის მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ამოცანა არა მარტო საფინანსო აპარატისათვის, არამედ მთელი ჩვენი სახელმწიფოსათვის. მოსახლეობის წვრილ და დაფანტულ შემონახული თანხების შეგროვებით, სახელმწიფო სესხები აქტიურად უწყობენ ხელს სახელმწიფოს განახორციელოს ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის გენერალური ხაზი—სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია.

ახლად გამოშვებულ ინდუსტრიალიზაციის სესხის სარეალიზაციო კამპანიას დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, სესხის წარმატებით განხორციელებაში **მთელმა საფინანსო და საბანკო აქტივმა განსაკუთრებული მონაწილეობა უნდა მიიღოს.** საფინანსო და საბანკო დაწესებულებათა პირად შემადგენლობაზე დიდათაა დამოკიდებული კამპანიის ტემპი. ამიტომ **თვითეულმა ფინმუშაკმა, ბანკის თვითეულ მუშაკმა** საფინანსო-საბანკო აპარატზე დაკისრებულ ამოცანის მთელი მნიშვნელობის შეგნებით, **ყველაფერი უნდა გააკეთოს, რაც კი მასზეა დამოკიდებული იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ინდუსტრიალიზაციის სესხის სწრაფად და წარმატებით რეალიზაციას.**

1927 წ. 10 პროცენტიანი მომგებიანი სესხის რეალიზაციიდან მიღებული გამოცდილება სრულ იმედს იძლევა, რომ ყველა ფინმუშაკები და საბანკო დაწესებულებათა ყველა მუშაკები პირნათლად შეასრულებენ საბჭოთა მთავრობის მიერ მათზე დაკისრებულ ახალ ამოცანას.

სესხის ქრონიკა

10.000 მან. ობლიგაციების შეძენა

საქართველოს კომპარტიის (ბ) და ახალგ. ლენინური კომკავშირის ცეკას, თბილისის კომიტეტის, სარაიონო ორგანიზაციების თანამშრომელთა საერთო კრებაზე, რომელიც შესდგა 25 სექტემბერს, მიღებულ იქნა დადგენილება ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელის მოწერის შესახებ. ხელის მოწერის თანხა განსაზღვრულია ამგვარად: ის თანამშრომლები, რომელნიც იღებენ 50 მან. მეტს, სესხის ობლიგაციების შესაძენად გადასდებენ ჯამაგირის ერთ მესამედ ნაწილს, ხოლო ის თანამშრომლები, რომელნიც იღებენ 50 მან. ნაკლებს, გადასდებენ ჯამაგირის ერთ მეოთხედ ნაწილს. **სესხზე ხელის მოწერის საერთო თანხა უდრის 10.000 მან. საშუალოდ ყოველ თანამშრომელზე მოდის 40 მანეთი.**

ვიწვევთ საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და ახალგ. ლენ. კომკავშირის თანამშრომლებს გაიღონ ასეთივე თანხა ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელის მოსაწერად.

ობლიგაციების განაწილება ტრესტებს შორის

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დადგენილებით, ყველა ტრესტი ვალდებულია შეიძინოს ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები 300 მანეთის რაოდენობით.

ზოგიერთმა ტრესტებმა აღძრა შუამდგომლობა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინაშე, რათა მათ მიეცეთ უფლება მეტი რაოდენობით შეიძინონ აღნიშნულ სესხის ობლიგაციები.

ამ შუამდგომლობათა განსახილველად დღეს შესდგება სახალხო მეურნეობის უმ. საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. ობლიგაციების შესაძენად განსაზღვრულ თანხის გადადების უფლების ამა თუ იმ ტრესტისათვის მინიჭების დროს, მხედველობაში მიღებული იქნება ტრესტის ძირითადი თანხა, გასავალი, შემოსავალი და მოგება.

პიონერ-კოლექტივების მუშაობის შემოწმება

ფიზიკური აღზრდა ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციაში

ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ გაჯანსაღების საკითხს საერთოდ მშრომელთათვის და კერძოთ კი მოზარდ თაობისათვის.

ბ. კ. ორგანიზაციის აღმზრდელობით მუშაობის გეგმაში ფიზიკურ გაჯანსაღების საქმესაც საპატიო ადგილი უჭირავს, რადგან ბ. კ. ორგ. ამოცანად ისახავს კომკავშირისათვის ღირსეულ და ჯანსაღ კადრის მომზადებას.

ნორჩ-პიონერთა ფიზიკურ გაჯანსაღების დარგში მთელი მუშაობის გასათვალისწინებლად და მისი შედეგების აწონ-დაწონისათვის არ იქნება ზედმეტი თუ აღვნიშნავთ სახელდობრ რა მიზეზები ეღობება წინ ამ დარგში მუშაობის ნორმალურ მსვლელობას.

1. არა საკმაო მომზადება კოლექტივთა წინამძღოლებისა ფიზიკურ აღმზრდელობითი დარგში;
2. ხშირი შეცვლა წინამძღოლებისა კოლექტივებში;
3. გადატვირთვა პიონერებისა სკოლაში და კოლექტივში.
4. ექიმთა კადრის უყოლობა.
5. მოედნების, ბინის და სასპორტო ინვენტარის უქონლობა;
6. ცუდი პირობები ოჯახურ ცხოვრებისა (ცუდი ბინა, კვება და სხვა).

აღნიშნული მიზეზები აფერხებენ მუშაობის წინსვლას და პიონერთა გაჯანსაღების საქმეს არ აძლევენ სათანადო დონეზე აწევის საშუალებას.

წინამძღოლთა მზადება

სპეციალურ ფიზკულტურის კურსების მოწყობა წინამძღოლთათვის ამჟამად შეუძლებელია, რისთვისაც საუკეთესო საშუალებათ წინამძღოლთა მომზადებისათვის ცენტრალურ ბიურომ სემინარები და თათბირები სცნო, წინამძღოლთა მზადება უკვე ჩატარდა თბილისში, ქუთაისში, სენაკში, და ყველა ისეთ სამაზრო ცენტრებში, სადაც ფიზკულტურის შედარებით ძლიერი საბჭო არსებობს.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულმა მზადებამ ვერ მოიტანა დიდი ნაყოფი, რადგან ემჩნევა წინამძღოლთა შემადგენლობის ცვალებადობა.

საექიმო გასინჯვა

ცხადია, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს პიონერთა საექიმო გასინჯვას. მის საშუალებით ჩვენ შეგვიძლიან გამოვარკვიოთ ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა და ყველა ის შედეგები, რომლებიც მოგვცა ფიზიკურმა აღზრდამ. სამწუხაროდ, საქ. ბ. კ. ორგანიზაციაში, ამ მხრივ ცოტაა გაკეთებული და სამაზრო ბიუროებს არ მოეპოვება არც ექიმები და არც ანტროპომეტრიული კაბინეტები. რის გამოც შეუძლებელი ხდება ბავშთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამორკვევა.

ერთად-ერთი ადგილი, სადაც ამჟამად მიმდინარეობს ამ დარგში ნორმალური მუშაობა—თბილისია, სადაც პიონერთა ორგანიზაციას ჰყავს ოთხი ექიმი და აქვს ოთხი ანტროპომეტრიული კაბინეთი.

სანიტარულ - ჰიგიენური მუშაობა

ამ მხრივ, ისე, როგორც საექიმო მუშაობის დარგში ექიმების უყოლობის გამო, მუშაობა მოისუსტებს. თბილისის ყველა რაიონებში და დიდ ცენტრების ზოგიერთ კოლექტივებში, არსებობს სანიტარული კომისიები, რომლებიც აწარმოებენ სანიტარულ - ჰიგიენურ მუშაობას კოლექტივებში.

უნდა აღინიშნოს, რომ პიონერთა კოლექტივის სანიტარულ კომისიების წყალობით ბევრგან როგორც საზოგადოებრივ და პირად ჰიგიენას ყურადღება ექცევა.

ოსეთში პიონერთა სან.-კომისიების მუშაობა ოჯახშიაც იქნა გადატანილი და იქაურ ზოგიერთ მიყრუებულ კუთხეებში, სადაც მოსახლეობა კვირაობით და თვეობით არ იბანდა პირისახეს, პიონერებმა გავლენა მოახდინეს თავის მშობლებზე და ნათესავებზე.

პიონერთა განტვირთვის საკითხი

მაზრებში პიონერთა განტვირთვას ადგილი არ ჰქონია, რაც შეეხება თბილისს, აქ ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი, რის გამოც საჭირო შეიქნა სპეციალურ კომისიის შექმნა და განტვირთვის მოხდენა. განტვირთვა მოხდა პიონერ - კოლექტივებში არსებულ მრავალ კომისიების ანგარიშზე. გარდა ამისა, შემცირებულ იქნა შეკრებათა რიცხვი და განაკვეთები.

ლიტერატურის გამოცემა

პიონერთა გაჯანსაღების საქმეში ერთ-ერთ უმთავრეს დამაბრკოლებელ მიზეზთა შორის ლიტერატურის უქონლობა ითვლებოდა. არ არსებობდა ქართულ ენაზე არც ერთი ფიზიკურ-აღზრდის სახელმძღვანელო, ამიტომ ცენტრალურ ბიურომ შეადგინა და გამოუშვა ფიზიკურ-აღზრდის ვრცელი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. ამჟამად იბეჭდება „პიონერთა თამაშობანი“.

დასკვნა

ბ. კ. ორგანიზაციის ცენტრალურ ბიუროს სისტემატიურმა ხელმძღვანელობამ, ზოგიერთ მაზრებში ჩატარებულმა სამზადისმა და ლიტერატურის გამოცემამ, მართალია ვერ მოიტანა საკმაო ნაყოფი, მაგრამ აღსანიშნავია, რომ პიონერთა ორგანიზაციაში აღარ არის ფიზიკურ აღმზრდელობითი დარგში ის ქაოსი, რომელიც წინად ემჩნეოდა. თუ ჯერ კიდევ წინამძღოლები სათანადოთ მომზადებული არ არიან, მათ ეხლა ყოველ შემთხვევაში იციან, თუ რა მიზნებს ისახავს ფიზიკური აღზრდა პიონერთა ორგანიზაციაში და წარმოდგენა აქვთ ფიზკულტურის იმ დარგებზე, რომლებიც ტარდება ბ. კ. ო.

ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი პიონერთა ჯანმრთელობის გაჯანსაღების მიზნით და სწორედ აქ არის საჭირო ჯანმრთელობის ორგანოთა დ ფიზკულტურის საბჭოების დახმარება, რომელთა საშუალებით შეიძლება ამ საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენების მიღწევა.

მ. ბ—ძე.

კლუბის მნიშვნელობა პიონერებისათვის

დღემდის პიონერთა კოლექტივების საქმიანობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. თითქმის მოძველდა მუშაობის ის ფორმები და მეთოდები, რომლითაც ნორჩ-პიონერებს უმასპინძლდებოდით. სწორედ ამიტომ იყო, რომ პიონერები თავს ანებებდენ პიონერ - ორგანიზაციებს. მართალია, ასეთი შემთხვევები არაა ხშირი, მაგრამ გამონაკლისებს მაინც ჰქონდა ადგილი. ეს უნდა მიეწეროს ხელმძღვანელთა მოუმზადებლობას. პიონერების აქტივს ვეღარ აკმაყოფილებს ძველი მეთოდებით საქმიანობა და ის მოითხოვს ახალს. ცხოვრებასთან შეფარდებულ მუშაობას.

პიონერ - ორგანიზაციების ჩამოყალიბების დროს ჩვენ რაიონებში გვქონდა პიონერთა რაიონული კლუბები, რომლებშიაც არსებობდა სხვადასხვა წრეები და გასართობები. შემდეგში კი ყველაფერი ეს მოისპო.

განა ცოტას გაკეთება შეიძლებოდა ამ კლუბების საშუალებით? კლუბებში ჩვენ შეგვეძლო გვეწარმოებია ნაყოფიერი მუშაობა.

ავიღოთ თუ გნებავთ კომკავშირის ზრდა და წინსვლელობა უკანასკნელი წლების განმავლობაში, სწორედ კლუბების ირგვლივ, სხვადასხვა წრეების არსებობა, როგორიცაა მაგალითად, მუსიკალური, სადაც კომკავშირელები თავიანთივე იარაღებით ქმნიან საუცხოვო მუსიკალურ წრეებს, მომღერალთა გუნდები და აგრეთვე დრამატიული წრე, რომლის მუშაობა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა და მრავალი ახალგაზრდობა ჩაება თეატრებსა და სტუდიებში.

ხელოვნებას, როგორც ერთ-ერთ კულტურულ და მხატვრულ ორგანიზაციას მუდამ ქონდა და მომავალშიაც ექნება დიდი მნიშვნელობა. საჭიროა, რათა მომავლისათვის ხელოვნების მესაჭეთ გამოვიდეს კომკავშირი.

ასევე ითქმის საბავშო თეატრებსა და კლუბებზე, რომლებიც საქართველოში არ მოიპოვება და შესაძლებლობა კი გვაქვს შევქმნათ ასეთები.

პიონერების მიერ გამართული წარმოდგენებით, ცოცხალი სურათებით (ლურჯი ხალათი), პირამიდებით და ვარჯიშობით დავაინტერესებთ როგორც ბავშვებს, ისე მათ მშობლებსაც და შევაყვარებთ მათ პიონერ - კოლექტივების მუშაობას.

ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ, რათა პიონერთა შორის საწრეო მუშაობა დავაყენოთ შესაფერ დონეზე. ამ მხრივ კლუბებს დიდი როლის თამაში შეუძლიათ.

ჭ. გიგაური.

პარტიული ცხოვრება

პარტიის ცეკა მსხვილ წარმოებ. მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 27 სექტ. საკავშირო კომპ. (ბ) ცეკას მიერ მიღებულ რეზოლიუციაში, მსხვილ წარმოებებში პარტიული მუშაობის შესახებ, ნათქვამია: მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა საწარმოო, და კერძოდ მსხვილ წარმოებათა უჯრედები, პარტიულ მუშაობას ასეთ უჯრედებში (რომელნიც ხშირად აერთიანებენ მუშათა მნიშვნელოვან მასებს — 3—5 ათასზე მეტს), სერიოზული ნაკლულოვანებანი აქვს. მსხვილი წარმოებანი კი უნდა გახდენ პოლიტიკური ცხოვრების ძირითად ცენტრად და ამ წარმოებათა მნიშვნელობა ადგილობრივ ორგანიზაციებში უნდა შეესაბამებოდეს მათ პოლიტიკურ და სამეურნეო მნიშვნელობას. ამის გამო ცეკა აუცილებლად სცნობს: პარტიული, პროფესიონალური და საერთოდ მთელი მასიური მუშაობის გაძლიერება მსხვილ წარმოებებში და იმის მიღწევას, რომ დიდმა წარმოებებმა გადამწყვეტი როლი ითამაშონ მთელ პარტიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საჭიროა პარტიული ხელმძღვანელობის მთლიანობის განმტკიცება წარმოებებში საერთო-საქარხნო ორგანიზაციების ბიუროს ხელმძღვანელობის გაუმჯობესების გზით, საქარხნო უჯრედების შემადგენლობის ყოველმხრივ გაძლიერება პარტიული მუშაობის სტაჟის მქონე მუშაკებით.

პარტიული მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი გადატანილ უნდა იქნას ცეხებში; ამასთანავე აუცილებელია მივაღწიოთ მტკიცე აქტივის აღზრდას ცეხურ უჯრედის ბიუროს ირგვლივ, გავაუმჯობესოთ ცეხუჯრედის ხელმძღვანელობა დაბალი საფეხურის პარტაქტივზე და უპარტიო ორგანიზაციებზე; პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს პარტორგანიზატორების, აგიტატორების და სხვადასხვა ორგანიზაციების მუშაკთა შერჩევას ცეხში, მათ სპეციალიზაციას მუშაობის ცალკე დარგებში. იმ მსხვილ წარმოებებში, სადაც მნიშვნელოვნად არის გამოყენებული ქალთა შრომა, აუცილებელია უჯრედის საერთო მუშაობაში მეტი გამოხატულება ჰპოვოს ქალთა შორის მუშაობის თავისებურებამ, რომ მუშაობა მათ შორის გახდეს პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების ძირითად მუშაობად. გადასინჯულ უნდა იქნას საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საორგანიზაციო სტრუქტურა ცეხებში მათი გამარტივების მიზნით. უჯრედების ხელმძღვანელნი განთავისუფლებულ უნდა იქნან იმ ორგანიზაციებში წარმომადგენლობისაგან, რომელნიც ხელს უშლიან მათ უშუალო მუშაობაში. აუცილებელია მივაღწიოთ იმას, რომ უჯრედებზე მიმაგრებული პარტიული, სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციების ხელმძღვანელმა მუშაკებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ცეხუჯრედების ყოველდღიური პარტიული მუშაობის ჩატარებაში ცალკე წარმოებებში სადაც პარტიულ მუშაობას აქვს არსებითი ნაკლულოვანებანი, სათანადო პარტორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები ამ ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად. დაევალოს ცეკას ინსტრუქტორებს, რომ გამოკვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პარტორგანიზაციების მუშაობას მსხვილ წარმოებებში.

საგარეჯოს რაიონის პარტკონფერენცია

საგარეჯოს პარტიული კონფერენცია, რომელიც ჩატარდა 21 სექტემბერს, იძლევა სრულ სურათს ერთის მხრივ ორგანიზაციის მთლიანობაზე და მეორე, სარაიონო კომიტეტის მუშაობაზე. განხილული იქნა შინა-პარტიული მდგომარეობა (ცეკას და ც. ს. კ. პლენუმის შედეგებზე), და სარაიონო კომიტეტის ანგარიში. პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. პ. ტყაბლაძე. კონფერენციამ მთლიანად დაგმო ოპოზიციის უბადრუკობა, მათი უიმედო პარტიული ჩხირკედელაობა, და გამოსთქვა ღრმა რწმენა, რომ მუშათა კლასის რევოლიუციონურ ბრძოლაში გამობრძმედილი ლენინის პარტია იყო, არის და იქნება ლენინიზმის სწორი და ერთგული გამტარებელი, ჩვენი ფოლადისებური დისციპლინა მოუღებს ბოლოს ყველას, ვინც კი ამხედრებულა ლენინის პარტიის დიდი უმრავლესობის წინააღმდეგ. ჩვენ ლენინურ ცეკასთან ერთათ ვართ. მასთან ერთათ ვიქნებით და ვიბრძოლებთ მომავალშიც. ძირს გამთიშველები, გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას.

აი, ღირსეული პასუხი, რომელიც გასცა კონფერენციამ.

მეორე საკითხზე ფართო მოხსენებით გამოვიდა ამხ. გოგოლაშვილი. საანგარიშო მოხსენებიდან გამოირკვა: ორგანიზაციის ზრდა მიმდინარეობს ნორმალურათ, უმთავრესად ღარიბ გლეხობის და აქტივ - კომკავშირელთა ხარჯზე, საგრძნობლად გაჯანსაღდა ცოცხალი ხელმძღვანელობა უჯრედებზე, სწარმოებს მათ შორის გეგმიანი მუშაობა. ეწყობა სისტემატიურათ უჯრედთა სხდომები, შუქდება მათზე პარტიის და ხელისუფლების მიმდინარე ამოცანები და ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხები. დისციპლინა ორგანიზაციაში შედარებით წარსულთან დაყენებულია სათანადო სიმაღლეზე, ადგილი არ აქვს ინტრიგებს, კინკლაობას და სხვ. გაძლიერდა ხელმძღვანელობა კომფრაქციების სახით: პროფორგანიზაციებზე, კოოპერაციაზე, საბჭოებზე და სხვა.

კოოპერატიულ მშენებლობის საკითხებს პარტიულმა კომიტეტმა მიაქცია სერიოზული ყურადღება, რომლის ცხოვრებაში გატარებამ მოგვცა: კოოპერაციის წევრთა რიცხვობრივი ზრდა, საპაიო თანხების გადიდება, რაიონში კოოპერატიული ქსელის გაფართოვება, მათი პირველმოთხოვნილი საგნებით მომარაგება და რაც მთავარია ფასების დაკლების კამპანიის სწორათ ჩატარება.

ქალთა შორის მუშაობას გაუმჯობესება დაეტყო. დაარსებულია ორი სადელეგატო პუნქტი, რომლებმაც მთლიანათ გაიარეს პროგრამები, ჩატარდა მათში მოხსენებები: მიწის ყიდვა-გაყიდვის, ქორწინება - განქორწინების, შვილთა აყვანის და სხვადასხვა საკითხებზე. სუსტია მუშაობა ამ მხრივ მანავის თემში და ნაწილობრივ საგარეჯოს თემში შემავალ ზოგიერთ სოფლებშიც. საერთოთ ქალები ნაკლებათ არიან ჩაბმული პარტიის და კომკავშირის რიგებში.

ჩატარდა ნაყოფიერი მუშაობა ღარიბ გლეხთა შორის. ჩამოყალიბდა თემსაბჭოსთან ღარიბ გლეხთა ჯგუფები, სადაც განხილული იქნა საკითხები: პარტია და ღარიბი გლეხობა, საგზაო მშენებლობა, სამელიორაციო საზოგადოების მნიშვნელობა, ქვეყნის თავდაცვა-გასამხედროება და სხვა. ამ მხრივაც სუსტია მუშაობა მანავის თემში.

კომკავშირის საქმიანობა წარსულში ძალზე მოისუსტებდა, მოისუსტებდა მათზე პარტხელმძღვანელობაც. პარტუჯრედები დღესაც ნაკლებათ ერკვევიან მის წინაშე მდგომ მორიგ ამოცანებში.

მომავალში კომკავშირზე პარტხელმძღვანელობის საქმეს უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. დასასრულს მომხსენებელი შეეხო: შინა საუჯრედო მუშაობის, ორგანიზაციის ზრდის, პოლიტ-განათლების და სხვადასხვა მუშაობის საკითხებს.

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და მიიღო სათანადო პრაქტიკული წინადადებანი მომავალ მუშაობის გასაჯანსაღებლათ და ბოლოს არჩეულ იქნენ დელეგატები საქალაქო სამაზრო კონფერენციაზე დასასწრებლათ.

გ. ძაბილაშვილი.

კომკავშირში

თბ. მაზრის კომკ. თემკომების მდივანთა თათბირი

დილის სხდომა

გუშინ, დილის 10 საათზე ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის ბინაზე გაიხსნა თბილისის მაზრის ა. ლ. კ. კ. თემკომების მდივანთა თათბირი.

თათბირი გაგრძელდება სამ დღეს და განიხილავს შემდეგ საკითხებს:

1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) ბიუროების მომავალი გადარჩევა, 3) კავშირის ზრდის მოწესრიგება, 4) პოლიტ - განათლების მთლიანი სისტემის გამომუშავება, 5) სოფლის ახალგაზრდობის გასამხედროების საქმე, 6) ნორჩ პიონერთა შორის მუშაობა, 7) მიცემულ დირექტივების ცხოვრებაში გატარების შედეგები, 8) ოქტომბრის დღესასწაულისათვის მომზადება და 9) მიმდინარე საკითხები.

ამ თათბირის მთავარი მიზანია გამორკვევა იმისა, თუ რამდენად იყო ცხოვრებაში გატარებული ყველა ის დირექტივები და გეგმები, რომელნიც გამომუშავებული იქნა მე-2-რე თათბირზე.

თათბირზე პირველ მომხსენებლად გამოდის მანგლისის თემკომის მდივანი ამხ. ბუჟიაშვილი, რომელიც მოკლედ აღნიშნავს თემკომის მუშაობის მთავარ მომენტებს.

მანგლისის თემკომის მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გადასვლას დიდი მიღწევები ახასიათებს; გლეხურ ახალგაზრდობის მასა მნიშვნელოვნად გათვითცნობიერდა, ყველამ შეიგნო კულტურულ და საზოგადოებრივ მუშაობის დიდი მნიშვნელობა. კომკავშირელების მიერ უკვე დაარსებულია რამოდენიმე კულტწრე. ახალგაზრდობა დიდ მონაწილეობას ღებულობს სოფლის საქმეებში, უჯრედები კოლექტიურ ძალებით ამუშავებენ ბოსტნებს, ბაღებს და სხვა.

არა ნაკლები მუშაობა არის ჩატარებული აგრეთვე ალბულაღის თემში (მომხსენებელი ამხ. ვარლამოვი); თემში ეწყობა კონკურსები, შეჯიბრებები, წრეები და სხვა.

მოხსენებების გარშემო გაიმართა კამათი, რითაც დასრულდა დილის სხდომა.

საღამოს სხდომაზე თათბირი ისმენს საგარეჯოს თემკომის მდივნის ამხ. გრატიაშვილის საანგარიშო მოხსენებას.

საგარეჯოს თემკომის მუშაობა ძალიან შესუსტდა საზაფხულო პერიოდში, ვინაიდან კომკავშირელები დაიქსაქსნენ სხვადასხვა სამეურნეო მუშაობაზე.

ადგილობრივი აგრონომები, ექიმები, ტეხნიკოსები და სხვა სისტემატიურად უკითხავდენ ახალგაზრდობას ლექციებს.

მომხსენებლის სიტყვით, ორგანიზაცია იზრდება, მეტი წილად მოჯამაგირეთა და ღარიბის გლეხების ხარჯზე.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათის შემდეგ ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება ბიუროების მომავალ გადარჩევის შესახებ გააკეთა ამხ. ჭანკვეტაძემ.

გრძელვადიან შვებულებაში

საზეიმო სხდომა.

გუშინ 1-ლი ქართ. მსრ. ლეგიონმა გააცილა გრძელვადიან შვებულებაში მიმავალი წითელი არმიელნი.

ლეგიონის კლუბი სავსეა წითელ არმიელებით. ელოდებიან სხდომას. სცენაზე ამხ. **მიხა ცხაკაია** ესაუბრება წითელ არმიელს **ვანიძეს**, რომელმაც მუშურ-გლეხურ წითელ არმიის სპორტიულ შეჯიბრზე მოიპოვა საბჭოთა კავშირის პირველი მეტყვიამფრქვევის სახელი.

იწყება სხდომა. ლეგიონის სამხ. კომისარი ამხ. კვირაია პირველი სიტყვას აძლევს ამხ. **მიხას**, რომელსაც წითელ არმიელები უმართავენ ოვაციებს.

ამხ. მიხა ცხაკაიას მისალმება

ამხ. მიხა ესალმება შვებულებაში მიმავლებს; შემდეგ იგი ლაპარაკობს საერთაშორისო მდგომარეობაზე, მეორე ინტერნაციონალის ბელადების მოღალატურ პოლიტიკაზე, დასავლეთის მუშათა კლასის მდგომარეობაზე. სიტყვის დასასრულს იგი მოუწოდებს შვებულთ იმუშაონ ჩვენი ქვეყნის ასაღორძინებლად და მზად იყვნენ დაეხმარონ სხვა ქვეყნების მშრომელთ მათ ბრძოლაში თავისუფლებისათვის.

ამხ. მიხას სიტყვის შემდეგ ილაპარაკებ წითელ არმიელებმა.

ამხ. **მექვაბიშვილი** 1903 წელში დაბადებულთა სახელით სთხოვს მიმავალთ გადასცენ სალამი საქართველოს მუშებს და გლეხებს. „უთხარით მათ, რომ გულდამშვიდებით იმუშაონ ქვეყნის საკეთილდღეოთ. ჩვენ კი მტკიცედ დავიცავთ თოფით ხელში საბჭოთა კავშირის საზღვრებს“—ამთავრებს სიტყვას არმიელი.

შვებული არმიელი ამხ. **ქარელი** იძლევა ფიცს, რომ კეთილად გამოიყენებს ყაზარმაში მიღებულ ცოდნას. იგი მოუბრუნდება ამხ. მიხას და ამბობს: „სიტყვას გაძლევთ, ჩვენო ბელადო, რომ დაძახებისთანავე გამოვალთ იარაღით ხელში მშრომელთა ქვეყნის დასაცავად“.

ამხ. მიხა ხელს ართმევს არმიელს და მხურვალედ ჰკოცნის მას.

შემდეგ ლაპარაკობენ ტყავ-ტრესტის ქარხნის მუშა, არმიელნი და მეთაურნი, რომელნიც აძლევენ დარიგებას, თუ როგორ უნდა მოიხმაროს შვებულმა ცოდნა.

სამხ. კომისარი პოლიტგანყოფილების სახელით აჯილდოვებს წიგნებით სამს საუკეთესო არმიელებს: ამხ. ამხ. თათარაშვილს, კიკნაძეს და წილოსანს.

საზეიმო სხდომას შემდეგ ლეგიონის დრამატიულ და მომღერალთა წრეების ძალებით გამართულ იქნა საღამო წარმოდგენა.

საყურადღებო ცნობები.

1-ლ ქართულმა ლეგიონმა ორი წლის განმავლობაში შეასწავლა წერა-კითხვა 460-ზე მეტ სრულიად უცოდინარ წითელ არმიელს.

კურსების საშუალებით მან მოუმზადა სოფელს 86 საბჭოთა აპარატებში მომუშავე, 80 კოოპერატორი, 28 სამხედრო პროპაგანდისტი და 32 ქოხ-სამკითხველოს გამგე.

ელ.

როგორ მუშაობს მუშკოოპი

წვრილი სადუქნო კრედიტი

მუშკოოპის გამგეობა ცხოვრებაში გასატარებლად ამზადებს წვრილ სადუქნო კრედიტის ახალ ფორმებს

საქონლის ნისიათ გაცემა იწარმოებს უორდეროთ. კრედიტებით მოსარგებლე გახსნილ კრედიტის ფარგლებში მიიღებს განსაკუთრებულ, სხვადასხვა ღირსების „მუშკოოპის ფულს“. ეს „ფული“ დამზადებულია ს. ს. რ. კ. ფინსახკომის მიერ დამტკიცებულ ფორმის მიხედვით. ეს „ფული“ არ წარმოადგენს ფულის სუროგატს, რომლის გამოშვებაც აკრძალულია კანონით: ის იქნება ბრუნვაში მხოლოდ მუშკოოპის ქსელის ფარგლებში.

მუშკოოპის თვითეულ წევრს, რომელსაც კრედიტი აქვს გახსნილი, შეუძლია მუშკოოპის ყოველ მაღაზიაში აირჩიოს ყოველნაირი საქონელი, გარდა მანუფაქტურისა, და გადიხადოს ეს „ფული“. კრედიტით სარგებლობა შეიძლება სხვადასხვა ვადებში და სხვადასხვა მაღაზიებში. ამრიგად, კრედიტებით მოსარგებლეს შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს მისთვის საჭირო საქონელი. მუშკოოპის იმ მაღაზიიდან. სადაც ის იშოვება; მყიდველი არ არის მიმაგრებული ერთ-ერთ რომელიმე მაღაზიაზე, როგორც ამას წინად ჰქონდა ადგილი. ამასთანავე მას შეუძლია მიიღოს ყოველგვარი წვრილმანი საქონელი: რძე, ნავთი და სხ., რასაც წინად ნისიათ არ იძლეოდენ.

მუშკოოპი ცდილობს გაადიდოს წვრილი სადუქნო კრედიტით მოსარგებლე მშრომელთა რიცხვი და ამ მიზნით უკვე შეუთანხმდა გარანტიების შესახებ თამბაქოს ტრესტს, არსენალს, ტრამვაის და სხვა საწარმოთა ადმინისტრაციას. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი წესის დროს წვრილი სადუქნო კრედიტი ფართოდ გავრცელდება.

რაც შეეხება მანუფაქტურას, ის განაწილებული იქნება გრძელვადიანი კრედიტის წესით. ეს საკითხი პრინციპიალურად უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ მისი პრაქტიკულად განხორციელებას აბრკოლებს ის გარემოება, რომ ბანკებს რომლებიც ჩვეულებრივად ანაღდებენ ასეთი სახის კრედიტის თამასუქებს, ამჟამად თავისუფალი თანხები არ მოეპოვებათ. რადგან მთელი თავისი საშუალებები მოახმარეს დამზადებას. ასეთი მდგომარეობა გასტანს 15 ოქტომბრამდე.

მუშკოოპის მაღაზიების აწერა

მუშკოოპის გამგეობამ გადასწყვიტა მუშათა ფართო საზოგადოებრიობა ჩააბას ისეთ წმინდა ტეხნიკურ ოპერაციაში, როგორიც მაღაზიების აწერა. ამ აღწერამ მის მონაწილეებს უნდა დაანახვოს პრაქტიკულად, თუ როგორ მიმდინარეობს მუშკოოპის მუშაობა. ამ შემთხვევაში მუშების მონაწილეობა უკეთ გამოარკვევს მუშკოოპის მუშაობაში არსებულ ნაკლს.

აღწერაში, რომელიც 1 ოქტომბერს დაიწყება მონაწილეობას მიიღებს სადუქნო კომისიების 300 წევრი. წევრებს წინასწარ აგროვებენ რაიონებში და მუშკოოპის ინსტრუქტორები სათანადო ინსტრუქციებს აძლევენ მათ.

მუშკოოპი „ორიანტში“

1 ოქტომბრიდან სასტუმრო „ორიანტის“ რესტორანი, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში არ მუშაობდა, გადაკეთდება მუშკოოპის წითელ სასადილოდ. მუშკოოპი ფიქრობს ამ საქმის ფართო ნიადაგზე მოწყობას. ყოველდღიურად განზრახულია არა ნაკლებ 500 სადილის გაცემა. მუშკოოპმა მტკიცედ გადასწყვიტა შეუდგეს საზოგადო კვების ამოცანის განხორციელებას თბილისში. ეს ამოცანა აქამდე ყველაზე უფრო საძნელო იყო კოოპერაციისათვის.

მზადება ოქტომბრის

დღესასწაულისათვის

როგორც გუშინდელ გაზეთში გვქონდა აღნიშნული, საბჭოთა კავშირი ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის დღესასწაულის აღსანიშნავად უცხოეთის ცენტრალურ ქალაქებში აწყობს მოძრავ გამოფენებს.

ამ გამოფენებში მონაწილეობის მისაღებად საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა ოქტომბრის დღესასწაულის ჩამტარებელმა კომისიამ დაადგინა დაამზადოს საქართველოში სახალხო მეურნეობის ფრონტზე მიღწევების დიაგრამები, ფოტოგრაფიული სურათები კარტოგრამები და სხვ.

ტრესტებს წინადადება მიეცათ 10 ოქტომბრისათვის წარმოადგინონ თავიანთი მიღწევების შესახებ მასალები 6 ცალად. აქედან ოთხ-ოთხი ცალი დიაგრამების, კარტოგრამების, ფოტოგრაფიული სურათების და სხვ. გაიგზავნება გამოფენების ცენტრალურ მომწყობ კომისიაში მოსკოვში, ორ-ორ ცალს დაიტოვებს სახ. მეურ. უმ. საბჭო.

საჭირო ექსპონატების დასამზადებლად სახ. მეურ. უმ. საბჭომ გადასდო 8685 მანეთი.

სახკომსაბჭოში

სამკურნალო მშენებლობისათვის გადადებული თანხა

საქართველოს სამრეწველო რაიონებში საავადმყოფოების ასაშენებლად გადადებული თანხა (111.000 მან.), რომელიც უკვე განაწილებულია, სახკომსაბჭოს დადგენილებით შენახული იქნება ერთ-ერთ ბანკში სახკომსაბჭოს სახელდახელო ანგარიშზე. აღნიშნულ თანხის გაცემა იწარმოებს სათანადო დაწესებულების მოთხოვნილების მიღების მიხედვით.

საკანცელიარიო წლის დასაწყისი

სახკომსაბჭოს დადგენილებით — საკანცელიარიო წლის დასაწყისათ ითვლება 1 იანვარი.

დაცვითი ტყის ზონა

სახკომსაბჭომ დაადგინა — აბაშის ელ-სადგურის წყლის ძალით უზრუნველსაყოფად, საჭიროთ იქნეს ცნობილი — მდინარე აბაშის ბასეინის დაცვითი ხასიათის ტყის ზონის განსაზღვრა. მიწათმოქმედების სახკომმა სამაზრო აღმასკომთან ერთად ადგილობრივ უნდა განსაზღვრონ დაცვითი ხასიათის ტყის ზონა და სათანადო პროექტი წარუდგინონ სახკომსაბჭოს.

სურამ - ძირულის გზატკეცილი

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს — განაგრძოს სურამ - ძირულის გზატკეცილის გაყვანის სამუშაოები, რისთვისაც, შორაპნის აღმასკომის წინადადების თანახმად, გამოიყენოს ადგილობრივი გლეხობის თვით დაბეგვრა და შრომის ბეგარა.

ზარალის გამორკვევა

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ქუთაისის სამაზრო აღმასკომს — გამოარკვიოს ცხენის წყლის მიმდინარეობის შეცვლით სოფ. ღანირისათვის მიყენებული ზარალის რაოდენობა და წარუდგინოს სახკომსაბჭოს ღონისძიებათა პროექტი ამ მოვლენების შემდეგში თავიდან ასაცილებლად.

წითელი ჯვრის საბჭოს სესია

27 სექტემბრის სხდომები

დილის სხდომაზე დამთავრდა კამათი, ამხ. კაკალეიშვილის და ლონირენკოს მოხსენებების გარშემო.

შემდეგ მოსმენილ იქნა ბელორუსიის ჯანსახკომის ამხ. **ბარსუკოვის** მოხსენება ბელორუსიის წითელი ჯვრის საზოგადოების მუშაობის და მდგომარეობის შესახებ და სომხეთის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარის ამხ. **კამსარაკანის** ინფორმაციული მოხსენება იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატება საზოგადოების მუშაობა მიწისძვრისაგან დაზარალებულ ლენინაკანელებისათვის დახმარების საქმეში.

სღ. სხდომის სესიამ მოისმინა წითელი ჯვრის და ნახევარ მთვარის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრის ამხ. **მებურნუთოვის** მოხსენება საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრის და ნახევარ-მთვარის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივნის ამხ. **ზლატკოვსკის** მოხსენება აღმასკომის ფინანსების შესახებ.

ყველა მოხსენების გარშემო სწარმოებდა კამათი, განსაკუთრებით ცხოველი კამათი სწარმოებდა ამხ. ზლატკოვსკის მოხსენების გარშემო.

რეზოლიუციები

შემდეგ სესია შეუდგა რეზოლიუციების განხილვას მოსმენილ მოხსენების გარშემო. მიღებულ იქნა რეზოლიუცია წითელი ჯვრის და ნახევარ-მთვარის სამხედრო - სასანიტარო მუშაობის შესახებ.

ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენების და წითელი ჯვრის და ნახევარ-მთვარის აღმასკომის ბიუჯეტის შესახებ.

დასასრულ სესიამ, ნაცვლად გარდაცვლილი ამხ. ივანოვის მაგივრად ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრად აირჩია ამხ. ბუცენკო (უკრაინის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე).

სესიის დახურვა

სხდომის დახურვის წინ, სესიამ მიიღო დეპეშების ტექსტი საკავშირო და ამიერ-კავკასიის ცაკებისადმი, საკავშირო სახკომსაბჭოსადმი და საკავშირო სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოსადმი.

სესია დაიხურა ღამის 12 საათზე.

ვაჭრობა სპარსეთთან

ახლო მომავალში ხელმოწერილი იქნება სავაჭრო ხელშეკრულება სპარსეთთან. ამასთან დაკავშირებით ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. **ბეკზადიანმა** დაუგზავნა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს საქართველოში, სომხეთში და აზერბეიჯანში, საბჭოთა სავაჭრო ფლოტის საგენტოებს თბილისში, ბაქოში და ბათომში, აგრეთვე სპარს-ბიუროს სადირექტივო წერილი.

წერილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს სპარსეთთან სავაჭრო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას და აღნიშნავს, რომ საქონლის ტრანზიტს დასავლეთ ევროპიდან სპარსეთში საბჭოთა კავშირის გზით აქტუალური ხასიათი ეძლევა.

სპარსეთში გასაგზავნ სატრანზიტო ტვირთების გადაზიდვის გაიაფებას, სისწრაფეს და თავის დროზე ანგარიშის გასწორებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საბჭოთა სავაჭრო ფლოტის აგენტებმა, კანტორებმა და აგრეთვე იმ ადგილობრივმა ორგანოებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ ტვირთების ტრანზიტს სპარსეთში. ყოველივე ზომები უნდა იქნეს მიღებული იმისათვის, რომ ტვირთები გზაში არ დაგვიანდეს და აგრეთვე არ გაიზარდოს სატრანსპორტო ხარჯები და სხვა.

მეთვალყურეობა უნდა გაეწიოს აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას და ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოთ ჩვენსა და სპარსეთს შორის სატრანზიტო ტვირთების გატარების სისწრაფეს. (ადს).

თიანეთის ხე-ტყის ქარხანა

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე დაწვრილებით განხილულ იქნა თიანეთის ხე-ტყის ქარხნის მდგომარეობის შესახებ ინჟ. აბაშიძის მიერ წარმოდგენილი გამოკვლევა. რომლიდანაც გამოირკვა შემდეგი: თიანეთის ხე-ტყის ქარხანაში ამჟამად მუშაობს ერთი ხერხი, მეორე გაუქმებულია. ქარხანა მუშაობს ლოკომობილით, რომელიც აგრეთვე სინათლეს აწვდის თემს. ლოკომობილის ამუშავება სწარმოებს შეშით. ქარხანას სათანადოთ მოწყობის შემდეგ შეუძლია წლიურად დაამუშაოს 12-არშინიანი 20.000 ცალი მორი. თიანეთის სატყეო რაიონი საკმაოდ მდიდარია ასეთი ჯიშის ხეებით, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა. ამ ტყეში შეიძლება დამზადდეს თბილისის ავეჯულობის ქარხნისათვის საჭირო მასალა და აგრეთვე იქვე შეიძლება საბინაო მშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყის დამზადება.

პრეზიდიუმმა დაადგინა მოაწყოს სათანადოთ აღნიშნული ქარხანა და აამუშაოს ორივე ხერხი. გაადიდოს მუშათა შტატი და მიიღოს ზომები ქარხანაში დამზადებულ მასალებისათვის ბაზრის მოსაპოებლად. ქარხნის ყოველმხრივ მოსაწყობად პრეზიდიუმმა გადასდო 5000 მანეთი.

მუშათა ცხოვრება

დღეს, 28 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე (კამოს ქ., № 68), შესდგება „კომუნისტი“-ს მუშკორთა საერთო კრება. კრებაზე მოწვეული არიან აგრე-თვე ფაბრქარხკომთან არსებული კედლის გაზეთების თანამშრომლებიც.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობისა და მუშკორთა ამოცანების შესახებ—მომხსენებელი საქ. ფინსახკომის მოადგილე ამხ. **ი. ფანცხავა.** 2) ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის მზადება და მუშკორები და 3) გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციასთან არსებულ მუშკორთა რკინის ფონდის მდგომარეობა — მომხსენებელი ამხ. **ნ. იტრიევი.**

მუშკორთა ბიუროს წევრები უნდა გამოცხადდენ სრულ 5 საათზე.

უმოქმედო საწარმოო თათბირი

ზოგიერთ წარმოების ხელმძღვანელებს და პროფუჯრედებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ ის დიდი მნიშვნელობა რომელიც საწარმოო თათბირების მუშაობას აქვს წარმოების გაჯანსაღების საქმეში. ამიტომ საწარმოო კომისიების მუშაობის გასაცხოველებლად მაინცდამაინც თავს არ იწუხებენ. აი ამის მაგალითი:

ავჭალის წყალსადენში უკვე ერთი წელიწადია არ შემდგარა საწარმოო თათბირი. საწარმოო თათბირის უკანასკნელმა სხდომამ, რომელიც შესდგა გასული წლის დეკემბერში, განიხილა მუშაობის პრემიალურ სისტემაზე გადასვლის საკითხი და გამოჰყო განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ამ საკითხის სათანადოთ შესწავლა და პრემიალურ სისტემაზე გადასასვლელი გეგმის შედგენა.

მას შემდეგ კარგა დრომ განვლო მაგრამ ეს საკითხი **ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება.** არც გამოყოფილ კომისიას შეუსწავლია ეს საკითხი და არც საწარმოო თათბირს შეუწუხებია თავი, მეორე სხდომის მოსაწვევად და საკითხის ხელმეორედ განსახილველად.

ქარხკომიც თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს საწარმოო თათბირს, ის არამც თუ არ უწევს რაიმე ხელმძღვანელობას საწარმოო კომისიებს და თათბირებს, არამედ თავისი საქციელით ხელს უშლის მის მუშაობას.

გარდა გასული წლის დეკემბერში განხილული საკითხისა, ბევრი საჭირბოროტო საკითხებია განსახილველი, რომელთა გადაუჭრელობა აფერხებს წარმოების წესიერ მსვლელობას.

ურიგო არ იქნება, რომ პროფკავშირმა მიაქციოს სათანადო ყურადღება ამ მოვლენას და მიიღოს ზომები ავჭალის წყალსადენის უმოქმედო საწარმოო თათბირის გამოსაცოცხლებლად.

მუშკორი პრემია.

ადმინისტრატიული ხარჯების შემცირების შესახებ

ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში ტარდება ადმინისტრატიული ხარჯების ოცი პროცენტით შემცირება. ამ ღონისძიების გატარება ხელს შეუწყობს გაბერილ შტატების შემცირებას და, რაც მთავარია, ადმინისტრატიულ აპარატის გაჯანსაღება - გამარტივებას, ხოლო აქედან მომჭირნეობით მიღებული თანხა მოხმარდება ჩვენი ქვეყნის მეურნეობის აყვავება - გამაგრებას და ინდუსტრიალიზაციას.

ბევრ დაწესებულებებში შეხვდებით გაბერილ შტატებს, რომლებსაც ზიანის მეტი არაფერი მოაქვთ ჩვენ წარმოებებისათვის. ამიტომ მუშურ - გლეხურ ხელისუფლების ნაბიჯი ადმინისტრატიული ხარჯების 20 პროცენტით შესამცირებლად ზედმიწევნით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. ხარჯების შემცირების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მთელ რიგ ზედმეტ და სრულიად უნაყოფო ხარჯებს, როგორიც არის ზედნადები ხარჯები, მივლინებები, ზედმეტი სამუშაოები და სხვ., რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება ჩვენს წარმოებას. ხოლო ისეთ ადგილებში კი, სადაც აუცილებელია შტატის შემცირება, აქ ხელმძღვანელ ორგანიზაციებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ ერთგულ და მუყაით მუშაკებს. შტატის შემამცირებელმა კომისიებმა ანგარიში უნდა გაუწიონ წარმოებისათვის საჭირო და ერთგულ მუშაკებს და შემცირებაში უნდა მოაყოლონ ისეთი თანამშრომლები, რომლებიც ცუღლუტობის მეტს არაფერს აკეთებენ.

მუშკორი—ნიკო მკერვალი.

სახლის პატრონის ოინები

ზოგიერთ სახლის პატრონებს თავხედობას და მათ მიერ მუშა მდგმურების შევიწროებას ბოლო არ ეღება. მიუხედავად იმისა, რომ მილიცია არა ერთხელ და ორჯელ აძლევს სათანადო გაფრთხილებასა სახლის პატრონებს, ისინი მაინც უდიერად ეპყრობიან მუშა მდგმურებს, რათა ასეთი საშუალებით მუშები ბინიდან გამოასახლონ.

მოქ. დურბო ოსო ოღლის კარგად იცნობს, როგორც ქალაქის მილიცია, ისე პირველი უბნის სახალხო სასამართლოც. ამ რამოდენიმე ხნის წინად სასამართლომ ხულიგნობისათვის მას მიუსაჯა ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ შეუცვალა ორი წლით პირობითი სასჯელით..

მას შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, მაგრამ ხულიგანი დურბო ერთი ოთხჯერ მაინც ყოფილა დაპატიმრებული პირველი უბნის მილიციის მიერ, როგორც მოუსვენარი და გამოუსწორებელი ადამიანი.

მილიციის ასეთ ზომებს მაინც არ უშინდება დურბო ოსო ოღლი. ის გაილეშება ღვინით, მივა სახლში და საშინელი უშვერი სიტყვებით დაუწყებს ხოლმე გინებას მეზობლებს და განსაკუთრებით გინეკოლოგიურ ინსტიტუტის მუშა ქალის ნუშო თორიძის ობლებს.

ვაჟბატონი დურბო არავითარ ძალას არ იშურებს ამ ობლების ბინიდან გამოსასახლებლად. ხშირად შუაღამისას მივარდება მათ ბინაში და კარების და ფანჯრების რახუნით აშინებს თორიძის ბავშვებს. ეს ხდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბავშვების დედა მორიგეა სამსახურში.

24 სექტემბერს, ღამის დაახლოვებით სამ საათზე მოქ. დურბო ოსო ოღლი ასულიყო თორიძის ბინის სახურავზე და სახლის უკანა კედლიდან ჰყრიდა აგურებს. ამ ხმაურობამ ძალიან შეაშინა თორიძის ბავშვები. მას შემდეგ თითქმის ყოველღამე აცლის კედელს აგურებს და ინახავს, იმ მიზნით, რომ სახლის შეკუთების მიზეზებით გაასახლოს ამხ. თორიძე ბინიდან.

მილიციავ, გამოიძიე მოქ. დურბო ოსო ოღლის საქმე და მოსთხოვე მას სასტიკი პასუხი.

მოოდნე.

სადგურის უფროსია თუ ხულიგანი

რკინის გზის უფროსის ბრძანების თანახმად, 1 სექტემბრიდან ამერიკულ მოძრაობის შემოღების გამო, თბილისის საყუდიდან დაინიშნა ორი გუნდი, ე. ი. 40 კაცი, მათთვის შეკეთებული იყო ახალი ქვეშაგები, ზეწრები ბალიშები და საბნები, რომლებიც გაიგზავნა სადგ. აქსტაფაში და განჯაში სამორიგეო ოთახების მოსაწყობად. სადგ. განჯის უფროსს მოეწონა ახალი ქვეშაგები ნაწილი თავისთვის დაიტოვა და ნაწილი კი დაურიგა თავის ნაცნობ-მიძამშვილებს.

ამის გამო 25 სექტემბერს ორთქლმავალთა გუნდა მოიწვია შრომის ინსპექტორი, რომელმაც სადგურის უფროსს წინადადება მისცა გაესუფთავებინა სამორიგეო ოთახი, მოეწყო ლოგინები და მოეტანა გუნდისთვის გამოგზავნილი ქვეშაგები.

სადგურის უფროსმა იუკადრისა ეს სამართლიანი მოთხოვნილება და დაიწყო უშვერი სიტყვებით ლანძღვა-გინება. ბოლოს საცემრადაც მიიწია მემანქანე ჯავახიშვილზე და სიმონიძეზე.

რკინის გზის გამგეობავ, გამოარკვიე ეს საქმე და მოსთხოვე პასუხი, სადგ. განჯის უფროსს ასეთ ხულიგნობისათვის.

მუშკორი შავსოფლელი.

ეს არის უწესოება

(მილიციის უფროსის საყურადღებოდ)

სატუსაღო დარგის მილიციის ინსპექტორმა ნემსიწვერიძემ 26 სექტ. ღამის 10 საათზე, თავისუფლების მოედანზე სცემა მილიციელს ლომიძეს. შემდეგ უბრძანა საგუშაგოზე მდგომ მილიციელს დაეტუსაღებინა და წაეყვანა იგი კომისარიატში.

გუშაგმა მილიციელმა, სთხოვა ნემსიწვერიძეს გაჰყოლოდა კომისარიატში. ეს იუკადრისა ნემსიწვერიძემ და ერთი ისეთი გაარტყა მილიციელს ყურის ძირში, რომ, როგორც ექიმის დასტურიდან სჩანს, ყურის ფირფიტა დაუზიანა.

საჭიროა გამოძიებულ იქნეს ეს საქმე და მოქ. ნემსიწვერიძეს მოეთხოვოს პასუხი.

„ჩისტკა“.

წყალდიდობის შედეგები აჭარისტანში

(საუბარი აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. მემედ გოგიბერიძესთან)

ჩვენი კუთხის უხუცეს მცხოვრებსაც კი არ ახსოვთ ისეთი სტიქიური უბედურება, განაცხადა ამხ. გოგიბერიძემ, რომელიც ენკენისთვის 1-ლ რიცხვებში თავს დაატყდა აჭარისტანს, რომელიც საშინლად დაზარალებული და წელგატეხილია ამ მოულოდნელი უბედურებით. საჭიროა ამიერ.- კავკასიის და საბჭოთა კავშირის მთავრობის განსაკუთრებული ღონისძიებები, რომ აჭარისტანი ისევ ფეხზე წამოდგეს და კვლავ განაგრძოს აღმშენებლობითი მუშაობა. ის ცნობები, რომელიც შეკრიბა და დაამუშავა ზარალის გამომრკვევმა კომისიამ, მხოლოდ დაახლოვებით წარმოდგენას იძლევიან ზარალზე, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, გაცილებით უფრო მეტია, ვინაიდან კომისიებს ჯერ მუშაობა არ დაუმთავრებიათ.

სასოფლო მეურნეობა

ჯერ - ჯერობით სოფლის მეურნეობისადმი მიყენებული ზარალი შემდეგით განისაზღვრება:

ჩაქვის თემში დაზარალებულია 217 მეკომური, წაღებულია 104 დესეტინა სიმინდის ნათესები, 14 დესეტინა ლუფის პლანტაცია 4,5 დესეტინა ბრინჯის ნათესები, 13 წისქვილი, 9 სახლი, 5 სასიმინდე, 2 დესეტინა ბაღი, 2 დესეტინა ბოსტანი, 1,5 დეს. ჩაის პლანტაცია. წყლისგან წაღებულია 17 ურემი და 6 ათასი ცალი ხის მორები.

ჩაქვის თემის ზარალი უდრის სულ 91.785 მანეთს.

ქობულეთის თემში დაზარალებულია 66 მეკომური. წაღებულია 40 დესეტინა სიმინდის ნათესები, 4 დესეტინა ბრინჯი, ნახევარი დეს. ლუფი, ნახევარი დესეტინა მანდარინების სანერგე და ერთი წისქვილი. ამ თემის ზარალი უდრის სულ 13.150 მანეთს.

ჩახათის და კინტრიშის თემებში დაზარალებულია 301 მეკომური. წაღებულია 81-ნახ. დესეტინა სიმინდის ნათესები, 3 დესეტ. ბრინჯის ნათესები, 3 წისქვილი და 1.000 ცალი ხის მორი. ამ თემების ზარალი უდრის 24.250 მანეთს.

ქ. ქობულეთის ფარგლებში დაზარალებულია 28 მეკომური, წაღებულია 30 დესეტინა სიმინდის ნათესები, ნახევარი დესეტინა ლუფა, 2 დესეტინა მანდარინის ბაღები, 420 ცალი ხეტყის მორები, წაღებულია მსხვილფეხა საქონელი შინაური ფრინველი და სხვა.

ზარალი უდრის 46.800 მანეთს.

ქობულეთის მაზრაში ზარალის ჯამი შეადგენს სულ 175.085 მანეთს.

ორთა-ბათომის თემში დაზარალებულია 256 მეკომური, წაღებულია 83 დესეტინა სიმინდი, 2 დესეტ. თამბაქოს პლანტაცია, 1 დესეტ. ლუფა, 1,5 დეს. მანდარინის ბაღი, 7,5 დეს. ხეხილის ბაღი, 1,5 დეს. ჩაის პლანტაცია, 2 დეს. ბოსტანი, 9 წისქვილი, 1 ქვის სახლი, 14 სასიმინდე, 6 მსხვილფეხა საქონელი, 350 შინაური ფრინველი, 2 140 მანეთად ღირებული სხვადასხვა წვრილ - წვრილი ინვენტარი, ღობეები 5500 კვადრ. საჟენი სიგრძისა და სხვ. ორთა-ბათომის თემის ზარალი უდრის 94.895 მანეთს.

გონიოს თემში წაღებულია 28 დესეტ. სიმინდის ნათესები, ნახევარი დესეტ. თამბაქოს პლანტაცია და 6 წისქვილი. ამ თემის ზარალი უდრის 6.800 მანეთს.

აჭარისწყლის თემში დაზარალებულია 298 მეკომური, წაღებულია 132 დესეტ. სიმინდის ნათესები, 3.000 მანეთად ღირებული სასოფლო - სამეურნეო ინვენტარი, 6 წისქვილი და სხვა. ზარალი უდრის 30.220 მანეთს.

მახუნცეთის თემში დაზარალებულია 334 მეკომური, წაღებულია 121 დესეტ. სიმინდის ნათესები, ნახევარი დესეტ. ბაღი, 1 სახლი, 16 წისქვილი, 3 სასიმინდე და 2.460 მანეთად ღირებული წვრილმანი ინვენტარი. მახუნცეთის თემის ზარალი შეადგენს სულ 34.460 მანეთს.

ქალ. ბათომის ფარგლებში დაზარალებულია 6 დესეტ. ბოსტანი, წაღებულია 1.540 ფრთა ფრინველი, 1 ქვის სახლი და 4 წისქვილი. ზარალის ჯამი ბათომის ფარგლებში უდრის 21.990 მანეთს.

ბათომის მაზრაში ზარალის ჯამი უდრის სულ 188.365 მანეთს.

ცხმორისის თემში დაზარალებულთა რიცხვი უდრის 98 მეკომურს. წაღებულია 26 დესეტინა სიმინდის ნათესები, 1 დესეტ. ხეხილის ბაღი, 8 წისქვილი, 17 სასიმინდე და 4 საცხოვრებელი ბინა. ამ თემის ზარალი უდრის სულ—13.350 მანეთს.

მერისის თემში დაზარალებულია 164 მეკომური, წაღებულია 125 დესეტ. სიმინდი, 2,5 დესეტ. ხეხილის ბაღი, 16 წისქვილი, 15 სასიმინდე და 14 საცხოვრებელი ბინა. ზარალი უდრის 45.850 მანეთს.

ქედის თემში დაზარელებულია 109 მეკომური, წაღებულია 117 დესეტ. სიმინდის ნათესები, 2,5 ხეხილის ბაღი, 26 წისქვილი, 34 სასიმინდე და 23 საცხოვრებელი ბინა. ამ თემის ზარალი უდრის 55.050 მანეთს.

ქედის მაზრის ზარალის ჯამი შეადგენს სულ 114.250 მანეთს.

მთლიანად სამივე მაზრების ზარალი ჯამით უდრის 467.700 მანეთს. ამას უნდა მიემატოს კიდევ ბათომის ბოტანიკური ბაღის, საბჭოთა მამულების და კულტურულ აგარაკების ზარალი, რომლის საერთო ჯამი უდრის 13.390 მანეთს.

გზები და ხიდები

გაცილებით უფრო დიდია ზარალი, რომელიც წყალდიდობამ მიაყენა აჭარისტანის გზატკეცილებს, ხიდებს, საურმე გზებს, ქალაქის მეურნეობას და მრეწველობას.

ბათომ - გოდერძის გზაზე დიდი ზარალია. მე-36 ვერსტზე 8 საჟენიანი რკინის ხიდი სრულიად განადგურებულია. 46 ვერსზე ხიდი ნახევრად დანგრეულია. დიდძალი წვრილი ხიდები დაზიანებულია და დანგრეულია გზები. კომისიის გამოანგარიშებით ამ გზაზე ზარალი უდრის 72.938 მანეთს.

ბათომ - ქობულეთის გზაზე მთელი რიგი წვრილი ხიდები წაღებულია წყლის მიერ. მეორე ვერსზე კუბაწყლის რკინა - ტინობის ხიდი, ყოროწის წყლის 52 მეტრიანი ხიდი ძალზე დაზიანებულია. ჩაქვის ხის ხიდი,—60 მეტრის სიგრძისა, სრულიად წაღებულია. გზა ბევრგან სრულიად წალეკილია, ზოგან დალექილი, ზოგან ჩამოშვებული. ამ გზაზე ზარალი უდრის—187.296 მან.

ჭოროხმა გადალახა ნაპირი და 60 საჟ. მანძილზე წალეკა გზა. მდგომარეობა მეტად სერიოზულია, რადგან ეხლა მდინარე პირდაპირ ბათომს ემუქრება. კომისიის გამოანგარიშებით აუცილებლათ საჭიროა 36 ჯებირი თითო 12 საჟ. სიგრძისა. აქ საჭიროა 69.120 მან.

ქალაქის მეურნეობა და მრეწველობა

საგრძნობლად დაზარალდა აგრეთვე ქალაქის მეურნეობაც. მარტო მდ. ბარცხანამ დააზიანა 3 ხიდი. 5 ვერსის მანძილზე გაფუჭებულია გზები. ქალაქის წყალსადენი დაზიანებულია იმდენად, რომ რამოდენიმე თვე იქნება საჭირო მის აღსადგენად. დღეს მთელი ქალაქი უწყლოთ არის დარჩენილი. მთავარი მაგისტრალის მილები წაღებულია 200 მეტრის მანძილზე, ხოლო შემდეგ ნაწილში მილები ამოვსებულია ნალექებით. სათავე და კამხალი სრულიად წაღებულია. ფილტრები ფრიად სახიფათო მდგომარეობაშია. ყოროწის წყალმა ფილტრებს შემოუარა და ეხლა ფილტრები კუნძულზე მოექცა. რაც წალეკას უქადის მას მდ. მეორეთ მოდიდების დროს. საჭირო ხდება ორი ახალი ფილტრის მოწყობა. კომისიის დასკვნით ქალაქის მეურნეობის ზარალი 279.700 მანეთს უდრის; ხოლო აჭარისტანის მრეწველობის ზარალი 39.921 მანეთს.

კომისიის გამოანგარიშებით ჩაქვის სახალხო მამულების ზარალი შეადგენს 60.000მანეთს.

ზარალის საერთო ჯამი

ამრიგად სასოფლო მეურნეობის ზარალი უდრის 571.090 მანეთს. გზატკეცილების, ქალაქის მეურნეობის, მრეწველობის, ჩაქვის სახალხო მამულის ზარალი 793.675 მანეთს და მახუნცეთის ელსადგურის 142.000 მან. სულ ზარალის ჯამი უდრის 1.506.765 მანეთს. ამ ჯამში არ შედის რკინისგზის ზარალი (1.200.000 მან.), „აჭნევთხ“-ის ზარალი (240.000 მან.) და არც „ნევთსინდიკატის“ (35.000 მან.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

ამხ. მ. ცხაკაიას ჩამოსვლა

შვებულებიდან თბილისში დაბრუნდა ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. მიხა ცხაკაია.

ინჟ. ბ. მიქელაძის გამგზავრება ქუთაისში

ზაჰესის სამუშაოთა მთავარი მწარმოებელი ინჟ. ბ. მიქელაძე ავადმყოფობიდან განკურნების შემდეგ დაბრუნდა შვებულებიდან და მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით გაემგზავრა ქუთაისში, რიონჰესის სამუშაოთა მთავარი მწარმოებლის თანამდებობაზე.

თბილისის აღმასკომში

◆ **ახალი რონოდები.** მომავალ წელში მოსკოვიდან მიღებულ იქნება 54 ახალი რონოდი.

◆ **ახალი ბაღი.** კეთილმოწყობის განყოფილება გოგილოს აბანოსთან აშენებს ბაღს.

◆ **მიწადმოწყობა.** საადგილ - მამულო განყოფილებას დაევალა დაჩქაროს მაზრაში მიწად - მოწყობის საქმე.

◆ **წყალსადენის ელექტროფიკაციისათვის.** აღმასკომმა გადასდო 150.000 მანეთი.

◆ **ტრამვაის მუშათა სახლის აგება** დამთავრდება ახლო ხანში. მდგმურების ჩასახლება დაიწყება ნოემბრიდან.

◆ **საზოგადო სამუშაოები.** ამჟამად მოწყობილია ლენინის და ვერის უბნებში მათი კეთილმოსაწყობად. სამუშაოებზე ირიცხება 200 უმუშევარი.

ჯანსახკომში

◆ **ვენერიული დისპანსერი.** ჯანსახკომის ცნობით, ოქტომბრის 10 წლის თავზე ბათომში მოხდება ვენერიულ დისპანსერის საზეიმო გახსნა.

◆ **ჭლექის დისპანსერი.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა ბათომში გახსნას ჭლექის დისპანსერი.

◆ **საექიმო სადგურები.** ჯანსახკომმა მაზრებში გახსნა 30 ახალი საექიმო სადგური.

◆ **ქინაქინა.** ჯანსახკომი ამ დღეებში მიიღებს ქინაქინის ახალ პარტიას.

◆ **საექიმო რაზმების მოსაწყობად და მაზრებში გასაგზავნად** წელს ჯანსახკომი დახარჯავს 9.000 მანეთს.

◆ **სარაიონო საავადმყოფოები.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა მომავალ წელში გააფართოვოს სარაიონო საავადმყოფოების რიცხვი. ამჟამად მაზრებში ირიცხება 34 სარაიონო საავადმყოფო.

◆ **სახალხო ჯანმრთელობის საქმეზე** წელს ჯანსახკომი დახარჯავს 6 მილიონ მანეთს.

◆ **ექიმების გადასამზადებლად** ჯანსახკომი თბილისში ხსნის მოკლევადიან კურსებს.

◆ **დაზღვეულთა საექიმო დახმარების გასაწევად** წელს ჯანსახკომმა დღემდე დახარჯა—123.000 მანეთი.

◆ **ახალი ამბულატორიები.** ჯანსახკომმა წელს თბილისში გახსნა 8 ახალი ამბულატორია.

მიწსახკომში

◆ **მიწის განოყიერება.** მიწსახკომმა გადასწყვიტა მოაწყოს საჩვენებელი ნაკვეთები, რომლებიც განოყიერებული იქნება ქიმიური საშუალებით.

◆ **თუთის ხეები.** მიწსახკომი შეუდგა მაზრებში თუთის ხეების სანერგეების მოწყობას, საიდანაც გლეხებს უფასოდ მიეცემათ ნერგები.

სასოფლო - სამ. ბანკში

◆ **მანდარინის მეურნეობის მეპატრონეთათვის** სესხის დასარიგებლად სას.-სამ. ბანკმა გადასდო 10.000 მანეთი.

◆ **მამულების გასაფართოებლად.** აჭარისტანის სახალხო მამულში მეურნეობის გასაფართოებლად აჭარისტანის სას.-სამ. ბანკს გადაეგზავნა 18.000 მან.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **ხორცის დამზადება.** სააქციო საზ-ბა „მწყემსი" მომავალ საანგარიშო წელში დაამზადებს 250.000 ფუთ ხორცს.

◆ **სესხი კოოპერაციას.** საკავშირო კოოპერატიულმა ბანკმა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას სესხად მისცა 147.500 მანეთი.

◆ **ავტომობილები.** ა.-კ. სახ. ვაჭრობის სამმართველომ საზღვარგარეთიდან მიიღო ავტომობილების ახალი პარტია, ლიანჩის სისტემის.

◆ **თბ. მაუდის ქარხნის მოსაწყობად** მომავალ წელში დაიხარჯება 1.700.000 მანეთი.

◆ **ხე-ტყის ქარხნები.** სატყეო ტრესტს თბილისში არსებული ხე-ტყის სახერხი ქარხნები გადააქვს მცხეთაში.

ტელეფონი მოსკოვი — თბილისი

საცდელ მოლაპარაკების დროს გამოირკვა, რომ ლენინგრადთან და მოსკოვთან ლაპარაკი თბილისიდან უფრო გარკვევით ისმის, ვიდრე ბაქოდან. ეს აიხსნება იმით, რომ ტელეფონის [illegible] მავთულების დიამეტრი თბილის-ბაქოს ხაზზე რამოდენიმეთ ნაკლებია, ვიდრე მაგისტრალის დანარჩენ ხაზებზე.

იმ მიზნით, რომ ლენინგრადთან და მოსკოვთან ლაპარაკი ბაქოდანაც გარკვევით ისმოდეს, განჯაში თბილის - ბაქოს ტელეფონის ხაზზე დადგმული იქნება სატრანსლიაციო აპარატები.

ლითონის ნაწარმოები

საკავშირო სახალხო მეურნეობის უმ. საბჭოს ლითონის სინდიკატის ამიერ - კავკასიის კანტორის ცნობით, 1927—28 საანგარიშო წლის განმავლობაში ამიერ - კავკასიაში შემოზიდული იქნება 23860 ტონა სხვადასხვაგვარი ლითონის ნაწარმოები. აქედან აზერბეიჯანისათვის გადაიდება — 11.977 ტონა, საქართველოსათვის 8555 ტონა და სომხეთისათვის — 3428 ტონა.

სხვა და სხვა

დღეს, 28 სექტემბერს, წითელი არმიისა და ფლოტის სახლში (რუსთაველის პროსპექტი 10) **გ. მურადიანი** წაიკითხავს ლექციას: მიწისძვრა და მისი მიზეზები.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ **უმუშევართა კრება.** საქ. საბჭოთა - სავაჭრო მუშაკების კავშირის ცენტრ. გამგეობის მიერ ა.-წ. 4 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლის დიდ დარბაზში მოწვეულია კავშირის უმუშევარ წევრთა კრება, რომლის დღის წესრიგში დასმულია თბილისის საბჭოს ანგარიში და სავაჭრო კოლექტივის მოხსენება.

ბიბლიოგრაფია

ა. ი. რიკოვი.

„ცენტრალურ კომიტეტისა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი".

სახელგამი. გვ. 84, ფასი 20 კაპ.

მთელ პარტიულ მასსაში სწარმოებს საქ. კომპარტიის ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის უკანასკნელ გაერთიანებულ პლენუმის დადგენილებათა ახსნა - განმარტება. ოპოზიციამ გულისწყრომით განაცხადა კიდეც პლენუმზე რომ დაიწყება „კომიტეტების მიერ" ფართე საგიტაციო კამპანია, პლენუმის გადაწყვეტილებათა ე. წ. „დამუშავება"-ო.

ოპოზიცია ამგვარად უფრთხის პარტიის ხელმძღვანელ ორგანოთა დადგენილებების პოპულარიზაციას. პარტია კი, პირიქით მომხრეა ყრილობის, კონფერენციის თუ პლენუმის მიერ გამომუშავებულ ღონისძიებათა, ყრილობებზე თუ პლენუმებზე წარმოშობილ უთანხმოების ნამდვილი მიზეზების დაწვრილებითი გარკვევისა. ჩვენი პარტიის ცეკა ამიტომ არ უფრთხის სადაო საკითხების მასსაში გადატანას, თავისი მოქმედების წარდგენას პარტიულ სამსჯავროსათვის.

პარტიულ ორგანოების დადგენილებათა ფართე დამუშავებას ჰქონდა არანაკლები ყურადღება მიქცეული ლენინის დროსაც (ოქტომბრის წინა დღეებში კამენევის, ზინოვიევის და სხვათა ოპორტუნიზმის მხილება, ბრესტის ზავის საკითხი, პროფკავშირების ირგვლივ წარმოშობილი დავა ტროცკის მეოხებით, ახალი ეკონომიური პოლიტიკა და სხვ.), მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა ასეთ დამუშავებას 1923 წლიდან, როდესაც ტროცკის მეთაურობით ფრიად უპასუხისმგებლო ბრძოლა იქნა დაწყებული მთელი პარტიის წინააღმდეგ.

იგივე ზინოვიევი, კამენევი და მათი დღევანდელი ამყოლ - დამყოლი აჭარბებდნენ თავის დროზე „დამუშავების" ყოველგვარ ფარგლებს რისთვისაც პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები იძულებული ხდებოდენ წესრიგისაკენ მოეწოდებინათ თავდადებულ „მებრძოლებისათვის".

მისაღები და ყოველმხრივ მოსაწონი იყო უპრინციპო ზინოვიევ - კამენევისთვის „ფართო დამუშავება" ტროცკის 1923 და 24 წლების გამოსვლების მამხილებელ დადგენილებათა, ხოლო „ზედმეტია" ასეთი დამუშავება დღეს, როდესაც ის მიმართულია ტროცკიზმის ახლანდელ მოთაყვანე „ბელადების" წინააღმდეგ.

პარტია აშკარაა არ ათხოვებს ყურს ოპოზიციის წუწუნს და კვლავ განაგრძობს ენერგიულ კამპანიას პარტიის მთლიანობის დამრღვეველთა ძველი და ახალი გმირების გასაცნობად პარტიის თითოეულ წევრისათვის. ეს იქნება შინაპარტიულ დემოკრატიის საუკეთესო განხორციელება.

ამ მიზანს ემსახურება ამხ. რიკოვის მოხსენება, გაკეთებული მოსკოვის პარტაქტივის კრებაზე. ამხ. რიკოვის მოხსენება ანალოგიურია ამხ. ბუხარინის შემდგომი მოხსენებისა, თუმცა მათ შორის მაინც არის აღსანიშნავი ერთგვარი განსხვავება. ამხ. რიკოვის მოხსენებაში განხილულია იგივე საკითხები, რაც ამხ. ბუხარინმა გაარკვია, მაგრამ სხვადასხვაგვარი მოცულობით. ასე მაგ. თუ ბუხარინი უმთავრეს ყურადღებას თავის მოხსენებაში აპყრობს ოპოზიციის იდეოლოგიურ ფესვების გამორკვევას და ჩინეთის რევოლუციის ანალიზს, ამხ. რიკოვი მეტ დროს ჩერდება კაპიტალისტურ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის გაღრმავებულ წინააღმდეგობაზე, ქვეყნის სამეურნეო ვითარებაზე და შინაპარტიულ მდგომარეობაზე.

ცეკას მუშაობა, ლაპარაკობს ამხ. რიკოვი, უკანასკნელ წლების განმავლობაში გამწვავდა, მაგრამ „ცეკას მუშაობის სიმწვავის მიზეზები უნდა ვეძიოთ არა იმდენათ მთელი ჩვენი მუშაობის გართულებაში, რამდენადაც შინაპარტიული ურთიერთობის გამწვავებაში „ახალი" და შემდეგ „გაერთიანებული" ოპოზიციის განუწყვეტელი გამოსვლების გამო.

მაგრამ ცეკასა და ცენტრ. საკონტრ. კომისიის უკანასკნელი (აგვისტოს) გაერთიანებული პლენუმის მუშაობა განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს, როგორც თავის სიმწვავითა და ხანგრძლივობით, ისე თავისი პოლიტიკური მნიშვნელობითაც".

პირველად ამხ. რიკოვი იხილავს კაპიტალიზმის სტაბილიზაციის დამამტკიცებელ ციფრებს და ფაქტებს სტაბილიზაციის ეკონომიურ და პოლიტიკურ შედეგს, სტაბილიზაციის საფუძველზე კაპიტალიზმის მიერ პაციფისტური სამოსელის უკუგდებას და კაპიტალისტურ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის გამწვავების მიზეზებს.

ამასთან დაკავშირებით ის ეხება ომის მზადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სოციალ დემოკრატიის მიერ უშუალო დახმარების გაწევას ბურჟუაზიისათვის, რომლის საუკეთესო ილიუსტრაციას წარმოადგენს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის მიერ ახალი სამხედრო პროექტის შეტანა პარლამენტში, რომლის (ე. ი. პროექტის) თანახმად მთელი ხელისუფლება მოსახლეობაზე და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე ომის დროს გადადის ბურჟუაზიული დიქტატურის სრულ განკარგულებაში". (გვ. 17).

მოხსენების ამ ნაწილში რიკოვი მოგვითხრობს ოპოზიციის დამოკიდებულების შესახებ ომისადმი და კერძოთ დავას ომის ვადის შესახებ.

მოხსენების მეორე ნაწილში ამხ. რიკოვი ანალიზს უკეთებს საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობას, 1927—28 წლის საკონტროლო ციფრებს და ახალი მდგომარეობის (ომის უშუალო საფრთხის) გავლენას მომავალ სამეურნეო მშენებლობაზე. „ახალმა მდგომარეობამ — ლაპარაკობს ამხ. რიკოვი — გავლენა უნდა იქონიოს ჩვენს სამეურნეო მშენებლობაზე ორგვარი მიზეზის გამო: პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ის იწვევს ხარჯის გადიდებას ქვეყნის დასაცავად (აქამდე თავდაცვისათვის ჩვენ ვხარჯავდით იმის ნახევარზე ნაკლებს, რასაც მშვიდობიანობის დროს ხარჯავდა მეფე), მეორე მხრით, იმიტომ, რომ დიდ ბრიტანეთთან დიპლომატიური ურთიერთობისა და სავაჭრო ხელშეკრულების შეწყვეტა აუცილებლათ იწვევს ინგლის - რუსეთის ვაჭრობის შეწყვეტასაც". (გვ. 24).

ამიტომ საჭიროთ სთვლის ამხ. რიკოვი სხვა ქვეყნებთან სავაჭრო კავშირის გაფართოებას და კრედიტის მიღებას ისეთი რაოდენობით, რათა ჩვენი საგარეო სავაჭრო ურთიერთობანი არა თუ დაზიანდეს ინგლისთან კავშირის შეწყვეტით, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდეს. მომავალი წლის სამეურნეო პერსპექტივების გათვალისწინების დროს — ამხ. რიკოვის თქმით (როგორც სთქვა ესვე პლენუმმა) უნდა იქნას გათვალისწინებული მოუსავლიანობის შესაძლებლობა უახლოეს ან შემდეგ წელში. გართულებული საგარეო პირობები უკარნახებს საბჭოთა კავშირს, შექმნას პურის, სათბობი მასალის, ნედლეულობის, ვალიუტის და სხვათა მარაგი.

მეურნეობის მომავალი სწრაფი განვითარება კი მოითხოვს კაპიტალური მშენებლობის ტემპის დაჩქარებას, სატრანსპორტო მეურნეობის გაფართოებას და არა საწარმოო ხარჯების მაქსიმალურ შემცირებას.

უკანასკნელ ნაწილში ამხ. რიკოვი იხილავს შინაპარტიულ საკითხებს, სახელდობრ ტროცკიზმის უკანასკნელ შემოტევას ლენინიზმის წინააღმდეგ, რომლის ნიმუშებია: 83 განცხადება, საპეტიციო კამპანია, „15" დოკუმენტი და სხვა. რიკოვი დაწვრილებით აღგვიწერს ცეკას და ც. ს. კ. უკანასკნელ გაფართოებულ პლენუმის მუშაობის პირობებს, ოპოზიციის საქციელს ამ პლენუმზე და პარტიის წინაშე ოპოზიციის კაპიტულიაციას, რომელიც რიკოვის თქმით ოპოზიციის იდეოლოგიის მარცხია.

ნ. ვ.

სესხი გლეხებს

სასოფლო სამ. საკრედიტო ამხანაგობებს თავის სამი წლის არსებობის განმავლობაში გაუციათ სოფლის მეურნეობისათვის სხვადასხვა მიზნებით — 9.059.338 მანეთი.

აქედან — 2.667.033 მან. (ე. ი მთელი თანხის 29,4 პროც.) მიღებული აქვს გლეხობას მუშა საქონლის შესაძენათ. საკრედიტო კოოპერაციაში შეკავშირებულ გლეხებს მესაქონლეობისათვის (მეწველი და ჯიშიანი საქონელი) მიუღიათ —832.87 მან. (გაცემულ თანხის 9 პროცენტამდე).

სასოფლო - სამეურნეო მანქანების და საწამლო მასალების სახით (ნატურით) საკრედიტო ამხანაგობებს გაუციათ — 391.993 მან. ე. ი. 4,3 პროც.; ძვირფას კულტურების საკრედიტოთ ძირითად ქსელს გაცემული აქვს: მეთამბაქოეობაზე — 1.306.701 მან. ე. ი. 14,4 პროც.; მევენახეობაზე — 1.296.149 მან. — 14,3 პროც. და ჩაის პლანტაციებისათვის — 14 პროც. სხვადასხვა სადედეების, ბაღების, თესლეულთა პლანტაციების და მიწის მოწყობის მიზნით გაცემულია გლეხობაზე — 591235 მან. — 6,5 პროც., მეთესლეობა - ხორბლეულისათვის—მთელი თანხის 3,2 პროც.

სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე სოფლის მეურნეობის სამრეწველო - საწარმოო პროცესების კრედიტობასაც, როგორიცაა მაგ. მერძეობა, მეღვინეობა და სხვა. ამ მიზნით გაცემულია 552.464 მან.; გარდა ამისა საწარმოო მიზნებით ამხანაგობების მიერ გაცემულია გლეხებზე — 561.676 მან. მთელი თანხის 90,7 პროც. ე. ი. 7.154.678 მანეთი მიუღიათ ინდივიდუალურ გლეხ - მეურნეთ; 5,6 პროც. ე. ი. 504.283 მან. სხვადასხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებს; დანარჩენი 3,7 პროც. ე. ი. 339.056 მან. მიუღიათ კომუნებს და სხვა კოლექტიურ მეურნეობათ.

საკრედიტო ამხანაგობები სესხის გაცემის დროს დიდ ყურადღებას აქცევდენ გლეხების პირველ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მუშა საქონლის შესაძენათ ინდივიდუალურ გლეხ-მეურნეებს მიუღიათ მთელი სესხების 29,4 პროცენტი.

რკინისგზებზე

ცხრა ვიწრო ხაზის ორთქლმავალი

გზათა კომისარიატი ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას ატყობინებს, რომ დასავლეთის რკ. გზებს მოეპოვებათ ცხრა ვარგისი ვიწრო ხაზებზე მომუშავე ორთქლმავლები, რომლებიც დასავლეთის გზას შეუძლია გადასცეს ამიერ - კავკასიას.

ჩავარდნა

26 სექტემბერს, საღამოს, სადგ. ეჩმიაძინში საქონლის ერთ-ერთ მატარებლის შესვლის დროს, ლიანდაგიდან გადავარდა ორთქლმავალი და ხუთი დატვირთული ვაგონი, რომელთაც დაიკავეს პირველი და მეორე ხაზები. ლიანდაგზე დარჩენილი ვაგონები გაიყვანეს და მოძრაობა აღადგინეს მესამე და მეოთხე ხაზებით.

ჩავარდნილი ორთქლმავალი და ვაგონები ამოიღო ლენინაკანიდან მისულმა დამხმარე მატარებელმა.

ადამიანთა მარცხს ადგილი არ ჰქონია.

კატასტროფა აცილებულ იქნა

26 სექტემბერს, დილით, სადგ. სანაინში მატარებელი, რომელიც უნდა მიეღოთ მეხუთე ხაზზე, უფროსმა მეისრემ მიიღო მეექვსე დაკავებულ ხაზზე.

მემანქანემ თავის დროზე შეამჩნია შეცდომა და მატარებელი გააჩერა, მეორე მატარებლიდან 35 მეტრის მანძილზე.

ამგვარად კატასტროფა აცილებულ იქნა.

ახალი სადგური

ბათომის და ჩაქვის სადგურებს შორის ამ.-კავ. რკ. გზების გამგეობა ხსნის ახალ პატარა სადგურს, ეს სადგური ხელს შეუწყობს ბათომის უბანზე გზის გატარებითი უნარიანობის გადიდებას.

ჭადრაკი

მოჭადრაკეთა მე-5 საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 27 სექტემბ. 25 სექტემბერს გაიხსნა მოჭადრაკეთა მე-5 საკავშირო ყრილობა. სხდომის შემდეგ მოხდა კენჭის ყრა მოჭადრაკეთა ტურნირის მონაწილეთა შორის. ტურნირში გამარჯვებულს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელწოდების გარდა, მიენიჭება საბჭოთა გროს მაისტერის ტიტული (ადს).

ნარევი

ორი კინო-სურათის ჩვენება ერთდროულათ

ამ რამოდენიმე ხნის წინათ შეერთებულ შტატებში აიღეს პატენტი მეტად ორიგინალურ გამოგონებაზე, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელია ერთდროულად ორი სურათის ჩვენება ერთ ეკრანზე, მაყურებელს კი შეუძლია ერთი, ან მეორე სურათის დანახვა თავისი სურვილისამებრ. თუმცა ამ გამოგონებას შეუძლია ინტერესის გამოწვევა, როგორც ორიგინალურ გასართობს, მაგრამ იგი იმდენათ საინტერესოა, რომ ღირსია გაცნობის.

ორ სურათს იღებენ კინო-ლენტის ორივე მხარეზე. ერთი სურათი წითელი ფერისაა, მეორე მწვანეს. სურათის ჩვენების დროს ეკრანზე მოსჩანს არეული წითელი და მწვანე ჩრდილები. მაყურებელი, რომელსაც სურს ერთი რომელიმე სურათის ნახვა, იკეთებს მწვანე ან წითელ მინებიან სათვალეს, მისიდა მიხედვით, თუ რა ფერისაა სურათი, რომლის ნახვა მას სურს.

გამომგონებელი მიუთითებს რომ მისი გამოგონება შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საინტერესო გასართობი: მაყურებელს, სურვილისამებრ, შეუძლია ან ძლიერ კომიკური ან ძლიერ ტრაგიკული სურათის ნახვა.

80 საათი წყალქვეშ

დიდი ინტერესი გამოიწვია ისპანური წყალქვეშა ნავის „3—6"-ის მიერ დამყარებულმა რეკორდმა: ამ წყალქვეშა ნავმა წყალქვეშ დაჰყო 80 საათი. „3—6"-ის წყალწყვა უდრის 566 ტონას, აგებულია ესპანეთში უცხოელ ინჟინრების ხელმძღვანელობით, დადგმულია მასზე ორი დიზელ-მოტორი, რომელთა საშუალებით ნავს წყლის ზედაპირზე შეუძლია საათში 30 ვერსის გავლა, წყალქვეშ კი—20-ის.

წყალქვეშა ნავი გამოცდის დროს შესდგებოდა 20 კაცისაგან. ნავი დაეშვა ზღვის ფსკერზე და ასეთ მდგომარეობაში დაჰყო 3 დღე-ღამე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ნავის უფროსმა გადასწყვიტა ზღვის ზედაპირზე ამოუსვლელად დაბრუნებულიყო ნავთსადგურში. 8 საათის შემდეგ წყალქვეშა ნავი უკვე ნავთსადგურში იყო.

ესპანეთის ფლოტი შევსებული იქნება 5 ასეთი წყალქვეშა ნავით. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის ფლოტის ხუთჯერ უფრო დიდ წყალქვეშა ნავებს არ შეუძლიათ წყალქვეშ დარჩენა 60 საათზე მეტს..

იურიდიული დახმარება

კითხვა

ცეკავშირის გამგეობის განკარგულებით ვიყავი გადაგზავნილი [illegible] კოოპერატიულ სამმართველოში [illegible] თანამდებობაზე. მაგრამ ის თანამდებობა [illegible] იყო და მე [illegible] ნის თუ არა გზის ხარჯები.

ხის დამმუშავებელი კავშირის წევრი (წიგ. № 3003)

პასუხი

გზაში გაწეული ხარჯები თქვენ ცეკავშირმა უნდა აგინაზღაუროს. მიმართეთ შრომის სასამართლოს სათანადო განცხადებით. (იხ. შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 82).

კავშირის წევრს (წიგ. № 398.197 ივანე კვესიტაძეს.

პასუხი

საერთო წესით მოსწავლეობა თავისუფალია სამხედრო ბეგარის მოხდისაგან სასწავლებლის დამთავრებამდე. ამიტომ მიმართეთ მაზრის სამხედრო კომისარს სათანადო განცხადებით და თქვენი მოწაფეობის მოწმობის დართვით.

კითხვა

მე ვმსახურობ ამიერ-კავკასიის რკინის გზის დაცვის პირველი რაზმის მსროლელად. ადმინისტრაციის მიერ ვიყავი დანიშნული დროებით ათის თავის თანამდებობაზე მოქ. ხონელიძის მაგივრად. ვიმსახურე სამი თვე და ხელფასით კი არ დამაკმაყოფილეს იმის მიზეზებით, რომ ბრძანებაში არ ვიყავი გატარებული.

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის ასეთი მოქმედება.

ივანე ჯიშკარიანი.

პასუხი

თქვენ გიმუშავნიათ სხვის მაგივრად. იმ შემთხვევაში თუ თქვენ თქვენი თანამდებობის მიხედვით არ იყავით ვალდებული ათის თავის მოვალეობა შეგესრულებიათ, როცა ათის თავი დროებით არ იმყოფებოდა სამსახურში, მაშინ აუცილებლად უნდა მოგეცეთ განსხვავება თქვენი და მის ხელფასს შორის მტკიცე სატარიფო განაკვეთის მიხედვით იმის და მიუხედავად ბრძანებაში იყავით თუ არა თქვენ გატარებული მის შემცვლელად. (იხ. ამიერკავკასიის შრომის სახკომატის 1923 წ. 1 აგვისტოს დადგენილება № 64 გამოქვეყნებულია ამიერ-კავკასიის შრომის სახკომატის 1923 წ. „მოამბე" № 5 ში).

ილიკო კოტიაშვილი

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი

საკრედიტო - კოოპერატიულ ამხანაგობათა ანაბარების ოპერაციების განსავითარებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ

ს. ს. რ. კავშირის საბჭოთა მე-4-ე ყრილობის დადგენილების თანახმად და იმ მიზნით, რათა საკრედიტო - კოოპერატიულ და კერძოდ სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში შეტანილ ანაბარების სახით, გლეხობის ყველა ფენებში განვითარდეს თანხების დაგროვების ტენდენცია ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო **ადგენენ:**

1. საკრედიტო - კოოპერატიულ ამხანაგობებს უფლება ეძლევა: ა) დააწესონ ანაბარებზე პროცენტები იმ რაოდენობით, რომელიც შესაძლებელს გახდის ანაბარებით შემოსულ თანხების რენტაბელურად გამოყენებას გლეხთა მეურნეობისათვის სესხის გასაცემად და ამხანაგობის მოქმედების რაიონში სესხად გასაცემი კაპიტალის რაოდენობის აღრიცხვას; ბ) შეახმარონ თავისი შეხედულებისამებრ ანაბარებით შემოსული თანხები გლეხთა მეურნეობათვის სესხის გაცემას იმ საფუძველზე, რომელიც დაწესებულია ამხანაგობის წესდებით; გ) ანაბარების ანგარიშში სესხად გაცემულ თანხებზე დააწესონ პროცენტები რაოდენობით, რომელიც უზრუნველჰყოფს ანაბარებზე პროცენტის გაცემას იმ პირობით კი, რომ საწარმოო მიზნით გლეხებისათვის სესხად გაცემულ თანხებზე დაწესებული პროცენტები არ აღემატებოდენ შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულ ნორმებს.

ანაბარებით შემოსულ და სესხად გაცემულ თანხებზე პროცენტების რაოდენობას აწესებს ამხანაგობის საერთო კრება ან მისი რწმუნებით ამხანაგობის საბჭო.

2. საკრედიტო - კოოპერატიულ ამხანაგობების ანაბარების მეპატრონენი სარგებლობენ სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროების ანაბარების მეპატრონეთათვის მინიჭებულ შემდეგი შეღავათებით: ა) ანაბარები მემკვიდრეობით გადაცემის დროს თავისუფლდება გადასახადისაგან, რომელიც დაწესებულია მემკვიდრეობით და საჩუქრად გადაცემულ ქონებაზე; ბ) ანაბარებით გასაცემი პროცენტები თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან.

3. საკრედიტო - კოოპერატიულ ამხანაგობაში ნებადართულია ანაბარების შეტანა იმ პირთა აღნიშვნით, რომლებზედაც უნდა იქნეს გადაცემული ანაბარები, მისი შემომტანის სიკვდილის შემდეგ, მიუხედავათ იმისა წარმოადგენენ აღნიშნული პირები ანაბარების შემომტანის კანონიერ მემკვიდრეს, თუ არა.

4. საკრედიტო - კოოპერატიულ ამხანაგობებს უფლება ეძლევა წვრილ ანაბარების აკრეფის დროს ისარგებლონ მარკების სისტემით ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ საფუძველზე.

5. საკრედიტო - კოოპერატიულ ამხანაგობათა ფინანსიური მდგომარეობის განსამტკიცებლად ამხანაგობებს მათ ძირითად და სპეციალურ კაპიტალების გასაძლიერებლად ეძლევა სესხი როგორც სახელმწიფო და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის საშუალებიდან, ისე ადგილობრივ ბიუჯეტის საშუალებიდანაც.

6. ყველა ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ პირობების დაცვით, აგრეთვე ყველა სამეურნეო, კომერციულ ანგარიშზე მომქმედ წარმოებათ ნება ეძლევა თავისუფალი თანხები შესანახად მიაბარონ საკრედიტო - კოოპერატიულ ამხანაგობებს.

7. ფინანსთა სახალხო კომისარიატის, სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების, სასოფლო - სამეურნეო და საწარმოო საკრედიტო კავშირების და კოოპერატიულ ბანკების ორგანოებს ევალება საკრედიტო - კოოპერატიულ ამხანაგობებში წარმოებული რევიზიის შედეგები აცნობონ ამხანაგობების ყველა წევრებს ამ ამხანაგობების სამმართველო ორგანოების საშუალებით.

8. მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს ევალება: ა) არა უგვიანეს 1927 წ. 1 ოქტომბრისა გამოსცენ კანონები გამომდინარე კოოპერატიულ კრედიტის შესახებ 18 იანვრის 1927 წ. თარიღით გამოცემულ დებულებიდან და მისი დამტკიცების შესახებ გამოტანილ დადგენილებიდან („ს. ს. რ. კავშირის კანონ. კრებული".), სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების გადასვლის შესახებ წესდებაზე, რომლებიც უნდა იქნეს შედგენილი და რეგისტრაციაში გატარებული კოოპერატიულ კრედიტის შესახებ გამოცემულ დებულების თანახმად; ბ) მიიღონ სათანადო ზომები საკრედიტო - კოოპერატიულ ამხანაგობების სამეურნეო თვითმოქმედების უზრუნველსაყოფად კანონის მიერ დაწესებულ ფარგლებში; გ) დაავალონ საპროკურატურო ორგანოებს ყურადღება მიაქციონ, რათა საკრედიტო - კოოპერატიულ ამხანაგობების თანამდებობის პირთა, ან იმ პირთა მიერ, რომლებიც ახდენენ საკრედიტო - კოოპერატიულ ამხანაგობების რევიზიას, არ იქნეს გამომჟღავნებული ცნობები ანაბარების შემომტანთა ვინაობის და მათი ანაბარების შესახებ (დებულება კოოპერატიულ კრედიტის შესახებ, მუხ. 16); დ) დაავალონ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა ამ უკანასკნელებმა თავის ბიუჯეტიდან გამოჰყონ საშუალებანი საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობებისათვის სესხის გასაცემად მათ ძირითად და სპეციალურ თანხების გასაძლიერებლათ.

9. ს. ს. რ. კავშირის ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკს და კოოპერატიულ ბანკებს ევალება: ა) გააფართოვონ დასაზღვევი კრედიტის გაცემის პრაქტიკა იმ მიზნით, რათა საკრედიტო - კოოპერატიული ამხანაგობები უზრუნველყოფილი იქნენ საჭირო თანხით ანაბარების უკან დაბრუნების გაძლიერებული მოთხოვნილების დროს; ბ) დამატებითი სესხებით ხელი შეუწყონ იმ საკრედიტო - კოოპერატიულ ამხანაგობებს, რომლებიც წარმატებით აწარმოებენ ანაბარების ოპერაციებს მოსახლეობაში და კერძოდ ძირითად და სპეციალურ თანხების გასაძლიერებლად სესხის გაცემის დროს, ანგარიში გაუწიონ იმ საკრედიტო - კოოპერატიულ ამხანაგობების ფინანსიურ განმტკიცების საჭიროებას, რომლებიც ანვითარებენ ანაბარების ოპერაციებს.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე —
მ. კალინინი.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილე—
ი. რუძუტაკი.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. ენუქიძე.**

მოსკოვი. კრემლი, 31 აგვისტო 1927 წ.

სასამართლო

ფაცი ხანჯლით და რევოლვერით

ეს ამბავი მოხდა ა. წ. 28 მაისს, მოქ. იაკობ ნ—ძემ (ორჯონიკიძის ქუჩა № 113) ქალიშვილი ლიდა მიათხოვა თედორე ისაევს.

ქალის მშობლებმა ლიდას „გაბედნიერების" აღსანიშნავად გამართეს ლხინი და დაპატიჟეს ნაცნობ-მეგობრები.

სტუმრებს შორის იყვნენ სერგო სილაკაძე (მესამე კომისარიატის უფროსი მილიციელი) და გრიგოლ სვანიძე.

ნ—ძის ოჯახში დიდი სუფრა გაიშალა. ქეიფი მთელ ღამეს და მეორე დღესაც გრძელდებოდა. სტუმრები დათვრნენ.

ღვინით სავსე ყანწი მთლიანად არ დალია სვანიძემ. ეს იწყინა სილაკაძემ. აქედან იწყება „ორეულობა" მასპინძლის ოჯახში.

შეიქნა ხანჯლის ტრიალი.

— არ მომეკაროთ, ყველას დაგხოცავ, ღრიალებდა სილაკაძე.

მან მიბეგვა რამოდენიმე კაცი და როგორც იქნა დროებით დაწყნარდა.

გათენებისას, როცა სტუმრები თავიანთ სახლებში წავიდნენ, მან ბრძოლა ქუჩაში გადაიტანა.

რკინის გზის მახლობლად დაეწია სახლში მიმავალ სვანიძეს და ესროლა „ნაგანის" რევოლვერიდან. სვანიძე გაიქცა. მხეცი ფეხაკრეფით დაეწია მას და კიდევ ესროლა, მაგრამ ააცილა.

სვანიძე შევარდა საავადმყოფოში, სადაც სილაკაძემ კიდევ ესროლა მას ტყვია მოხვდა საავადმყოფოს თანამშრომელს მოსიკოვს, რომელიც მიღებული ჭრილობისაგან მეორე დღეს გარდაიცვალა.

სილაკაძემ კიდევ ოთხჯერ ესროლა სვანიძეს, მაგრამ უკანასკნელი [illegible] დარჩა.

სილაკაძე დააპატიმრეს. მან განაცხადა, რომ ბოროტმოქმედება ჩაიდინა თავდაცვის მიზნით. საქმის გარჩევა დანიშნულია ექვს ოქტომბერს.

ხულიგნების გასამართლება

გუშინ სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში ამხ. ვ. გეჩაძის თავმჯდომარეობით, გაირჩა ვართან აკვერდოვის, გიორგი დიმიტრისძე ბაზერაშვილის და ნიკოლოზ ოგანესძე კაზაროვის საქმე.

აკვერდოვი და ბაზერაშვილი საკმაოდ „სახელგანთქმული" ხალხია. მათი სახელი დაკავშირებულია ცენტრალურ მუშათა კლუბთან, რომელსაც მათ ამას წინათ „ალყა შემოარტყეს".

ერთ დღეს მათ ჩამოიარეს გიტარით ქუჩაში, უკრავდნენ და თან ურტყამდნენ გამვლელ გამომვლელებს. შემდეგ „ძმა ბიჭებმა" შეაჩერეს მუსიკა, დაიჭირეს სამი მგზავრი და იმდენი ურტყეს, სანამ არ მოიქანცნენ.

მაგრამ ეს „გმირობა" ძვირათ დაუჯდათ მათ „ძმა ბიჭები" დააპატიმრეს და გამსახლში მიაბრძანეს.

სასამართლომ აკვერდოვს და ბაზერაშვილს, როგორც ხულიგნობისა და დებოშის ინიციატორებს მიუსაჯა ექვსი თვით გამასწორებელ სახლში დაპატიმრება, ხოლო კაზაროვს კი ერთი თვით.

ს. ახვლედიანის საქმე

გუშინდელ სხდომაზე სასამართლომ გამოიტანა დადგენილება პროკურორის შუამდგომლობის გარშემო.

სასამართლომ სცნო, რომ საქმეში დართულ ჰოსალების მიხედვით ბრალდებულ ახვლედიანს გაფლანგული აქვს არა 700 მანეთი, არამედ 1000 მანეთზე მეტი. წინასწარი გამოძიებით არ არის გამორკვეული, თუ რა მოსაზრებით დახია მან 2016 მანეთის ლატარეის ბილეთი.

სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში კიდევ ზოგიერთი გარემოებანი, დაადგინა—საქმე გადაიდოს დამატებითი გამოძიების მოსახდენად. ხოლო აღმკვეთი ზომა ბრალდებულ ახვლედიანის მიმართ დარჩეს შეუცვლელად.

ტრაგიკულად დასრულებული ქეიფი

ალექსი ბარუჩიანცი, სარქის ახნაზაროვი, კარაპეტ ვართაზაროვი (მეტ სახელად „ჩოპკა") და გურგენ როსტომოვი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. ერთ დღეს, შეხვედრისას, მათ გაცხოველებული სჯა-ბაასი გამართეს „საჭირბოროტო" საკითხებზე. კარაპეტი თავგამოდებით იცავდა იმ აზრს რომ უფულოდ ცხოვრება, არაა ღირს. დანარჩენები უფრო ოპტიმისტურად უყურებდნენ ცხოვრებას და ამტკიცებდნენ, რომ უფულოთაც შეიძლება კარგად ცხოვრება; აგრე შევდგინოთ ჩვენებრ მხიარული ვაჟკაცთა გუნდი და რაც ვიშოვოთ სულ ლხინში ვხარჯოთ.

„მეგობრებმა" სიტყვა საქმედ აქციეს და დაარსეს „ფუჩ-კრივისტების გუნდი, სახელწოდებით „ჩოპკა".

ა. წ. 15 აპრილს, მეგობრებმა მთელი დღე სვეს. საღამოს ათ საათზე წავიდნენ სასადილო „შუამთის წყარო"-ში (რუსის ქუჩა 3) და განაგრძეს სმა. ქეიფის დროს როსტომოვი და ბარუჩიანცი წაილაპარაკეს. როსტომოვმა უწმაწური სიტყვებით შეამკო ბარუჩიანცი და თანაც უბძანა:

— „შენ უსინდისო კაცი ხარ და გაგვეცალე აქედან".

ბარუჩიანცმა გადასწყვიტა სასჯაროდ იძიოს შური „მეგობარზე".

მან მეორე დღეს საღამოს წაიყვანა ოთხი ამხანაგი და საბჭოს ქუჩაზე სასტუმრო „ავრორას" წინ შეხვდა როსტომოვს.

ბოროტგამზრახველებმა როსტომოვი ბნელ კუთხეში მიიყვანეს.

აქ ბარუჩიანცმა დანა ჩასცა მას მკერდში და შემდეგ კი მუცელი გამოაღადრა. როსტომოვი იქვე გარდაიცვალა.

ბარუჩიანცი დააპატიმრეს, ხოლო დანარჩენი ბოროტმოქმედნი ვერ იქნენ აღმოჩენილნი.

ბარუჩიანცის საქმე გუშინ გაირჩა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. პ. ბურკაძის თავმჯდომარეობით.

სასამართლომ ბარუჩიანცს მიუსაჯა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლაციით.

თ.

შემთხვევები

„სტაჟიანი" ჯიბგირი

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მაკარ ოსაკანოვი (64 წლისა). ოსაკანოვი 40 წელია, რაც ჯიბგირობას ეწევა.

თავდასხმა

22 სექტემბერს, ღამით, ლიუქსემბურგის შარა-გზაზე მეეტლეებს თავს დაესხა რვა შეიარაღებული ბოროტმოქმედნი.

თავდამსხმელებმა სიკვდილის მუქარით მეეტლეებს წაართვეს რვა ცხენი.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდენ ბორჩალოს სამაზრო მილიციის თანამშრომლები, რომლებმაც თავდამსხმელებს ჩათახის მიდამოებში წაართვეს შვიდი გატაცებული ცხენი.

მიღებულია ზომები თავდამსხმელების დასაპატიმრებლად.

◆ **შეპყრობა.** 26 სექ. ქურდობისათვის შეიპყრეს იასონ იოსების ძე მეგრელიშვილი.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 26 სექტ. გრიბოედოვის ქ. 28 ვალერიან აზნიაშვილის ბინიდან მოიპარეს 750 მანეთის ნივთები.

◆ **გადმოვარდნა.** 26 სექტ. შე-9 სამილიციო რაიონში მეორე სართულის აივნიდან გადმოვარდა და მძიმედ დაშავდა ილია- იოსების ძე სირაძე.

◆ **ბაღ „არტო"-ში** გაქურდეს გრილი წყლების გასაყიდი ფარდული.

◆ **ორჯონიკიძის სახელობის კლუბიდან** სხვადასხვა ნივთების მოპარვისათვის შეიპყრეს არჩილ ივანეს ძე მაჩაიძე.

◆ **არამიანცისეულ საავადმყოფოდან** ფანჯრების ფარდების მოპარვისათვის შეიპყრეს ილიკო მათეს ძე კუხარაშვილი.

◆ **ქურდების შეპყრობა.** შეიპყრეს ივანე დიმიტრის ძე სიმონოვი და ანდრო სერგოს ძე კრავჩენკო, რომლებსაც ბრალდება ქურდობა.

◆ **ღიათ დარჩენილ კარებში** შეპარვის საშუალებით ბებუთოვის ქ. 12 გაქურდეს რამიისშაილ - ოღლის ბინა. წაღებულ ნივთების ღირებულება გამოურკვეველია.

ხელოვნება

საგარეჯოს თეატრის საზაფხულო მუშაობის შედეგები

ამ ზაფხულს საგარეჯოს თეატრის მუშაობა პირველად გაიშალა მსხვილ პროვინციალურ თეატრების მასშტაბით. რამდენიმე დრამატიულ წრის მაგიერ შეიქმნა ერთი დასი. წარმოდგენებს ჰქონდა არა შემთხვევითი, არამედ სისტემატიური ხასიათი; წარმოდგენები კარგად იყო მომზადებული და დადგმული.

ამან კი თეატრს შეუქმნა ფართე აუდიტორია მთელი სეზონის განმავლობაში. თეატრში მრავლად დადიოდა გლეხობა, რომლის უღარიბეს ნაწილს თითო წარმოდგენაზე ეთმობოდა 25 უფასო ადგილი.

ზაფხულის განმავლობაში თეატრი საფუძვლიანად შეკეთდა; საგარეჯოში წარმოდგენები პირველად მიდიოდა ახალ მხატვრულ ფორმებში. დიდი მიღწევებია აგრეთვე მსახიობთა თამაშში.

სეზონი დაიხურა „სისხლის დღესასწაულით" („ოვოდ"), რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. სეზონის განმავლობაში დადგმული იყო შემდეგი პიესები: „რობერტ ტიმ", „მოქალაქე დარნეი", „ნედომეროკ", „№ 21 ჯვრით", „რაც ვენახავს ველარ ნახავ" და სხვ.

რეჟისორად მოწვეული იყო **ვ. აბაშიძე.**

ადგილობრივი.

ხელოვნების ქრონიკა

— **ი. ფალიაშვილის კონცერტი.** დღეს, მედსანშრომის კლუბში გაიმართება დირიჟორ ი. ფალიაშვილის კონცერტი.

— **მოძრავი კინო.** აჭარისტანის პოლიტგანათლებამ გადაეგზავნა მოძრავი კინო მაზრებში სურათების ჩვენების მოსაწყობად.

— **„სანაპირო".** დღეს, საბჭ. სავაჭ. მუშაკთა კლუბში „წითელი შოლტის" მიერ წარმოდგენილი იქნება **მ. გოგიაშვილის** პიესა: „სანაპირო" რეჟ **ნ. გოძიაშვილი.**

— **ბალეტი ბავშვებისათვის.** 29 სექტ. წითელ არმიელთა და ფლოტის კლუბში გაიმართება საბავშვო საბალეტო წარმოდგენა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის აგიტპროპკოლეგიის სხდომა შესდგება ოთხშაბათს, 28 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 28 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის საორიცხვო განყოფილებაში, მიმღებ კომისიაში გასატარებლად:

მე-24 უჯრედიდან: ალექსანდრე აბრამოვი, ტიმოთე ზაიცევი, ვ. კვატაძე, გ. ზინკოგრამოვი, ივ. ვოლკოვსკი, ა. ახუმოვი (მე-33 უჯრედიდან), გ. ბასილაშვილი (მე-36 უჯრედიდან), ზ. ბესტავაშვილი (მე-37 უჯრ.).

მე-18 უჯრედიდან: იოსებ გოზდელიანი, ქ. ბაგაროვი, პეტრე გოზალოვი, ბაგრატ ნაჭყებია, რახმ. გუსეინოვი, სტეპ. გალაევი, ვიტ. კობიევი, ივანე გეოდახიანი, ვალიკო ობოლაძე, მარია ტელეგინა, კონსტანტინე დვალი, კაზარ ვარტაპეტიანი, ხ. გაბრიელიანი, ადოადოიანი, რუბენ ვაშაყმაძე, გრიგოლ გურგენიძე, ხ. ბაბაევი, გ. გუსეინოვი, ალექსანდრე დელავერი, ხაჩ. აკოპიანი, დ. მუხტაროვი, შ. ცქვიტინიძე (მე-23 უჯრ.), არ. გაბრიელიანი (მე-53 უჯრ.), ს. ასატუროვი (მე-60 უჯრედიდან.

მე-20 უჯრედიდან: რ. სუკიასოვი, მარია ნიზიევა, ივანე ლაზიევი, მ. ერმოლენკო, რ. ბოგდანოვი, პ. მანუკიანი, ა. აივაზოვა, დავით შაცი, ნიკოლოზ ალბეკოვი, ალექ. გასიევი, დ. ლეჟავა, ა. ეგნატოვი, ა. ოსიპოვი.

მე-15 უჯრედიდან: პ. ბალაკიროვი, ნიკოლოზ კებიშვილი, გ. კერნერი, პ. ხარაზოვი (მე-13 უჯრ.), დ. დავიდოვი (მე-9 უჯრ.), ბლ. გიორგაძე (მე-9 უჯრედ.), ა. გასპარიანი (მე-4 უჯრ.), ა. მინასიანი (მე-7 უჯრედ.), ავაკ ბეკანოვი (მე-3 უჯრედ.), ნიკოლოზ ფილიპოვი (მე-3 უჯრ.), იაკობ ერივანცევი (მე-52 უჯრედ.), ა. მარკაროვი, ნიკ. აბრამოვი, ფირცხალაიშვილი (მე-56 უჯრ.), ა. ჯაფარიძე, აკ. გრუზენკო, ნიკ. ხუბულავა, გ. ცაბაძე, (მე-19 უჯრდ.) გ. ჯიბლაძე, კაიშაური (მე-49 უჯრდ.).

მე-22 უჯრედიდან: იგ. კოვალი, პავლე პოლკანოვი, ი. ზაიცევი, პ. სკორინი, კ. მოსიკოვი; პანხაძე (მე-67 უჯრ.).

მე-48 უჯრედიდან: ბიბილაიშვილი, შოთაშვილი, კულულაშვილი, ხელაშვილი, ბოჭორიშვილი, მ. მაჩიტაძე, მ. დეკანოზიშვილი, მ. ფიჩხაძე, ვ. აბაშიძე, ავ. ქაბუკიანი, ამ. შეკრილაძე, გ. კუბალაშვილი, ქ. პატარაია, მ. დოხნაძე, ვ. მახარაშვილი, ალავიძე, ბურუჩაშვილი.

საქ. კ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ ოთხშაბათს, 28 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში მოწვეულია **თათბირი ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად.** თათბირზე უნდა გამოცხადდენ: საბჭოთა-სავაჭრო მოსამსახურეთა კლუბის, მუშათა ახალი კლუბის, ხელოვნების მუშაკთა კავშირის, მედსანშრომის, ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის და განათლების მუშაკთა კლუბების გამგეობების და ახალგაზრდათა სექციის ბიუროების თავმჯდომარენი.

— საქ. ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ილია იოსების ძე რამიშვილს გამოცხადდეს დღეს, 28 სექტემბერს, დილის 8 საათზე, საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი 12).

— საქ. ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. მიხეილ ბესარიონის ძე კაკულიას გამოცხადდეს, 1-ლ ოქტომბერს, დილის 9 საათზე საქარ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი 12).

— ლენრაიონის მ.-გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 28 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, მე-6-ე უბნის სალიანდაგო დარგის კლუბში შესდგება შინადიასახლისების საერთო კრება.

გულდათუთქულნი მშობლები: ვარლამ და ლიუბა შვილებით მიშიკო და ბესარიონით ქარქაშაძენი, ბებიები: მინადორა ქარქაშაძისა და ფოტინე ჩიხლაძისა, ბიძები: შალვა ქარქაშაძე თავის ცოლშვილით, იპოლიტე ჩიხლაძე თავის ცოლშვილით, სერგო ჰანჯალეიშვილი თავის ცოლშვილით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 27 სექტემბერს, დილით გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ნაზიკო ვარლამის ასული ქარქაშაძე

უ.

ოთხშაბათს, 28 სექტემბერს, სრულდება ერთი წლისთავი, რაც უდროოდ მოგვტაცა შეუბრალებელმა სიკვდილმა ერთად-ერთი საყვარელი შვილი

ეთიკო

რასაც ვაცხადებთ გულმოკლული მშობლები ნესტორ და ბაბო, ბებია პელო, ბაბუა მათე და ბიძა საშა ფანჯაკიძეები; განსვენებულის მოსაგონებლად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვ̌დ. ნინოს სასაფლაოზე საღამოს 5 საათზე.

3954

„კომუნისტი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
— და —
თბილისის კომიტეტის
— და —
სრულიად საქართ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
— და —
მეზღვაურთა ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო

დიდი პოლიტიკური გაზეთი

მიიღება ხელის მოწერა წლის ბოლომდე

გაზეთი ეღირება:

მუშა-მოსამსახურეთა, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მან.
2 „	2 „
3 „	2—90

დაწესებულებათა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1—30
2 „	2—60
3 „	3—80

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში

1 თვით	1 მან. 50 კ.
1 წლით	18 მან.

საზღვარ-გარეთ

1 თვით	1 ნახ. დოლ.	6 თვით	8 ნახ. დოლ.
3 „	4 ნახ. „	1 წლით	16 ნახ. „

0—1

0—1

ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღში)
სოლეი
დარბაზი (ბაღში, პლეხანოვ. № 91)
აპოლლო (არტოს ბაღში).
0—17 ნ. 1388

უკანასკნელად თბილისში! საუკეთესო სურათი.
„აბრეკ ზაური"
რეჟისორი—მიხინი. მთავ. როლში—ნ. ბესტაევი
იშვიათი წარმატება დადგმის მე-2 კვირა
„სამი ეპოქა"
მთავარ როლში—ბასტერ კეიტონი
პირველად თბილისში
„უჩადი ქალი"
მილტონ სილსის მონაწილ.
იშვიათი მხატვრული სურათი
„ლეონ კუტიური"
სოლნცევას მონაწილეობით

ანონსი: მალე „ა მ ო კ" კ. მარჯანიშვილის დადგმა.

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა და განაახლა
ავადმყოფების მიღება რუსთაველის პროს. № 12.
13—1 3846

ექიმი მეგრაბიანცი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ. 13—1

ექიმი ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1

დაიკარგა სამსახურის წიგნაკი № 635 ალექსანდრე ისაიას-ძე ტყეშელაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1711

დაიკარგა პასპორტი № 49965—სურენ მარკაროვის სახელზე, ჩ. გ. 3953

თბილისის ქალაქის ბანკის გამგეობა
ამით აცხადებს, რომ სავადო გადასახადების შემოუტანლობის გამო 1927 წლის 14 ოქტომბერს ნაშუადღევის 1-ლ საათზე ამავე ბანკის დარბაზში, ქალ. თბილისში, პუშკინის ქუჩა № 3 დანიშნულია
საჯარო ვაჭრობის წესით
რიგს გარეშე გასასყიდათ ყოფ. ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებულნი, ქალ. თბილისში მდებარე სახლები: 1. შახბუდაგოვისა ვართანუშ არუთინას ასულისა და ჰასან ალი ხაჯი იბრაგიმ ზადესი, მე-10 სამილიციო უბანში მალაკნის ქუჩისა და ყოფილ არტილერიის შესახვევში. ნაშთი თავნი ვალისა 2.691 მან. 68 კაპ. სავალო გადასახ. 1166 მ. 95 კაპ., ვადა გადადებული გადასახადნი 1.973 მან. 82 კაპ. და 2. იუსუფ იბრაგიმ ოღლისა და ხანანაშვილის ფილხაზ აბრამის ძისა, მე-5 სამილიციო უბანში, „ბნელ" და „ლვინის" რიგებში. ნაშთი თავნი ვალისა 2.110 მან. 11 კაპ.; სავალო გადასახ. 1544 მ. 38 კაპ., ვადა გადადებული გადასახადნი 1.186 მან. 91 კაპ. თუ აღნიშნული სახლები არ გაიყიდა პირველ საჯარო ვაჭრობაზე, მეორე და საბოლოო ვაჭრობა მოხდება იმავე ადგილს 1927 წ. 2 ნოემბერს.
ნ. 1712 1—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი.
ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილი 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

ექიმი
ბ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი
მიღება დილის 8—10
ორჯონიკიძის (ყ. ანდრეევის) ქ., № 74

მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი ყოფ.პლეხანოვის შესახვევი) № 8

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე
როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. გიპნოზი.
კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი)
ტელ. 3—63. 25—1

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და დაიწყო ავადმყ.
მიღება
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონით და სინათლით მკურნალობა
ავადმყ. მიღება ახალი მისამართით ლენინის ქუჩა (ოლღას ქ.) № 11 საღ. 7—8 საათ.
ტელ. 4—82 25—1

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.